# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 7 ნოემბერი 1998 №203 (738) ფასი 50 თეთრი

## ჯიქიამ კაპიტულაცია შემოთვალა

# ქუთაისელ ფეხბურთელებს კალათბურთელი მიხეილ ქორქია უპრეზიდენტებს



ბესიკ ჯიქია

არა, ბესო ჯიქიას სახელს „ტორპედოს" ისტორიიდან ვერაფერი ამოშლის. ეს ადრეც გვითქვამს. სხვა საკითხია, როგორ დაუფასდება მას ქუთაისურ კლუბში თითქმის ორწლიანი მოღვაწეობა. კლუბის ერთ-ერთ მეპატრონეს და მთავარ დამფინანსებელს, ალბათ, კარგს არ დაუვიწყებენ, ამასთან ავსაც გაუხსენებენ.

ფაქტია, ბოლო ხანს „ტორპედოში" ყველაფერი თავდაყირა დადგა, რის შესახებაც არაერთხელ გვითქვამს. სადაც გაიხედავ, ყველგან პრობლემაა, მთავარი კი უმძიმესი ფინანსური კრიზისია. კლუბს ვალები დაუგროვდა, ღმერთმა დაგიფაროთ. ვისი და რისი მიზეზით, ჩვენი სარჩევი არ არის. ამაზე, ვისაც ჯერ არს, იმან იმტვრიოს თავი. ფაქტია, კლუბში საქმე წახდა...

ისე წახდა, რომ ამ ბოლო დღეებში სიტუაციამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ოთხშაბათის „სარბიელში" გაუწყეთ, რომ ტორპედოელები, ფაქტობრივად, გაიფიცნენ. გვეყოფა ფუჭი დაპირებები, კუთვნილი ფულის მიუღებლობის შემთხვევაში სათამაშოდ აღარ გავალთო. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, ტორპედოელები სხვა დროსაც გაჯიუტებულან ამავე მიზეზით, თუმცა სათამაშოდ მაინც გასულან. მაგრამ ეს ბოლო მოთხოვნა ულტიმატუმად გაისმა და ფეხბურთელებს აღარ უვარჯიშიათ, სალორიის საწვრთნელ ბაზაზე ცნობისმოყვარეობის გამო თუ ადიოდნენ. „მერანთან" დღევანდელი მატჩის ჩაშლას რა სკანდალი მოჰყვებოდა, ადვილი წარმოსადგენია. სხვა რომ არაფერი დარჩა, გუშინ „ტორპედოს" შეწუხებული მწვრთნელი ჯემალ ხერხაძე იმერეთის გუბერნატორს და ქუთაისის მერსაც კი ეახლა დახმარების თხოვნით და საიმედო დაპირებაც მიიღო. თუ სიტყვა სიტყვაა, ამ დილით ტორპედოელებს ვალს ნაწილობრივ მაინც გაუსტუმრებენ და გუნდი, ალბათ, სათამაშოდაც გავა.

ახლა ცინცხალ ამბებსაც გეტყვით. ბესო ჯიქიამ შორიდან კაპიტულაცია შემოთვალა. „სიგმაბანკის" მმართველმა შპს საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს" დაფუძნებაში ჩადებული წილი (25 პროცენტი)



მიხეილ ქორქია

თავისსავე აწ უკვე ყოფილ პარტნიორს ფირმა „იმერეთი იმპექსს" გადაულოცა. ეს საქმე გუშინვე ოფიციალურადაც გაფორმდა. ეშველებათ თუ არა ამით ტორპედოელებს, სულ მალე გამოჩნდება. ისე, რომ იცოდეთ, დღეს ქუთაისში გუნდის ახალი სპონსორის წარმომადგენლის ჩამობრძანებასაც ელიან. „ტორპედოს" ახალი პრეზიდენტი ეყოლება. მიხეილ ქორქიას წარდგენა არ სჭირდება. მას ხომ ყველა იცნობთ.

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 8 | 3 | 0 | 36:7 | 27 |
| ტორპედო | 12 | 8 | 2 | 2 | 29:13 | 26 |
| კოლხეთი | 11 | 7 | 2 | 2 | 28:14 | 23 |
| ლოკომოტივი | 12 | 5 | 7 | 0 | 15:5 | 22 |
| დილა | 12 | 6 | 3 | 3 | 18:13 | 21 |
| ბათუმი | 12 | 5 | 5 | 2 | 19:10 | 20 |
| იბერია | 12 | 5 | 1 | 6 | 22:26 | 16 |
| ოდიში | 12 | 4 | 1 | 7 | 9:21 | 13 |
| თსუ | 13 | 3 | 3 | 7 | 12:18 | 12 |
| არსენალი | 12 | 3 | 4 | 5 | 15:22 | 13 |
| მერანი | 12 | 2 | 7 | 3 | 7:11 | 13 |
| გორდა | 12 | 2 | 6 | 4 | 7:8 | 12 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 4 | 2 | 7 | 13:15 | 11 |
| სიონი | 12 | 3 | 2 | 7 | 13:27 | 11 |
| სამგურალი | 12 | 3 | 1 | 8 | 11:27 | 10 |
| გურია | 12 | 3 | 1 | 8 | 14:31 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას" დაკლებული აქვს 3 ქულა

გუშინ მცხეთაში: „ვიტ ჯორჯია" — თსუ.
ვიტელებს დიმიტრი აბაზაძის აკრობატობამაც ვერ უშველა

საქართველოს ... 13 ტური

6 ნოემბერი, პარასკევი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| თსუ | 1 |

7 ნოემბერი, შაბათი

ოდიში — არსენალი

ბათუმი — კოლხეთი

იბერია — სიონი

ლოკომოტივი — გორდა

ტორპედო — მერანი

გურია — დინამო

დილა — სამგურალი

### სასამართლო ახლა თბილისის „დინამოს" მიზეზით გადაიდო

# ალარ მთავრდება?!

სასამართლო, რომელიც საქართველოს უცვლელი ჩემპიონის თბილისის „დინამოს" გადასახადებისგან განთავისუფლების პერიოდში ფინანსური დარღვევებისა თუ დარღვევის საქმეს არჩევს, ისევ გადაიდო. თუ აქამდე მართლმსაჯულების წინაშე ეკონომიკის ექსპერტი ამირან ძოწენიძე არ ცხადდებოდა, წინა კვირისთვის სასამართლო პროცესი დინამოელთა მიზეზით არ ჩატარდა — მოსკოვში მყოფ „დინამოს" დირექტორატის წევრ მერაბ რატიანს თბილისში ჩამოსვლა შეაგვიანდა.

უკვე სათვალავიც კი აგვერია, აღარც ვიცით, სასამართლო მერამდენედ გადაიდო. იმედია, მომავალ კვირაში მაინც დადგინდება, არის თუ არა „დინამო" მტყუანი. ის კი, კლუბის ხელმძღვანელობის ვარაუდისამებრ, ძოწენიძე ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის შემდეგ სასამართლოს დარბაზში გამოცხადდა.

**კობა ინასარიძე**

# ბებერმა ქალბატონმა სიამოვნება გაიხანგრძლივა

## ზინედინ ზიდანი 2005 წლამდე „იუვენტუსში" რჩება

იტალიურმა საინფორმაციო სააგენტო ANSA-მ საფეხბურთო სამყაროს ამცნო, რომ ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონი ზინედინ ზიდანი შესაძლოა „იუვენტუსში" 2005 წლამდე დარჩეს. ზიდანის ამჟამინდელ კონტრაქტს „ბებერ ქალბატონთან" 2003 წლის 30 ივნისს გასდის ვადა. როგორც იტალიელი ჟურნალისტები იუწყებიან, ფეხბურთელი და მისი კლუბი ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე შეთანხმდნენ. იმ დღეს „იუვე" ბილბაოს „ატლეტიკს" მასპინძლობდა და ფრე იკმარა, რითაც ერთობ გაირთულა მომდევნო ეტაპზე გასვლის საქმე. თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი, მისი აგენტი და იტალიური კლუბის ხელმძღვანელი მოსალაპარაკებლად „იუვეს" ოფისში შეიკრიბნენ. ANSA სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ მხარეები ყველა დეტალზე შეთანხმდნენ და ახალ კონტრაქტსაც მალე ოფიციალურად მოეწერება ხელი. თუმცა არც ზიდანმა და არც „იუვენტუსის" ჩინოსნებმა ეს ინფორმაცია საჯაროდ არ დაადასტურეს.



ზინედინ ზიდანი

# მაიკ ტაისონმა

## იცის, ვის მეხუბება...



ნევადის სასამართლომ მაიკ ტაისონს საკრივო ლიცენზია დაუბრუნა თუ არა, ჩხუბს დანატრებულმა უმალ რინგისკენ გაიწია, მასთან შერკინების მსურველიც მალე მოინახა — სამხრეთაფრიკელი ფრანსუა ბოტა და მაიკ ტაისონი 16 იანვარს ლას ვეგასში შეებმებიან ერთმანეთს.

# ...კანდელაკმა კი ისევ არა

გიორგი კანდელაკი დღეს ლონდონს გაემგზავრება, სადაც 22 ნოემბერს მეოთხე სარეიტინგო ბრძოლას გამართავს პროფესიულ რინგზე. ეგ არის მხოლოდ, ვის უნდა ეჩხუბოს, ისევ არ იცის, მეტოქის ვინაობას ინგლისში ჩასვლის მერელა შეიტყობს. მენეჯერებს ვარიანელი მოკრივისათვის მეხუთე ბრძოლაც დაუგეგმავთ, ამიტომაც გვითხრა გიორგიმ — ლონდონში დეკემბრის ბოლომდე დავრჩები, ერთხელაც ვიკრივებ და საახალწლოდლა დავბრუნდები შინო.



მცხეთა
6 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 0:1 თსუ

0:1 როსტიაშვილი (88)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ჭოხონელიძე (ლამბაშიძე 15), ა. ბოკერია 83), ჯ. მუჯირი, ი. კაპანაძე (ვ. ქუთათელაძე 46), აბაზაძე, ზ. გვაზავა, ვ. მაისურაძე, ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი, მაზიაშვილი
*სათადარიგონი:* გუგუნავა, თ. ბოკერია, გ. გვაზავა, კვიციანი
თსუ: ბათიაშვილი, გ. ილურიძე (ზამთარაძე 87), ვ. ლუდუშაური, კობიაშვილი, ნინუა (ებრალიძე 64), ცომაია, კაკუბავა, მალრაძე, წიტაიშვილი (ბახტაძე 89), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* გაბელია, ინწკირველი, ო. სულაძე, კ. სვანიძე
გაფრთხილება: კობიაშვილი (64), ქუთათელაძე (67)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ე. სილაგავა (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი


ბადრი ქეთილაძის ფოტო
თსუ-მ ოთარ როსტიაშვილის ბოლო წუთებზე გატანილით მოიგო

# სტუდენტებმა ნავსი გატეხეს

ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან

ჩემპიონატის მეცამეტე ტური თბილისური გუნდების მორიგი შეხვედრით გაიხსნა. „ვიტ ჯორჯიამ“ მცხეთაში თსუ-ს უმასპინძლა. თუმცა ვეტერინარები ამ მატჩში პირობითად ითვლებოდნენ მასპინძლებად, რადგან სტუდენტებიც „არმაზზე“ მართავენ საშინაო შეხვედრებს.

ამ მატჩში სამი ქულა ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა. „ვიტ ჯორჯია“, მას შემდეგ რაც ჭანკოტაძის უდისციპლინობისათვის სამი ქულა დააკლეს, აუტსაიდერებში გაერია. ხოლო თსუ-ს, რომელიც ბოლო ადგილზე იყო დამკვიდრებული, ორი ოქტომბრის შემდეგ ვერ მოეგო და ნავსის გატეხვას ეცდებოდა. ამიტომ თამაში დაძაბული და საინტერესო უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოლოდინი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. თამაში ძირითადად ცენტრში მიმდინარეობდა. მთელი ტაიმის განმავლობაში სამი დასამახსოვრებელი მომენტი შეიქმნა. 22-ე წუთზე მენთეშაშვილმა გაილაღა მარჯვენა ფლანგზე, საჯარიმოში შეიჭრა და კარის გასწვრივ ჩააწოდა. გოჩაშვილის 4-5 მეტრიდან დარტყმული ბურთი კარს გადასცდა და ვეტერინარებმა დაწინაურების რეალური შანსი დაკარგეს. შემდეგ მაზიაშვილმა დაარტყა ბურთი ორჯერ შორიდან, ძალიან ძლიერად. პირველ შემთხვევაში თსუ ბათიაშვილმა იხსნა გოლისაგან, მეორედ კი ბურთი სანტიმეტრებით ასცდა მიზანს.

მეორე ტაიმი სტუდენტთა უპირატესობით დაიწყო. ერთი წუთის განმავლობაში მათ ორჯერ შეეძლოთ გოლის გატანა. 56-ე წუთზე კაკუბავას კარგი პასის შემდეგ ჭუმბურიძის თავით დარტყმული ბურთი ჭურაძემ მოიგერია ჩინებული ნახტომით, ხოლო თავად კაკუბავას მიერ ძლიერად გაგზავნილ ბურთს მაისურაძე გადაეღობა კარის ხაზზე. მალე თსუ გადაურჩა გოლს. მაისურაძემ კონტრშეტევისას ლამის მთელი დაცვა მოატყუა და ბათიაშვილთან პირისპირ გავიდა, მაგრამ კობიაშვილმა მაისურზე დაქაჩა და წააქცია. მსაჯმა „ბოლო იმედის ჯარიმისთვის“ კობიაშვილს ყვითელი ბარათი აკმარა. შეხვედრის მიწურულს კვლავ თსუ-მ შეუტია. 87-ე წუთზე კარგად გათამაშებული ჯარიმის შემდეგ მალრაძემ კარის ბადე კი შეარხია, ოღონდ გარედან. თუმცა ერთ წუთში სტუდენტებმა მაინც გაიტანეს — კაკუბავას კარგი პასით მეკარესთან მარტო დარჩენილმა როსტიაშვილმა ზუსტი დარტყმით თანაგუნდელები გაახარა. მატჩიც საბოლოოდ 1:0 დასრულდა.

თსუ-მ ამ ჩემპიონატში მესამე გამარჯვებით ბოლო ადგილსაც დააღწია თავი და „ვიტ ჯორჯიასაც“ გადაუსწრო.

# სად ითამაშონ თბილისელებმა?

ფეხბურთის მოყვარულთ კარგად მოეხსენებათ, რომ ვაკეში, პარკთან ახლოს მდებარეობს „ლოკომოტივის“, ახლა 26 მაისისად წოდებული სტადიონი, რომელიც წლების მანძილზე ქართული ფეხბურთის მექად ითვლებოდა. თავად ვარ იმ საფეხბურთო ბატალიების მონაწილე (რა თქმა უნდა, როგორც გულშემატკივარი) და თვითმხილველი. სამოციანი წლების ბოლოს, როცა ჩვენში რაგბიმაც მყარად მოიკიდა ფეხი, „ლოკომოტივის“ ხასხასა მინდორი, როგორც ხელგაშლილ მასპინძელს შეჰფერის, ისე ღებულობდა ფეხბურთელებსაც და მორაგბეებსაც. დაუვიწყარია ის წუთები, როდესაც „ლოკომოტივის“ მყუდრო ტრიბუნები გულშემატკივრებით იყო სავსე და იქაურობა ბობოქარ ვულკანს მოგაგონებდათ. ამ სტადიონზე არაერთი გამარჯვება მოუპოვებია თბილისის „დინამოს“ და ქართული რაგბის ჩინებულ წარმომადგენლებს. თუმცა დროის გასვლის კვალობაზე ბევრი რამ შეიცვალა. დღეს იქ მხოლოდ მორაგბენი ირჯებიან ჩვეულად, ხოლო ფეხბურთელები, უფრო სწორად, დედაქალაქის გუნდი „ლოკომოტივი“, მცხეთაში ბურთაობს. ამის მიზეზი მრავალია. უმთავრესი ის გახლავთ, რომ პატრონის ძიებაში ქართულ სპორტულ სამყაროს „ლოკომოტივის“ სტადიონი ხელში შემოადნა და დღეს იგი ანტიკურ ამფითეატრს უფრო ჰგავს, ვიდრე მოქმედ სტადიონს. დანგრეული ტრიბუნები (შემორჩა მხოლოდ დასავლეთი ტრიბუნა) უბადრუკი სანახავია, მშველელი კი არავინაა. სტადიონის მოვლა-პატრონობა ვერც რკინიგზელებმა და ვერც მასზე მოთამაშე სხვა გუნდების წარმომადგენლებმა შეძლეს.

ამხელა შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ ჩვენთვის მტკივნეულ კიდევ ერთ საკითხზე გვეთქვა.

თბილისი სპორტული ნაგებობების, სხვადასხვა მასშტაბის სტადიონების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. გუნდების რაოდენობაც საკმაოა, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მოასპარეზე სამ კლუბს — „ვიტ ჯორჯიას“, თსუ-სა და „ლოკომოტივს“ შინაური მატჩების თბილისში ჩატარება არ ეღირსა. თუ „ლოკომოტივის“ გასაჭირზე ზემოთ ვთქვით, „ვიტ ჯორჯია“ და თსუ საერთოდ უსტადიონოდ არიან. არადა, გამოსავალი არის — „შევარდენის“ სტადიონი, რომელიც „ლოკომოტივთან“ შედარებით ჩინებულად გამოიყურება (ჩვენი პირობების გათვალისწინებით). თუმც აქ ერთი ამბავი წამოყოფს ხოლმე თავს — ეს ქართველთათვის ჩვეული საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებაა, ანუ ის, რომ „შევარდენის“ მეპატრონენი და თბილისური გუნდების ხელმძღვანელები ვერაფრით შეთანხმებულან, ვინ როდის და სად ითამაშოს. თუ თბილისის „ლოკომოტივი“ მეორე წრიდან მაინც აპირებს მშობლიურ სტადიონზე დაბრუნებას, თსუ-მ და ვიტ ჯორჯიამ რა ქნან? მიეცით, ბატონებო, თბილისურ გუნდებს შინ თამაშის უფლება. ეს ხომ უპირველესად მათი თამაშის ხარისხს გააუმჯობესებს. დავუბრუნოთ თბილისს თბილისური, ხოლო მცხეთას მცხეთური ფეხბურთი, ანუ „არმაზი“.

მიხეილ საბახტარიშვილი

## განცხადება

**1998 წლის 20 ნოემბრიდან ს.კ. „გეორგია“ ატარებს ცნობილი ქართველი მწერლის, გურამ ფანჯიკიძის სახელობის საფეხბურთო ტურნირს 1987-88 წლებში დაბადებულ ბავშვთა შორის. მონაწილეობის მსურველებმა მიმართონ ფეიქრის საფეხბურთო სტადიონის ოფისში ჟანი ლეჟავას. მისამართი: ტრიკოტაჟის ქუჩა 3.**

# ვაღირსოთ ქომაგს ფეხბურთი!

ამას წინათ „სარბიელის“ რედაქციაში ერთმა ეროვნულ ნაკრებზე შემომწყრალმა გულშემატკივარმა დარეკა, თავისი გულისწყრომა გაგვიზიარა და მერე ისიც თქვა, ჩვენი ნაკრების თამაშების რეპორტაჟს რომ არ გვაჩვენებენ, ამაზეც დაწერეთ, თქვე კაი ხალხო, ვიდეოჩანაწერების ჩვენება მაინც ხომ შეუძლიათო.

მართალი იყო ის კაცი. საკონტროლო თამაშებს ვინ ჩივის, ოფიციალური შეხვედრების რეპორტაჟებსაც ვერ ნახულობს ქართველი გულშემატკივარი და ეს ხდება იმ დროს, როცა თბილისში ათზე მეტი სატელევიზიო არხი არსებობს, ასევე ქვეყნის რეგიონებშიც საკმაოდ ბევრია ტელეარხები.

მავანი იტყვის — ქვეყანას უჭირს, შესაბამისად უჭირთ მეწარმეებს, ტელევიზიებში სარეკლამო შეკვეთებს არ (ან იშვიათად) იძლევიან და საკმაოდ ძვირადღირებული ტელერეპორტაჟების მოწყობას როგორ შეძლებენ ქართული ტელეარხებიო. არ არის ეს აზრი სწორი — პირდაპირ ტრანსლაციას არავინ ითხოვს, ადვილი შესასრულებელი გვგონია, რომ რომელიმე არხმა ორიოდ თანამშრომელი მიავლინოს ნაკრების უცხოურ შეხვედრაზე და იქიდან ჩამოტანილი მატჩის ვიდეოჩანაწერი აჩვენოს ხალხს. ამის პრეცენდენტი უკვე მოხდა ჩვენში — სატელევიზიო მაუწყებლობა „რუსთავი 2“-მა ლონდონიდან, პირდაპირ უემბლიდან მოაწყო ინგლის-საქართველოს მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაცია.

ქებათა ქება „რუსთავი 2“-ის მესვეურებს ამ გარჯისთვის, მაგრამ სამწუხარო ისაა, სხვებმა ვერ გაითავისეს მათი მაგალითი. ეტყობა, მართლა ძლიერ უჭირთ ქართულ ტელეარხებს გასვლით მატჩებზე თანამშრომლების მივლინება, მაგრამ საკითხს მეორე მხარეც გააჩნია — თუკი გაზეთი „სარბიელი“ ახერხებს თითქმის ყველა გასვლით შეხვედრაზე კორესპონდენტის გაგზავნას, რატომ ვერ უნდა შეძლოს იგივე ათიდან ერთმა ტელეარხმა მაინც? აქედან მეორე კითხვაც — რა საჭიროა ისეთი ტელეარხი, რომლის ბიუჯეტიც წელიწადში ოთხიოდე გასვლით მატჩზე თანამშრომლის მივლინებას ვერ აიტანს?

ტელერეპორტაჟს და საერთოდ ტელემაყურებლობას უდიდესი მისია აკისრია თანამედროვე სპორტულ სამყაროში. საფეხბურთო მსოფლიო პირდაპირ წალეკეს სატელევიზიო არხებმა. ვინც ფეხბურთის შესახებ იცის რაიმე, მას უთუოდ სმენია ფრანგული *CANAL+*-ის, იტალიური *RAI*-ს, ინგლისური ***BSKYB***-ს, ამერიკული ***ESPN***-ის შესახებაც — ეს არხები ასტრონომიულ თანხებს იხდიან, რათა ცალკეული გუნდების, ხშირად კი მთელი ჩემპიონატების ექსკლუზიური ჩვენების უფლება იგდონ ხელთ.

ფეხბურთი მომგებიანი რამ არის და იმიტომ. ფეხბურთი მასში სწორად დაბანდებულ თანხებს უკან ერთიორად აბრუნებს და იმად.

საქართველოში ტელეარხები სოკოებივით რომ მომრავლდა, ამაზე ზემოთ ვთქვით, მაგრამ ეს ახალი არხები ძირითადად კერძო მაუწყებლობებია და ახლაღა იკიდებენ ფეხს. მათ ჯერაც ბევრის გადატანა მოუწევთ, სანამ საფეხბურთო ბიზნესზე იფიქრებენ. ზემოთხსენებული ტვირთი ისევ ტელერადიოკორპორაციამ უნდა იტვირთოს, მით უმეტეს, მას კაი დიდი სახელმწიფო დოტაცია აქვს და წელიწადში ათიოდე ათასი დოლარი (რაც ოპერატორის და კომენტატორის მივლინებისთვისაა საჭირო) არ უნდა გაუჭირდეს. თუკი ტელერადიოკორპორაციის მესვეურები თავს მოიქაჩლებენ, ხალხიც კმაყოფილი დარჩება და არც გულშემატკივრებს დასჭირდება უცხოური ტელეარხების ანონსების ძებნა — აქაოდა, იქნებ ვინმეს ჩვენი კლუბის ან ნაკრების მატჩის ჩვენება მოეგუნებოსო („პარტიზანი“ — „ბათუმის“ შეხვედრისა არ იყოს). ერთიცაა, მართალია, სარეკლამო ინდუსტრია ჯერ ვერ არის ჩვენში სათანადო დონეზე, მაგრამ საკამათო არ არის, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ან „დინამოს“ უცხოური მატჩის რეპორტაჟის ჩვენებისას რეკლამებიდან შემოსული ფული უთუოდ აანაზღაურებს ტელეჟურნალისტთა მივლინებას, მეტიც, მოგებასაც დატოვებს. სხვა საქმეა ის, რომ ტელესერიალების, ეგრეთ წოდებული „საპნის ოპერების“ ჩვენება უფრო მომგებიანია, მათ თითქმის მთელი საქართველო უცქერს და რეკლამის დამკვეთსაც უჯობს სწორედ ტელესერიალში განათავსოს თავისი რეკლამა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტელესერიალები წლების მანძილზე გრძელდება და შესაბამისად რეკლამებიც დიდხანს „ცოცხლობენ“. ამ შესაბამისობის გამოა, ერთმანეთს რომ წაავეს „მონა ქალი იზაურა“, „უბრალოდ მარია“, „მდიდრებიც ტირიან“, „ველური გული“, „დინასტია“, „სიყვარულის ამბავი“ და ბედკრულ ქალთა (ან კაცთა) სხვა სენტიმენტალური ისტორიები.

ამასობაში კი მდიდრებთან ერთად „ტირიან“ ფეხბურთელები, მწვრთნელები, გულშემატკივრები, მაგრამ ვერაფრით შეძლეს მოელბოთ საფეხბურთო ფორტუნის ველური გული. და როცა ფორტუნა არ გვწყალობს, ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ საქმეს.

საქმის მიხედვა კი იმას ნიშნავს, რომ მომავალ ფეხბურთელს ფეხბურთი ცქერით შევაყვაროთ. რაიონებიდან ეროვნულ სტადიონზე სიარული თანამედროვე სიდუხჭირის გამო ჭირს, მით უმეტეს, არავის (ან თითქმის არავის) სცხელა თავისი შვილის წელიწადის განმავლობაში ხუთიექვსჯერ თბილისში სატარებლად (ის კი არა, თვითონ თბილისელებიც ვერ ახერხებენ ამას). ამაზე გავლენას საერთაშორისო თამაშებზე საკმაოდ სოლიდური ბილეთის ფასებიც ახდენს და რჩებიან მომავალი ფეხბურთელები დიდი ფეხბურთის, დიდი ფეხბურთელების გარეშე.

ტელევიზიაა ყოველივე ამის წამალი. ტელერეპორტაჟმა უნდა შეაყვაროს ბავშვს ფეხბურთი და ტელეტრანსლაციამ უნდა დაუოკოს გულშემატკივრებს საფეხბურთო ინტერესი.

ის კი არა, სპორტული არხის შექმნაზეც არის საფეხბურთო პროგრამაში ლაპარაკი, მაგრამ მანამდე? ვიღაცამ უნდა იტვირთოს სპორტული არხის შექმნამდე კეთილი „თოვლის პაპის“ მისია და ამით დიდი, საჭირო საქმე გააკეთოს.

ახლანდელი სიტუაციისა რა გითხრათ და ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ სფფ-ს წინა მესვეურები რომელიმე ტელეარხისთვის ნაკრების და ეროვნული ჩემპიონატის თამაშების ჩვენების ექსკლუზიური უფლების მინიჭებას აპირებდნენ, თანაც სიმბოლურ ფასად.

ვინმე, ალბათ, იმასაც იტყვის, საფეხბურთო ბიზნესში სიმბოლურ ფასებზე საუბარი არასერიოზულობაა და სასაცილო, მაგრამ ეს — საფეხბურთო ბიზნესში.

ჩვენთან კი თუკი ვინმე (მათ შორის ტელეარხებიც) ქართული ფეხბურთისთვის მოიცლის, აუცილებლად უნდა წახალისდეს.

ასე ჯობს, რათა მერე უცხოურ ტელეარხებში ჩაწვრილმანება არ დაგვჭირდეს და სხვა რომ არ იყოს, ქართული ფეხბურთის ცქერა ქართულად უფრო გემრიელია. და ეს სპორტული არხის (ან ფულიანი არხის) გამოჩენამდე, თორემ მერე არავინ არავის შეეხვეწება, ტელეტრანსლაციის მოწყობას. მეტიც, მერე საქართველოს ნაკრების მატჩების ტელეტრანსლაციის უფლება ისევე ძნელი იქნება, როგორც ვთქვათ, ბლეიქ ქერინგტონის გაკოტრება, ანაც უბრალოდ მარიას გულის მოგება.

კონსტანტინე გოგიშვილი


ბადრი ქეთილაძის ფოტო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს კოლეგას ბიძინა ბარათაშვილს დედის, ცნობილი ქართველი მომღერლის ქალბატონ
მედეა ძიძიგურის
გარდაცვალების გამო.

# რატომ არ წითლდებიან შავკაცები?

მსაჯი ყოველთვის მართალია — იტყვის ხოლმე წესიერი მწვრთნელი ჟურნალისტის პროვოკაციული კითხვის პასუხად — ჩემი განსასჯელი არ არის მსაჯობა, მისი შეცდომებიო.

— ამ ხნისა მოვიყარე და ფეხბურთში ასეთი არაობიექტური მსაჯობა ჯერ არ მინახავს — წამოისვრის იქნებ წესიერიც, მაგრამ აშკარად უფრო აღელვებული გუნდის თავკაცი.

ხშირად ხდება, მსაჯის შეცდომა მატჩის ბედს განსაზღვრავს. ამას ზოგი ზომაზე მეტად განიცდის. მინდორზე მსაჯი ხელშეუხებელია (ყველა ნორმარულ ქვეყანაში), მისი სიტყვა კანონია და რასაც იტყვის, წყალი არ გაუვა, აღარ გადათქვამს.

მაინც როდისაა მსაჯი მართალი? ცხადია, მართალი მაშინაა, როცა მართალია. თავდაჭერილი მწვრთნელის სიტყვები კი უფრო იმის შეგნების დასტურია, მსაჯობაზე მსჯელობას მატჩის შედეგის შეცვლა რომ აღარ შეუძლია.

სხვა თუ არა, რომელიმე შავოსანი (ბოლო დროს აჭრელებული) მაინც გაიფიქრებს, ჩვენს კლუბებს მავანი უცხოელები პირველივე რაუნდიდან აპანღურებენ, ნაკრებს აგერ უკვე ლატვიელებიც გვითახსირებენ, რაღა ჩვენზე მოდგა საქმე, განა მარტო ჩვენ ვართ ქვეყნის დამაქცევარნი, რაღა მხოლოდ ჩვენ უნდა ვიყოთ შეუმცდარ-უცოდველებიო. პასუხად ეს უნდა მიიღოს — ყველამ საკუთარი შეცდომებისთვის უნდა აგოს პასუხი.

ქვეყანა, რომელსაც გამართული სასამართლო სისტემა არ გააჩნია, ძლიერ (და საერთოდ) სახელმწიფოს ძნელად ააშენებს. ასეა, ვიდრე ჩვენში მსაჯობა არ გამოსწორდება, კლუბები სულ ქერის ორმოში რომ ვამყოფოთ, ფეხბურთს არაფერი ეშველება.

მსაჯობის დონის ამაღლება ახალი ფედერაციის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს და ამის მცდელობა უკვე ჩანს.

ჩვენს ფეხბურთში კარგად ჩახედულთათვის არაკვალიფიციური თუ უფრო ხშირად არაობიექტური მსაჯობა კიდევ უფრო მტკივნეულია. მაგრამ სტადიონზე დიდი ხნის წინ ნამყოფმა კაცმაც რომ შეიაროს დღეს ეროვნული ჩემპიონატის მატჩზე, მეორედ იქ მისვლა აღარც მოუნდება. იქ, სადაც სპორტული ჟინი, მწვრთნელთა ნააზრევი და გამჭრიახობა უნდა სუფევდეს, გონებრივ სიცარიელეს, სიძაბუნეს, ამაზრზენ მსაჯობას (განუსჯელობას) დაუსადგურებია მსაჯობაზე როგორც საერთოდ ფეხბურთზე, დაუსრულებლად შეიძლება კამათი, თითოეულ საეჭვო ეპიზოდზე ყოველ მოდავეს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი აზრი, მაგრამ სიმართლე ხომ ერთია. მსაჯიც მსაჯი მისთვისაა, ეს ერთი და დიადი — სიმართლე აღასრულოს.

თავიდანვე ასე ყოფილა ჩვენში: ტური ისე არ ჩაივლის, 2-3 მატჩს მაინც მსაჯობით უკმაყოფილოებმა ერთი ვაი-უშველებელი და წიოკი არ მოაყოლონ. როგორც უნდა იყოს, ეს პირველ ყოვლისა თავად მსაჯთა ბრალია. ხშირ შემთხვევაში მათი მეტისმეტი ლოიალობა, ანაც უაზრო პრინციპულობა და სიმკაცრე ადრე თუ გვიან ბუმერანგივით თავსატეხად უჩნდებათ. წვივებდალურჯებული მსაჯი რომ იტყვის, არავის ვუცემივარ, სახლს ვარემონტებ და სამუშაოებისას დავშავდი, თორემ მატჩისას თითიც არავის დაუკარებიაო; ანაც ფეხბუთელმა, უბრალოდ, თავი თავზე მომადო და ისე მელაპარაკა, ცხვირში კი არ ჩაურტყამსო, თავისი საქმის მტერია ის კაცი, აბა, რა.

რატომ გააძევეს დავით მუჯირი ბილბაოში? იმიტომ, რომ მას საქართველოს ჩემპიონატში სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებისთვის ყვითელი ერთხელაც არ მიუღია. ამბობენ, ბილბაოში ცუდად გვიმსაჯესო. იქნებ ასეც იყო, მაგრამ როცა მსაჯს დაჩაგვრის საფუძველს მიცემ, ბრალი უპირველესად საკუთარ თავს უნდა დასდო. განა მსგავსი ელემენტარული დარღვევებისთვის არ აყვითლ-აწითლებენ ლამის ყოველ მეორე საერთაშორისო მატჩში ლევან კობიაშვილს? რასაც ქართველი მსაჯები პატიობენ ფეხბურთელს, უცხოელები თითზე იხვევენ და აჰა...

რატომ წააგო თბილისის „დინამომ" „ბათუმთან" წლევანდელი თასის ფინალი? ამ თამაშს ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემპიონებს ზვიად ჯელაძის გაძევებამ ნირი წაუხდინა, დავით ჭიჭველაშვილის ოქროს გოლმა კი ისინი ბოლოსლა, დამატებითი დროის ბოლო წუთზე გატეხა.

მანამდე არ უკადრებია „დინამოსთვის" ასეთი რამ არავის. მსგავს მნიშვნელოვან თამაშში კაცნაკლული არასდროს დაუტოვებია ვინმეს. იმას, რაც ფინალის არ-



ბიტრმა სერგო კვარაცხელიამ გაბედა (ჩვენში ამასაც გამბედაობა სჭირდება), სხვა ვერ გაბედავდა. ამიტომაცაა, კვარაცხელია, ჩემი აზრით, საქართველოს საუკეთესო მსაჯი. მას სიმართლის დასაცავად გამბედაობა არ აკლია, თორემ შემცდარი, ისიც არაერთხელ, მინახავს.

„დინამოზე" ვამბობდი და, დარწმუნებული ვარ, ჩემპიონთა არც ერთ მწვრთნელს არ უმუშავია გუნდთან ათკაციან სქემატურ თუ ტაქტიკურ ვარიანტზე. „ბათუმთან" „დინამოს" ამანაც წააგებინა.

შევეშვათ თასის ფინალს და გნებავთ, ჩემპიონატის პირველი, ან სულაც მეორე ჯგუფის მატჩზე ჩავინაცვლოთ. ფინალი მაინც სხვაა, მეტი თვალი ხედავს და იქ შეცდომა დაუშვებელი უნდა იყოს. მაგრამ „ჩვეულებრივი" მატჩის განსჯისას თემიდის მსახურნი ხშირად ისე იქცევიან, გეგონება, ქვეყანა ჩალით დახურულად, ცა ქუდად და დედამიწა ქალამნად არ მიაჩნიათო.

რატომ ხდება ასე? რატომაა, რომ ხშირად მსაჯის არასწორი გადაწყვეტილება ფეხბურთელს ოჯახში მისატან ლუკმაპურს ართმევს? მსაჯისთვის ხომ მოგებულ-წაგებული ერთი უნდა იყოს. მაშ, რად ურჩევნიათ დაუყვედრებელ ლუკმას შინ ვიღაცის ცრემლით დანამული ფულის წალება? გამართლება მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — ხშირად მსაჯი არაერთი მხარის ზეწოლას განიცდის, მაგრამ ბევრი რომ უამისოდაც უნამუსოდ მოქცევას ამჯობინებს, ამას რა ვუყოთ?

ის ფაქტი ბევრს ეხსომება, ფეხბურთელმა მსაჯს ყბაზე რომ უკბინა. იქნებ არც დამიჯეროთ, მაგრამ, როგორც ვიცი, ის ბიჭი ძალიან წესიერი, გამრჯე მოთამაშე გახლდათ. მსაჯი მართალი მაშინაა, როცა ფეხბურთელს ამ ზომამდე არ მიიყვანს, თორემ გინებას ვიღაცას ყოველთვის დასტყუებ და ბევრს ამისთვის ყურიც შეუჩვევია.

მაშ, შველა რაშია? ძნელი სათქმელია. ამას კი ვიტყვი, მეხსიერება იშვიათად მღალატობს და მაინც კი ვერ ვიხსენებ ისეთ ფაქტს, შემცდარი ქართველი მსაჯი საკადრისად დასჯილიყოს.

ერთი სიტყვით, მსაჯს დაუსჯელობის სინდრომი განუსჯელად მსაჯობის საშუალებას აძლევს, ფეხბურთელს — მასთან ფიზიკურად ანგარიშსწორებისას.

იქნებ ვინმემ ზედმეტად გულჩვილად ჩამთვალოს, მაგრამ ყველა, ვისთვისაც თუნდაც ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსჯიათ, გულით შემბრალებია. როგორია წელიწადი უსაქმოდ, ულუკმაპუროდ დარჩენა. და მაინც, ვინც დასასჯელია, ვინც უნდა იყოს, დინამოელი, ნაკრებელი, ახალგაზრდა თუ მოყრილი, უნდა დაისაჯოს. ცხადია, იგივე მსაჯებსაც ეხებათ, ისე არაფერი ეშველება საქმეს.

ერთზეც და მთავარზეც. დღეს ჩვენს ფეხბურთში კუთვნილ, ევროპულის კვალობაზე გვარიან გასამრჯელოს, უეჭველად და დროულად მხოლოდ მსაჯები იღებენ. მასპინძელი კლუბები მათ სამივლინებო ხარჯებსაც უნაზღაურებენ და ჰონორარსაც აძლევენ. მსაჯ-დელეგატთა თითოეული ბრიგადის სტუმრობა კლუბებს 420 ლარი უჯდებათ. „პრესტიჟული" არბიტრებიც მეორე ჯგუფის მატჩების გასამრჯელოს ჩათვლით, თვეში, მინიმუმ 500-500 ლარს აგროვებენ.

მაშ, მათ ყველაზე მეტად უნდა მოვთხოვოთ კარგად მუშაობა.

მთავარი მაინც ისაა, რა პირი ექნება მათთან ახალ ფედერაციას და როგორ მოეპყრობა, თორემ იმის იმედად არ უნდა ვიყოთ, ნებსითი თუ უნებლიე შეცდომის დაშვების შერცხვებათო.

ადრე მსაჯებს „შავოსნებს", მათ საკეთებელს კი „შავ საქმეს" უწოდებდნენ. ბოლო დროს თემიდის მსახურთა ჩაცმულობა აჭრელდა — განაცრისფრდა, გაყვითლდა, გაწითლდა. მაგრამ ფერიცვალებას რა აზრი აქვს. განა, ღრუბელი რომ წითლად შევღებოთ, მეწამული წვიმა წამოვა?..

**მახტანგ გზიძაძე**

# სფფ-ში ცვლილებათა სიომ დაჰბერა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ 5 ნოემბერს ერთბაშად ორი ბრძანება გამოსცა, რომელთა დროული შესრულებაც შესამჩნევად გააუმჯობესებს (სფფ-ს პრეზიდენტიც ამას იმედოვნებს) ეროვნულ ჩემპიონატს, მას გულშემატკივრებისთვის დაძაბულს და საინტერესოს გახდის. თუმცა ყველა ეს სიახლე სამომავლოდაა განზრახული.

ერთი ბრძანება მსაჯთა ანაზღაურებას ეხება — მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრიდან შეიცვლება არბიტრებთან ფინანსური ანგარიშსწორების ფორმა. თუ ადრე მსაჯებისა და მატჩების დეგელატების მომსახურეობის თანხას კლუბები იხდიდნენ, ამიერიდან ამას თვით ფეხბურთის ფედერაცია იკისრებს.

აღნიშნული ბრძანების გამოცემის უმთავრესი მიზეზი (როგორც ბრძანებაშია აღნიშნული) გუნდების მძიმე მატერიალური მდგომარეობაა, რადგან მათი უმეტესობა ვერ ახერხებს მსაჯებისა და დელეგატების გასტუმრებას, რითაც ირღვევა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მოქმედი დებულება, საფრთხე ექმნება მატჩების ჩატარებას. ყოველივე ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსაჯობის ხარისხზე

მეორე ბრძანება ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურის შემმუშავებელი კომისიის შექმნას ისახავს მიზნად — იგი, ფაქტობრივად, მიმართვაა საზოგადოებისადმი, სპეციალისტებისადმი, მწვრთნელებისადმი და გულშემატკივრებისადმი, რათა თითოეულმა მათგანმა თავისი წვლილი შეიტანოს ეროვნული ჩემპიონატის ახალი სტრუქტურის პროექტის შემუშავებაში. პროექტები მიიღება 1998 წლის 20 დეკემბრამდე. საუკეთესო ნამუშევარის ავტორი ჩაებმება 1999-2000 წლების ეროვნული ჩემპიონატის ახალი პროექტის შემმუშავებელ სფფ-ს სამუშაო ჯგუფში, რომლის შემადგენლობაშიც არიან: მერაბ ჟორდანია — თავმჯდომარე, წევრები — ალექსანდრე ჩივაძე, ვალერი ჩოლარია, ბადრი ქარქაშაძე, ვლადიმერ გუცაევი, ვლადიმერ ელოშვილი, მამუკა კვარაცხელია. სამუშაო ჯგუფმა 1999 წლის 20 იანვრამდე უნდა განიხილოს, შეარჩიოს და საუკეთესო ვარიანტი წარუდგინოს გუნდების მწვრთნელებს, საზოგადოებრიობას და დასამტკიცებლად შესთავაზოს აღმასკომს.

მოკლედ, ქართულ ფეხბურთში მომავალი წლიდან კარდინალური ცვლილებებია მოსალოდნელი. თუ რამდენად წაადგება ყოველივე ეს ჩვენს დაბეჩავებულ ფეხბურთს, მომავალი გვიჩვენებს.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

| ქვეყანა | მსაჯთა ასოციაცია | არბიტრთა რაოდენობა I დივიზიონში | ანაზღაურების სისტემა თითოეულ მატჩზე | სანქციები | მსაჯთა დანიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | ფედერაციის შემადგენლობაშია | 36 | მსაჯები მხოლოდ სამივლინებო თანხებს (გზის, დაბინავების, კვების ხარჯები) იღებენ — 300-დან 800 ათას ლირამდე | მსაჯობიდან დროებითი ჩამოშორება | ხორციელდება მატჩამდე ოთხი დღით ადრე მსაჯთა ასოციაციის კომისიის მიერ |
| ესპანეთი | ინოდება ტექნიკურ კომიტეტად | 22 | იგივე სისტემა, რაც იტალიაში — 60 ათასი პესეტი, კანარებზე („ტენერიფე") მივლინება 90 ათასი პესეტე | მსაჯობიდან დროებითი ჩამოშორება | ოთხშაბათობით ნიშნავს ტექნიკური კომიტეტი |
| გერმანია | არ არსებობს | 32 | სამივლინებოს დამატებული 250 მარკა | განისაზღვრება კომისართა მიერ და მერყეობს მოკვეთიდან დაბალ დივიზიონში გადაყვანით | ორი კვირით ადრე სპორტული კომისია ადგენს მსაჯთა სიას, რომელიც ერთ კვირაში პრესაში ქვეყნდება |
| საფრანგეთი | მოყვარულ მსაჯთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია | 23 | სამივლინებოს დამატებული 8500 ფრანკი | მატჩის კომისარი ნიშნებს არ წერს, მაგრამ აღნუსხავს მსაჯთა ყველა შეცდომას. სეზონის ბოლოს მსაჯს შესაძლოა, თავს კრიტიკა დაატყდეს, მაგრამ ყველაფერი ამით მთავრდება | ნიშნავს კომისია, მიშელ ვოტროს ხელმძღვანელობით, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობს |
| ინგლისი | თანამშრომლობს პროფესიულ ასოციაციასთან | 78 მსაჯი ემსახურება 4 დივიზიონის მატჩებს | დამოკიდებულია მანძილზე და არბიტრთა კვალიფიკაციაზე. საორიენტაციოდ — 120 გირვანქა | განისაზღვრება ინსპექტორთა შეფასებების საფუძველზე. მსაჯები შეცდომებისთვის პრემიერლიგიდან ჩაქვეითებით ისჯებიან | მსაჯები მატჩებამდე კვირით ადრე ინიშნებიან |
| ჰოლანდია | ფედერაციის შემადგენლობაშია | — | მასპინძელი კლუბი ანაზღაურებს მგზავრობის, დაბინავების და კვების ხარჯებს. ჰონორარი ერთ მატჩზე — 1000 გულდენი | არადამაკმაყოფილებელი შეფასებისთვის მსაჯს 3 თვეში ერთხელ ან ცენტრალურ მატჩს ჩამოაცილებენ, ანაც მეორე დივიზიონში ამსაჯებენ | ყოველ სამ თვეზე დგება 16-მსაჯიანი სია |
| ბელგია | ინოდება მსაჯთა კომისიად | 25 | გამოიყოფა მხოლოდ სამივლინებო თანხები | შემოიფარგლება დაბალ ლიგაში გადაყვანით ან დროებითი დისკვალიფიკაციით | ინიშნებიან ტურამდე კვირით ადრე |

## გუშინ შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში უეფას თასის გათამაშების მერვედფინალის კენჭისყრა მოეწყო

**უეფას თასის მერვედფინალი**
24 ნოემბერი — 8 დეკემბერი

UEFA CUP

რომა (იტალია) — ციურიხი (შვეიცარია)
მონაკო (საფრანგეთი) — მარსელი (საფრანგეთი)
გრასჰოპერი (შვეიცარია)/
ფიორენტინა (იტალია) — ბორდო (საფრანგეთი)
სოსიედადი (ესპანეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი)
ლიონი (საფრანგეთი) — ბრიუგე (ბელგია)
რეინჯერსი (შოტლანდია) — პარმა (იტალია)
სელტა (ესპანეთი) — ლივერპული (ინგლისი)
ბოლონია (იტალია) — ბეტისი (ესპანეთი)

# მიუწვდომელი არაფერია

მან თავისი გაიტანა. სულით და გულით უნდოდა „ნიუკასლ იუნაიტედის" დატოვება და მიაღწია კიდეც საწადელს.

სტეფან გივარში, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონი, გუშინ „გლაზგო რეინჯერსში" გადავიდა. შოტლანდიელებმა ფრანგი თავდამსხმელის სანაცვლოდ 3,5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს, ზუსტად იმდენი, რამდენიც თავის დროზე „ნიუკასლ იუნაიტედმა" „ოსერს" გადაურიცხა.

— ერთ დღეს გულიტმა მითხრა, რომ თავის გეგმებში არ მითვალისწინებდა. მან მიმახვედრა, რომ ჩემს კლუბში დარჩენას აზრი არ ჰქონდა. მეც ავდექი და წავედი. ხვეწნას არავის დავუწყებ. „ნიუკასლის" მწვრთნელმა ერთხელაც არ მომცა შანსი, თავი გამომევლინა. იმედია, „გლაზგო რეინჯერსში" მსგავს პრობლემას არ წავაწყდები — განაცხადა 1997 და 1998 წლების საფრანგეთის პირველობის საუკეთესო ბომბარდირმა.

გივარში გლაზგოში გუშინწინ, ხუთშაბათს ჩავიდა, რათა მომავალი კლუბისა და ლევერკუზენის „ბაიერის" დაპირისპირებისთვის ეცქირა. „მას ფრანგული კლუბებისგანაც ჰქონია წინადადება, მაგრამ ჩვენთან წამოსვლა ამჯობინა. მისმა გადაწყვეტილებამ ძალიან გამახარა. ჩვენ მისი შეძენა ადრეც გვსურდა, მაგრამ იმხანად მისი გადაბირება გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა, ახლა კი იგი ჩვენთანაა. გივარში ისეთი ყაიდის ფეხბურთელია, „გლაზგო რეინჯერსს" უთუოდ მოერგება. მე მისი მჯერა — შოტლანდიური ფეხბურთის ფლაგმანის მწვრთნელი დიკ ადვოკაატი ძალიან გაახარა გივარშის შეძენამ.

სასაცილო, აბა, რა არის — მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ „გლაზგო რეინჯერსმა" „ოსერის" ექსთავდამსხმელს ორჯერ სთხოვა თავისთან გადასვლა, მაგრამ გივარშმა გლაზგოში გადაბარგებას „ნიუკასლში" ასპარეზობა ამჯობინა, სულ რაღაც სამი თვის შემდეგ კი მაინც სქოთთა შორის აღმოჩნდა.

მართლაც არაფერია მიუწვდომელი, თუ ძალიან მოინდომებ.

# თამაში დახურულ კარს მიღმა

ყველაფერი კვირას გადაწყდება, შვეიცარიაში, უეფას შტაბ-ბინაში.

სალერნოში, სადაც „ფიორენტინა" უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო შეხვედრაში შვეიცარიის „გრასჰოპერს" მასპინძლობდა, ზედ შესვენების წინ ისეთი ინციდენტი მოხდა, რომლის გამოც აგერ უკვე მეხუთე დღეა, საუბარი არ წყდება. ტაიმი დასრულდა თუ არა, გუნდები და მსაჯები გასახდელისკენ გაემართნენ, მაგრამ გვერდით მსაჯ ფილიპ ლემენს კოლეგებთან ერთად მინდვრის დატოვება არ ეწერა — მავანმა ქომაგმა მოედანზე რაღაც საგანი ისროლა, რომლის აფეთქების შედეგად ლემენი მოედნიდან ჯერ საკაცით გაიყვანეს, შემდეგ კი ჰოსპიტალში გააქანეს. პირველი ტაიმისთვის ანგარიში 2:1 გახლდათ „მასპინძელ" ფლორენციელთა სასარგებლოდ.

მატჩი, რომელიც წესით და რიგით საათნახევარში უნდა დასრულებულიყო, შეწყდა. მსაჯმა შეხვედრის გაგრძელებაზე უარი განაცხადა და მომხდარი დაწვრილებით, წერილობით აცნობა უეფას. ევროპის ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ საქმე შესაბამის ორგანოებს გადასცა, მათ კი თავის მხრივ სადისციპლინო კომიტეტს.

მომხდარიდან რამდენიმე წუთში პირველი ვარაუდებიც გამოითქვა. „ფიორენტინას" სპორტულმა დირექტორმა მელო გოვერნატომ განაცხადა, რამდენადაც გავიგე მოედანზე სანთებელა უსვრიათო, მსაჯმა კი გაცილებით დიდი ასაფეთქებელი ნივთი ახსენა. ვიდეოჩანაწერმა დაეჭვებულნი საქმის ვითარებაში უმალ გაარკვია — ტრიბუნიდან სანთელება კი არ ისროლეს, არამედ სხვა, გაცილებით დიდი რამ.

„გრასჰოპერის" ხელმძღვანელობამ უმალ შეაწუხა უეფას სადისციპლინო კომიტეტი და მოითხოვა, მასპინძელთათვის 0:3 წაგება ჩაეთვალათ, რაც მათ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს აძლევდა, მაგრამ ზემოხსენებული ორგანიზაციის წარმომადგენლები არ აღელდნენ, მომდევნო დღეს, ოთხშაბათს იმსჯელეს და განაცხადეს, რომ შეხვედრა გადათამაშდებოდა ცარიელი ტრიბუნების წინ, მაგრამ სად ან როდის, ეს კომიტეტის მორიგ რიგგარეშე სხდომაზე გადაწყდებოდა, რომლის თარიღიც, თავის მხრივ ცნობილი არ იყო.

გუშინ, პარასკევს, ჟენევაში, უეფას სადისციპლინო კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ფიორენტინას" და „გრასჰოპერის" ხელმძღვანელებს, ისევე როგორც მსაჯებს და საქმეში გარკვეულ რამდენიმე პირს, კვირას თავისთან უხმობს, რათა საკითხს ნათელი მოეფინოს.

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ უეფა წესდებას არღვევს. დარწმუნებულნი ვართ — ფლორენციელთა ადგილზე სხვა ქვეყნის კლუბი რომ ყოფილიყო, მას აუცილებლად 0:3 წაგებას ჩაუთვლიდნენ, მაგრამ რადგან საქმე იტალიელებთან ჰქონდათ, ასეთი გადაწყვეტილებისგან თავი შეიკავეს. სამწუხაროა პატივსაცემი ორგანიზაციის ასეთი ქცევა, მაგრამ რა გაეწყობა. დაველოდებით კვირა დღეს — განაცხადა „გრასჰოპერის" პრესატაშე ფრედი ბიკელმა.

— რაც მოხდა, არ უნდა მომხდარიყო. ვიღაც გადარეულის გამო ძალიან დავზარალდით, ეს კი სასურველი სულაც არ იყო. მართალი გითხრათ, არ მეგონა უეფა გადათამაშებას თუ დანიშნავდა. მე ჩვენს დისკვალიფიკაციას ველოდი — გულახდილად განუცხადა ჟურნალისტებს უტიტულოვანესმა მწვრთნელმა, „ფიორენტინას" თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ.

ერთი სიტყვით, ხვალ შვეიცარიაში დადგინდება როდის და სად გადათამაშდება „ფიორენტინა"-„გრასჰოპერის" ჩაშლილი მატჩი. ამასთანავე ისიც გახდება ცნობილი, თუ რა სახით დააჯარიმებენ იტალიელებს.

ამასობაში, სანამ ფლორენციელები და ციურიხელები გამარჯვებულის ბედს არკვევენ, უეფას შტაბ-ბინაში გათამაშების მერვედფინალის კენჭისყრა მოეწყო. სკანდალური წყვილის გამარჯვებული 24 ნოემბერს შინ მიიღებს ფრანგულ „ბორდოს", 8 დეკემბერს კი საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს თავად ესტუმრება.

**ირაკლი ილაშვილი**

## გერმანია

**შალკე 1:1 ფრაიბურგი**

1:0 ნემეცი (23), 1:1 კორელი (71)

შალკე: შობერი, აიგენრაუხი (ტაპალოვიჩი 52), ა. მიულერი, ვან ჰოგდალემი, ჰელდი, ნემეცი, ვან კერკჰოვენი, ბიუსკენსი, მულდერი (ვოლფი 75), აიკელკამპი, მაქსი (ლატალი 69)

ფრაიბურგი: გოლცი, ტ. ჰოფმანი, კორელი (რიტპიჩი 75), შ. მიულერი, კოლი, გიუნესი (სლიმანი 66), პავლინი, ბაია, კობიაშვილი (ფრონცეკი 46), ვაისჰაუპტი, სელიმი

გაფრთხილება: ნემეცი, ვან ჰოგდალემი, კობიაშვილი, სელიმი

მსაჯი: ვაგნერი

# პატრიოტი



ამ ბიჭში მილიონებს იხდიან, ის კი კიევიდან წასვლას არსადაც არ აპირებს

**ჩემპიონთა** ლიგის ბოლო მატჩში ლონდონის „არსენალს" ერთ-ერთი გოლი ანდრეი შევჩენკომ გაუტანა და კვლავ აალაპარაკა საფეხბურთო სამყარო. თუმცა, მასზე საუბრები არც აქამდე წყდებოდა — ვიწრო წრეებში, უმეტესად მსოფლიოს წამყვანი კლუბების ხელმძღვანელთა შორის, განუწყვეტლივ ფიგურირებდა ამ უნიჭიერესი ახალგაზრდა ფორვარდის სახელი...

წარსულში საბჭოთა კავშირის ნაკრების თავკაცი ვალერი ლობანოვსკი, ვინც იმავდროულად კიევის „დინამოს" წვრთნიდა და გუნდს ორჯერ, 1975, 86 წლებში, ევროპის თასების თასი მოაპოვებინა, 1995 წელს კვლავ ჩაუდგა სათავეში „დინამოს", ახლა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენელ კლუბს. ამ კაცის უდიდესი გამოცდილების, საქმისადმი უაღრესად პროფესიონალური დამოკიდებულების და ხანდახან ზედმეტად მკაცრი დისციპლინის ამბავი კარგა ხანია, უკრაინის ფარგლებს გასცდა და მთელს მსოფლიოს მოედო. მუდამ მოღუშული, ჩაფიქრებული, უემოციო და სათადარიგოთა სკამზე თავისებურად მოქანავე სპეციალისტის გადაბირება ბევრმა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — ეს ლობანოვსკის პრინციპია, საქმეს თუ ხელი მოჰკიდა, ბოლომდე მიიყვანს. ჰოდა, შეკრიბა კაცმა რაც ნიჭიერი ბავშვი იყო სამი წლის წინ კიევში, ამათ რამდენიმე გამოცდილი მოთამაშეც დაუმატა და დაიწყო გუნდის მშენებლობა. ეს მშენებლობა სწრაფი ტემპით და ხარისხიანად რომ მიმდინარეობდა, უკრაინის ნაკრებსაც დაეტყო, არაფერს ვამბობთ „დინამოზე". კიეველებმა ნამდვილი ფურორი მოახდინეს ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ გათამაშებაში, თანაც ისეთ ჯგუფში მოხვდნენ, კაცი ვერ იფიქრებდა, აქედან ეს პატარა ბიჭები გავლენო. თავად განსაჯეთ — „ეინდჰოვენი", „ნიუკასლ იუნაიტედი" და „ბარსელონა" — მართლაც სოლიდური კომპანიაა. მაგრამ დაიწყო ტურნირი და საფეხბურთო სამყარომ გაოცებისგან პირი დააღო.

„ბარსელონასთან" შეხვედრები გავიხსენოთ. თავიდან ვარსკვლავებით გადაჭედილი კატალონიური კლუბი კიევს ეწვია. მაშინ „დინამომ" ისე ითამაშა, ვან ბასტენის „მილანი" რომ ბურთაობდა — დალაგებულად, დაცვაში მჭიდროდ და შეტევაში აღმაფრენით. და რაც მთავარია, გუნდურად. „დინამოს" თერთმეტი ფეხბურთელი ერთ მუშტად იყო შეკრული, ერთნაირად აზროვნებდა. ხოლო როდესაც გუნდი ასე თამაშობს, ამის უმთავრესი შემოქმედი მწვრთნელია, ამ შემთხვევაში ლობანოვსკი. შედეგი — 3:0.

ორ კვირაში „კამპ ნოუზე" შეიყარა ეს ორი კლუბი. კვლავ გაიბრწყინა ლობანოვსკის გენიამ და კიდევ ერთმა კაცმა, უფრო სწორედ პატარა ბიჭმა, რომელსაც ანდრეი შევჩენკო ჰქვია. 110 ათასი ესპანელი ქომაგი გაკვირვებული ადევნებდა თვალს ამ რეაქტიული ყმაწვილის გარჯას, რომელმაც იმ დღეს ჰეთ-თრიქი შეასრულა. დღეს სწორედ შევჩენკოზე გვექნება საუბარი.

უკრაინულ პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდება ცნობები შევჩენკოს სხვა კლუბში გადასვლის შესახებ. ეს არც არის გასაკვირი — ყველას უნდა ტალანტი არ გაუშვას ხელიდან. ცოტა ხნის წინ, აი მაშინ, შევჩენკომ პირველად რომ გაიბრწყინა ევროპაში, კიეველებს მსოფლიო ფეხბურთის გრანდი „მანჩესტერ იუნაიტედი" შეეხმიანა, ეგ ბიჭი მოგვეცით და ახლავე ვიხდით 20 მილიონ დოლარსო. ინგლისელთა შოტლანდიელი თავკაცი ალექს ფერგიუსონი თურმე დღედაღამ იმის ცდაში იყო, როგორმე ხელში ჩაეგდო უკრაინელი ფორვარდი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კიევიდან მას უარი შეუთვალეს. შემდეგ „მილანი" იყო, „ინტერიც" და ბევრი სხვა სახელოვანი კლუბი, თუმცა ლობანოვსკისთან ვერავინ ვერაფერი გააწყო — შევჩენკო „დინამოში" დარჩა.

მიმდინარე სეზონი 22 წლის თავდამსხმელმა არცთუ შთამბეჭდავად დაიწყო. გოლებიც იშვიათად გაჰქონდა. ალბათ, ამიტომაც იყო, მასთან ერთად მთლიანად „დინამომ" რომ უკლო. ჯერ ჩემპიონთა ლიგაში „გაძვრა" დიდი გაჭირვებით, მერე კი იქაც უსუსურად დაიწყო. თუმცა ჟამთა სვლასთან ერთად ლობანოვსკის ბიჭებმაც მოუმატეს და „უემბლიზე" ინგლისის ჩემპიონს აშკარად აჯობეს, მხოლოდ იღბალმა აქციათ ზურგი და მატჩი 1:1 დასრულდა. 4 ნოემბერს კი „არსენალს" იღბალი და „დინამო" ერთად დაუხვდნენ და ვენგერი და კომპანია ლონდონში კუდამოძუებულები გაუშვეს. ერთადერთი, ვინც იმ დღეს შევჩენკოს სჯობდა, ალბათ, კიდევ ერთი ნიჭიერი უკრაინელი, მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკი გახლდათ.

ეგ იყო და კვლავ აწკრიალდა ტელეფონი „დინამოს" ოფისში. ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებიც ძირითადად შევჩენკოზე აჩერებდნენ ყურადღებას. გავარდა ხმა, რომ მისი და სერგეი რებროვის შეძენა რომელიღაც იტალიურ გუნდს სურს და ასტრონომიული თანხაც გამზადებული აქვსო. მაგრამ...

— არა მგონია, შევჩენკოს საზღვარგარეთ წასვლამ და ბევრმა ფულმა რაიმე სარგებელი მოუტანოს. მართალია, იგი ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელია, მაგრამ მას ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აქვს სასწავლი. სწავლით კი ყველაზე ბევრს და კარგად ანდრეი მშობლიურ „დინამოში" ისწავლის. თანაც ჯერ სულ ახალგაზრდაა — 22 წლის და ამიტომაც ვფიქრობ, რომ იგი გარკვეული პერიოდი კვლავ ჩვენთან ერთად უნდა იყოს — ეს სიტყვები ვალერი ლობანოვსკის ეკუთვნის, კაცს, რომელსაც ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის შევჩენკოს უმაღლესი დონის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში.

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, თავის მასწავლებელს სავსებით ეთანხმება თავად შევჩენკოც. მოვუსმინოთ მას:

— მე ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი ვარ. მიუხედავად ამისა, მაქვს შესანიშნავი ბინა და ძალიან კარგი მანქანა, რომლებიც ჩემი ფულით შევიძინე. რაც მომესურვება, ყველაფრის ყიდვა შემიძლია. მოკლედ, ჩემი დღევანდელი მდგომარეობით სავსებით კმაყოფილი, მეტიც, ბედნიერი ვარ.

შევჩენკოს მართლაც ნორმალური ხელფასი აქვს — 100 ათასი დოლარი წელიწადში. საერთოდ, „დინამოს" ფეხბურთელების საშუალო თვიური ანაზღაურება 5 ათასი დოლარია. ამას დამატებული ბინა, მანქანა, უფასო კვება და სხვა წვრილმანი პრივილეგიები. შევჩენკოს და მის თანაგუნდელებს გაცილებით უკეთ შეუძლიათ იცხოვრონ, ამისთვის უცხოურ კლუბებს თანხმობა უნდა მისცენ და საქმეც მოთავებულია — ისინი მილიონერები გახდებიან. და მაინც, მათ ფულზე მეტად სხვა რამ აინტერესებთ. კერძოდ, მშობლიური ქალაქის და კლუბის ღირსების დაცვა ანუ — ისინი პატრიოტებ[ი] არიან.

— არ ვარ დარწმუნებული, რომ საზ[ღ]ვარგარეთ უკეთ ვიქნები. კიევში მშვ[ე]ნივრად ვგრძნობ თავს. აქ არიან ჩემ[ი] მეგობრები, ჩემი ოჯახი. ერთადერთი პრო[]ბლემა მქონდა — გოგონები იკლებდნ[ენ] ჩემს ტელეფონს და ისიც გადავჭერი — ნომერი გამოვიცვალე — აღნიშნა მომ[ა]ღიმარმა შევჩენკომ.

ახლა იმ კაცის პოზიციასაც გავეცნო[თ], ვისაც „დინამოს" ფინანსურ სამზარე[უ]ლოზე ყველაზე უფრო მიუწვდება ხელ[ი]. ეს გრიგორი სურკისია, კლუბის პრეზი[]დენტი და ამავდროულად უკრაინაში ცნო[]ბილი პოლიტიკური მოღვაწე და პარ[]ლამენტის წევრი.

— ჩვენ ანდრეისთან ხანგრძლივი კონ[]ტრაქტი გვაკავშირებს. თუმცა ეს არ არი[ს] იმის მიზეზი, რომ მას ვერავინ ყიდუ[]ლობს. უბრალოდ, „დინამოს" მისი ტა[]ლანტი უფრო სჭირდება, ვიდრე მას შ[ემოთ]ავაზებული მილიონები.

ბევრი რომ აღარ ვილაპარაკოთ, „დი[]ნამოს" მწვრთნელიც, პრეზიდენტიც და თავად შევჩენკოც ერთ აზრზე არიან, რო[]მელიც პატრიოტიზმის, პროფესიონალი[]ზმის და ერთგულების პრინციპზეა აგ[ე]ბული. მათთან ერთად არის უკრაინუ[ლი] პრესაც. ჟურნალისტებს ამ აზრის მარ[]თებულობის დასამტკიცებლად მოსკო[]ვის „სპარტაკის" მაგალითიც მოჰყავ[თ], კიეველთათვის არცთუ საყვარელი კლუ[]ბის, რომელმაც ბოლო სამი წლის გა[]მავლობაში მრავალი წამყვანი ფეხბუ[რ]თელი დაუთმო უცხოურ გუნდებს და ახლა ევროპულ სარბიელზეც ველ[]ირჯება სათანადოდ. გაუჭირდა რუსეთ[ის] ნაკრებსაც. ისიც ხომ ძირითადად „სპა[]რტაკის" ფეხბურთელებით იყო დაკ[]მპლექტებული, მათი შეთამაშებულობ[ის] იმედზე.

თუმცა უკრაინელ ჟურნალისტებს თ[ა]ვისიანთა წასაქეზებლად მაგალითების მ[ო]ყვანა ნამდვილად არ სჭირდებათ. ამ ქვ[ე]ყანაში ყველა, ვისაც კი ფეხბურთთან კა[]ვშირი აქვს, მათ შორის მილიონებს შეფასებული შევჩენკოც, ერთნაირად ფი[]ქრობს. ჰოდა, ძალა ხომ ერთობაშია.

**დავით ძოწენიძე**

# ლიონელი ყალმუხები

*ფეხბურთი ამ ლიონური ოჯახისთვის ტრადიციად იქცა. შვილი მამის კვალს გაჰყვა და მასზე მეტ წარმატებასაც მიაღწია. თუმცა არც მამა იყო ჯაბანი: 48-ჯერ საფრანგეთის ნაკრების ლურჯი მაისური მოირგო, აქედან 24-ჯერ თანაგუნდელებს მინდორზეც გაუძღვა, როგორც კაპიტანი. მოსკოვში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისას მსოფლიოს ჩემპიონთა რიგებში შვილიც ორმოცდამერვედ გამოვიდა და მამას დაეწია, ცოტა ხანში კი გაუსწრო კიდეც: ოთხიოდ დღეში მან ანდორელთა წინააღმდეგაც ითამაშა. საუბარია გაფრანგებულ ყალმუხებზე ჟან და იური ჯორკაეფებზე. მამა-შვილზე უკეთეს წარმოდგენას შეგვიქმნის ინტერვიუ, რომელიც ფრანგულმა ჟურნალმა „ფრანს-ფუტბოლმა“ გამოაქვეყნა.*

— ჟან, იური, ერთმანეთით, ალბათ, ძალიან ამაყობთ...

ჟან ჯორკაეფი: როცა ვხედავ, თუ როგორ სთხოვენ იურის ფეხბურთის პატარა თაყვანისმცემლები ავტოგრაფებს, სასიამოვნო ჟრუანტელი მივლის. უბედნიერეს კაცად ვგრძნობ თავს იმის შემხედვარე, რომ მან საწადელს მიაღწია და ჩემსავით ძლიერ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა, შეიძლება ჩემზე უკეთესიც კია... ეს კი საკმაოდ რთულია იმ ადამიანისთვის, ვისი მამაც საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი იყო. მეუბნებით, რომ მსოფლიოში პირველი შემთხვევაა, მამა-შვილს ამდენჯერ ეთამაშოს ნაკრებში და ამით უფრო ბედნიერი ვარ.

იური ჯორკაეფი: მართლაც ძალიან მეამაყება, რომ მისი შვილი ვარ. პატარაობისას სასეირნოდ რომ წამიყვანდა, ქუჩაში ყოველი მეორე შემხვედრი აჩერებდა და შინ დაგეგმილზე ორი-სამი საათით გვიან ვბრუნდებოდით. ჩემს მეგობრებს თავიანთ მამებთან აბსოლუტურად განსხვავებული ურთიერთობა ჰქონდათ. ჩვენ, სადაც უნდა მივსულიყავით, ყველგან მოწიწებით და სიყვარულით გვხვდებოდნენ. სიამაყეც აქედან მოდის. ჩემი უფროსი ბიჭი საშაც, ალბათ, ამას განიცდის, როცა ჩემთან ერთადაა ქალაქში.



ცოტა ხანში იურის მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალს გადასცემენ

— იურის მსოფლიოს ჩემპიონად გახდომის შემდეგ უფრო უნდა ამაყობდეთ მისით...

ჟ.ჯ: არა! ის ჯერ კიდევ არაა საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი (შვილს შეხედა და გაიცინა. ფ.ფ.). მაგრამ ძალიან მიხარია ის, რომ ახალგაზრდები იურის მამად მცნობენ. ამას წინათ ერთი გოგონა დაჟინებით მთხოვდა, თქვენ ხომ იურის მამა ხართ, იქნებ მისი ავტოგრაფი გამიხერხოთო.

— ძნელია ცნობილი ფეხბურთელის შვილობა?

ი.ჯ: არცთუ იოლია მამის კვალზე წასვლა. თავიდან არც ერთ კლუბს არ სურდა ჩემი მიღება, მაგრამ მიზეზს არავინ მეუბნებოდა. მხოლოდ „სოშოს“ ხელმძღვანელებს ეყოთ გამბედაობა და თავიანთი უარი ამიხსნეს: „ვერ აგიყვანთ, რადგან ძალიან დიდი სახელი გაქვთ და მისი გამართლება გაგიჭირდებათ“.

— ფრანგული დროშის ღირსების დაცვაზე რა აზრის ხართ? ჟან, იური ლურჯ-თეთრ-წითელი სულისკვეთებით აღზარდეთ?

ჟ.ჯ: რა თქმა უნდა.

ი.ჯ: არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი. უფრო სწორად, კი მიყვარს, მაგრამ ძალიან იშვიათად ვაკეთებ ამას. დღეს ბევრი ფეხბურთელი ჰკოცნის თავის მაისურს, მაგრამ ორიოდ კვირაში სხვა კლუბში უპრობლემოდ გადადის. მე თავის შეკავებას ვამჯობინებ. საფრანგეთის სიყვარული ჩემს გულშია და ამის საქვეყნოდ გამოცხადება არ მჭირდება. თანაც, რას იტყვიან „ნაციონალური ფრონტის“(ფრანგული მოფაშისტო ორგანიზაცია გ.გ.) წარმომადგენლები, ჩემსავით არატიპურმა ფრანგმა დროშის კოცნა რომ დაიწყოს (იღიმება).

ჟ.ჯ: დღეს, როცა ეროვნულ ჰიმნებს უკრავენ, ფეხბურთელებიც მღერიან ხოლმე. ჩემს დროს არავინ მღეროდა, მაგრამ ჩვენ გულგრილნი სულაც არ ვიყავით, სამშობლო გვიყვარდა და ამის დასამტკიცებლად სიმღერა არ გვჭირდებოდა. ჩვენ მინდორზე ვიხარჯებოდით სრულიად.

— თქვენს წარმოშობაზეც გვითხარით ორიოდ სიტყვა.

ჟ.ჯ: მამაჩემი ყალმუხია, დედაჩემი კი — პოლონელი, შინ ისინი რუსულად საუბრობდნენ. მე კი ფრანგი ვარ. არც ყალმუხური ვიცი, არც პოლონური და არც რუსული. ისინი ჩემთვის უცხო ენებია. თავს ყოველთვის ფრანგად ვგრძნობდი, ყოველთვის მინდოდა, ფრანგი ვყოფილიყავი.

ი.ჯ: ჩემთვის და ჩემი ძმებისთვის კი ყველაფერი საპირისპიროდაა... პირველ თაობას ახალ ქვეყანაში დამკვიდრება სურდა. მეორე თაობას კი ფესვებთან უნდა დაახლოება.

ჟ.ჯ: მართალია. ხანში რომ შევედი, გულმა ყალმუხეთისკენ გამიწია და ორჯერ ჩავედი იქ, რათა მამაჩემის სამშობლო ცოტათი მაინც გამეცნო, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მშობლები იქიდან გამოაძევეს. დღეს საფრანგეთში ემიგრანტებისთვის ცხოვრება უფრო იოლია, ვიდრე ადრე. მაშინ ხომ ყველა უცხოდ აგვიქვამდა, თითქოს იქ არაფერი ესაქმებოდა.

## იური: როცა მსოფლიოს ჩემპიონი ხარ, მეტი უნდა იმუშაო

— როგორც მძლეოსნობაში, ფეხბურთშიც ხომ არ არსებობს ამანათის გადაცემა, ოღონდ მამიდან შვილზე?

ჟ.ჯ: მახსოვს, მას ვუთხარი: ჩვენ ისეთი ხელობა გვაქვს, წარმატების მისაღწევად ძლიერი რომ იყო, საკმარისი არაა — ძალიან ძლიერი უნდა გახდე. ესაა ერთადერთი რამ, რაც იურის ვურჩიე, როცა მან გადაწყვიტა, პროფესიონალი გამხდარიყო. იმავეს ვუმეორებ დღესაც.

ი.ჯ: ჩემი აზრით, მთავარი, რაც მამაჩემმა მასწავლა — ესაა მუშაობა და შრომის დაფასება.

ჟ.ჯ: ეს თვისებები ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ძალიან საჭიროა. ჩემი დანარჩენი შვილებიც ასეთი სულისკვეთებით აღვზარდე. და კიდევ, თავმდაბალი უნდა იყო. მე და იურის ნაკრებში ამდენი გვითამაშია, მაგრამ სიხარულისგან არ ვხტუნავთ და არ გავიძახით, რომ უძლიერესები ვართ.

ი.ჯ: როცა მსოფლიოს ჩემპიონი ხდები, ადრინდელზე მეტი უნდა იმუშაო. ამას წინათ მადრიდში „რეალს“ ვხვდებოდით ჩემპიონთა ლიგის მატჩში. იმ საღამოს მე არ მითამაშია, მაგრამ შეხვედრის დასრულების მერე „ინტერის“ ერთ-ერთი მწვრთნელის დახმარებით საკმაო ხანს მარტომ ვივარჯიშე. შემეძლო, საკუთარი თავისთვის მეთქვა: „რად მინდა ახლა ვარჯიში, შენ ხომ ისედაც მსოფლიოს ჩემპიონი ხარ“... მაგრამ არა! ვიცი, რომ შრომა მუდმივადაა საჭირო და ვშრომობ კიდეც!

— ნაკრებში ორივემ ამდენი ითამაშეთ, თქვენი გზები კი მაინც განსხვავებულია...

ჟ.ჯ: ნაკრებში პირველად 1964 წელს მიმიწვიეს, უკანასკნელი მატჩი კი 1972 წელს ჩავატარე, ანუ რვა წლის განმავლობაში მეცვა საფრანგეთის ნაკრების მაისური. ამ რვა სეზონის მანძილზე მხოლოდ ერთხელ მივიღე ტრავმა...

ი.ჯ: მე მხოლოდ ხუთი წელია, რაც ქვეყნის უპირველეს გუნდში გამოვდივარ. პირველი მატჩი „ლურჯების“ შემადგენლობაში 1993 წელს ვითამაშე, პარიზში ისრაელმა დაგვამარცხა.

ჟ.ჯ: ადრე ნაკრები უფრო იშვიათად თამაშობდა, თორემ გაცილებით მეტჯერ დავიცავდი ჩვენი ქვეყნის ღირსებას. მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ერთხელ მომიწია თამაშმა და მხოლოდ სამი მატჩი ჩავატარეთ...

ი.ჯ: მერე, ვისი ბრალია? მეც ერთხელ ვიყავი მსოფლიოს ჩემპიონაზე, მაგრამ, შენგან განსხვავებით, შვიდ შეხვედრაში ვითამაშე და ოქროს მედალიც დავიმსახურე (იცინის. ფ.ფ.). სერიოზულად თუ ვიმსჯელებთ, ვნახავთ, რომ ადრე მართლაც გაცილებით ძნელი იყო თამაში.

— იური, თუ გახსოვთ მამათქვენი საფრანგეთის ნაკრების მაისურით მინდორზე?

ი.ჯ: 1968 წელს დავიბადე, მამამ კი ნაკრებში უკანასკნელად 1972-ში ითამაშა, ანუ როცა ოთხი წლისა ვიყავი. ამიტომ არაფერი მახსოვს, თუ არ ჩავთვლით „პარკ დე პრენსის“ რაღაც ბუნდოვან მოგონებებს. სამაგიეროდ მშვენივრად მახსოვს ის საღამოები, როცა მთელი ოჯახი ტელევიზორს მივუსხდებოდით „ლურჯების“ სანახავად. ჰიმნის დროს ყველა ფეხზე დგებოდა და მეც ჯარისკაცივით გავიჯგიმებოდი ხოლმე. მაშინ 6-7 წლისა ვიყავი.

ჟ.ჯ: სამაგიეროდ, მე მახსოვს მისი ყველა თამაში, ყველა აქ არის (ხელი თავთან მიიტანა. ფ.ფ.).

## ჟანი: ნერვებზე ვიშლები, როცა იურის ეგოისტს ეძახიან

— გახსოვთ თქვენი პირველი მატჩი ნაკრებში?

ჟ.ჯ: 1963 წელს თავდასხმელად ვთამაშობდი, მაგრამ მაშინ „ლიონში“ ამ პოზიციაზე ძალიან დიდი კონკურენცია იყო და მეც ხშირად მიწევდა სათადარიგოთა საკმზე ჯდომა. ასე მოხდა, მაგალითად, იმწლევანდელი საფრანგეთის თასის გათამაშების ფინალშიც. ჩემი მწვრთნელი კი თვლიდა, რომ გუნდს უფრო მეტ სარგებლობას მოვუტანდი დაცვაში. მეც დავუჯერე და დაცვის ფლანგზე გადავედი სათამაშოდ. ჰოდა, 1964 წლის ოქტომბერში უკვე ნაკრებში მოვხვდი — ლუქსემბურგი 2:0 დავამარცხეთ. განსაცვიფრებელი გრძნობა გეუფლება, როცა ეროვნული გუნდის მაისურს პირველად მოირგებ. იურიც ძალიან ბედნიერი იყო, როცა პირველად მიიწვიეს ნაკრებში.

ი.ჯ: ყოველ ახალ თამაშში მონაწილეობაც განსაკუთრებით სასიამოვნოა. თავიდან ახალ ხალხს უნდა შეეჩვიოთ, შემდეგ კი ნაკრები უკვე კლუბს ემსგვასება — „საფრანგეთის კლუბს“. და იქ თამაშიც, მეგობრების მხარდამხარ, ენით აუწერელი ბედნიერებაა.



ჟან ჯორკაეფი დაცვაში გადასვლის მერეც იცლიდა შეტევებისთვის

— იური, ხშირად ყოფილხართ გახვეული კრიტიკის ქარცეცხლში, მაგრამ თითქოს ეს თქვენზე ვერანაირ ზეგავლენას ახდენს.

ი.ჯ: ჟურნალისტებს უფლება აქვთ და მოვალენიც არიან, თავიანთი აზრი ჰქონდეთ. მართალია, ზოგი სწორია და ზოგიც ცდება, მაგრამ მე ამას ყურადღებას არ ვაქცევ. თამაშის მეორე დღეს ზოგიერთებივით არ გავრბივარ გაზეთების სანახავად, რომ გავიგო, რა ნიშანი დამისვეს ჟურნალისტებმა — არ მაინტერესებს და იმიტომ.

ჟ.ჯ: ნერვებზე ვიშლები, როცა ვკითხულობ, რომ იური ეგოისტი და ინდივიდუალისტია, რადგან მარტო ყოფნა უყვარს, რადგან ქალაქში ცხოვრობს და არა გარეუბანში... მას ეს არ ანაღვლებს, მაგრამ აბა, მე მკითხეთ?

ი.ჯ: მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ყველაფერი პირიქითაა, სრულიად საპირისპირო ბუნება მაქვს.

ჟ.ჯ: ადრე ხშირად მარტო წყვეტდა თამაშების ბედს, მაგრამ მაშინ შედარებით სუსტ გუნდებში გამოდიოდა, ვიდრე დღეს. ზოგი კი ამბობს, რომ ადრინდელივით ძლიერი ველარაა. განა ეს მართალია?

— ჟან, თქვენც ხომ არ ყოფილხართ იგივე დღეში ფეხბურთელობისას?

ჟ.ჯ: არა. ჯერ ერთი, მაშინ ჟურნალ-გაზეთებიც ნაკლები იყო და ტელეარხებიც, ესე იგი, ჟურნალისტებიც. მეორეც, ისეთი ამპლუა მქონდა, რომ ბევრი ყურადღებას არ აქცევს.

— თქვენ არასდროს აკრიტიკებთ საკუთარ ვაჟს?

ჟ.ჯ: კი, ხდება ხოლმე.

ი.ჯ: მისი კრიტიკა ყოველთვის მეხმარება, რადგან მამას მიზანი ჩემი დახმარებაა და არა ჩემი განერვიულება და გალანძღვა.

— კიდევ აძლევთ იურის რჩევებს?

ჟ.ჯ: უკვე კარგა ხანია, არა.

ი.ჯ: ტყუის, ტყუის (იცინის. ფ.ფ.).

— იური, თქვენზე და ზიდანზე ამბობენ, რომ ჟირესისა და პლატინის დუეტს ჰგავხართ, ანუ ჯორკაეფი ისევე „ემსახურება“ ზიდანს, როგორც ჟირესი პლატინისო. მართალია ეს?

ი.ჯ: არა. მე გუნდს ვემსახურები და არა ზიდანს. ადრე კი ვიყავი ინდივიდუალისტი და გოლის გატანაც უფრო მიხაროდა, ვიდრე გუნდის გამარჯვება, მაგრამ მაშინ ახალგაზრდა გახლდით და არ ვიცოდი, უფრო მნიშვნელოვანი რომელი იყო. ახლა მთლიანად გუნდის მოგებაზე ვთამაშობ.

ჟ.ჯ: იმასაც ამბობდნენ, იურის და ზინედინის ერთად თამაში არ შეიძლებაო, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად ჩანდა, რომ ეს აზრი მცდარია.

— რა თვისებები აქვს იურის ისეთი, რომელიც თქვენ არ გქონდათ და პირიქით?

ჟ.ჯ: იური ტექნიკურად ჩემზე გაცილებით ძლიერია. ცხოვრებაში კი ჩემზე მხიარულია, სულ იღიმება, დედამისს ჰგავს.

ი.ჯ: არ ვიცი, მამაჩემი რითი მჯობდა, რადგან მისი თამაში კარგად არ მახსოვს.

## იური: არასოდეს დამავიწყდება 1998 წლის ზაფხული!

— თქვენი მოგონებებიდან რომელს გამოყოფდით?

ჟ.ჯ: ყველაზე მეტად 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფიდანაც კი ვერ გავედით.

ი.ჯ: ალბათ იმიტომ, რომ პირველად იმოგზაურე არა მატარებლით, არამედ თვითმფრინავით (კვლავ იცინის. ფ.ფ.).

ჟ.ჯ: შედეგის მიუხედავად, ეს შეჯიბრი მაინც საუკეთესო მოგონებად დამრჩა. ადრე სულ სხვანაირი თამაში იყო. ამას წინათ იურიმ ჩვენი მატჩების ვიდეოჩანაწერები მომიტანა და გავოცდი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ამხანაგურ შეხვედრებს ვუყურებდი, იმდენად ცოტა იყო ბრძოლა, ბრძოლა დღევანდელი გაგებით. მაგალითად, მესამე შეხვედრაში ინგლისის წინააღმდეგ (0:2) ჯერ კიდევ გვქონდა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი. ყოველ შემთხვევაში, დასაკარგი აღარაფერი იყო. მაგრამ თითქმის არ გაგვიკეთებია ტექნიკური ვარდნა, იშვიათადაც ვჯარიმდებოდით, როცა მეც და ბოსკიეც საკმაოდ უხეშ ფეხბურთელებად ვითვლებოდით.

— იური, თქვენი საუკეთესო მოგონება ადვილი მისახვედრია...

ი.ჯ: რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატი. მაგრამ არც ოქროს თასის გადაცემის მომენტს გამოვყოფ და არც რომელიმე მატჩს. მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის მთელი ორ თვეს აქვს განსაკუთრებული ფასი, იმ ორ თვეს, რომელთა მანძილზეც ვემზადეთ, ვითამაშეთ და მოვიგეთ. არასოდეს დამავიწყდება 1998 წლის ზაფხული.

— ჟან, იურიმ ნაკრებში 48-ე მატჩი რუსეთში ჩაატარა, რითაც თქვენ გაგიტოლდათ. თუ იცით, ვის წინააღმდეგ გამოხვიდოდით მინდორზე საფრანგეთის ნაკრებთან ერთად თქვენს 49-ე შეხვედრაში?

ჟ.ჯ: არა, უბრალოდ, მხოლოდ ჩემი ბოლო მატჩი მახსოვს ათენში.

...საბერძნეთი-საფრანგეთის თამაშის შემდეგ კი „ლურჯებმა“ სსრკ-სთან ითამაშეს...

**თარგმნა გაგი გურულმა**



გოგი ახვლედიანის

## სვეტი

### არ გაფუჭდება

აგერ, ბიჭები ლაპარაკობდნენ და დიდი კამათიც ატყდა მაიკლ ოუენის გამო.

ჩვენებური გულშემატკივარი ალბათ იმითაც გამოირჩევა სხვა ქვეყნების ქომაგთაგან, რომ მომავლის განჭვრეტა უყვარს ხოლმე ანუ როცა სტადიონზე მიდის, იმდღევანდელი მატჩი თითქოს მოთავებულიც კი აქვს და უკვე იმას ფიქრობს, ხუთი თვის შემდეგ როგორ მოუგებს ნორვეგიას.

ჩვენი ფეხბურთის ბედი ისეთია, რომ კაცმა სულ მომავალზე უნდა ილაპარაკოს, ვინაიდან დღევანდელობის გამო უიმედობას შეუპყრია.

აი, ოუენზე კამათისასაც ასეთი რამ მოხდა. ამ ბიჭის ასაკი ძალიან დიდი საცდური რამაა იმისთვის, რომ მისი მომავალი განჭვრიტო. მაგრამ საკვირველია, როცა გაიგონებ, ვერ გაქაჩავსო, გაფუჭდებაო და ასე შემდეგ.

რატომ უნდა გაფუჭდეს? აქაც ჩვენი ქართველური ამბავია ჩარეული. ჩვენებურ ქომაგებს ბევრი ქართველი ამომავალი ვარსკვლავი უნახავთ წამხდარი, გზას აცდენილი და ფეხბურთში ღირსეულად ვერჩაბმული. ამიტომ, დიდად არც გაემტყუნებათ.

მაგრამ აქ მეორე ამბავია: ოუენის ცალი ფეხი იმდენ მილიონადაა დაზღვეული, რამდენის ტრანშს (თუ რაღაც ეგეთს) მთელი ჩვენი ქვეყანა მოუთმენლად მოელის დეფიციტის ამოსავსებად.

ასე რომ, ეგრე იოლად ოუენს არავინ მისცემს გაფუჭების უფლებას.

თუმცა, ეს არასათამაშო ამბავია. სათამაშო მხრივ კი ოუენის გამო ამბობენ, რომ „ერთი გაიქცა“ და ეგ არისო, მარადონა მაგის ხნისო, ასე და ისეო. შედარება ნაადრევი და უადგილოა. მაიკლ ოუენს კი დიდი შანსი აქვს, რომ თხუთმეტ წელიწადს იყოს მეფედ. თუმცა, მემკვიდრეობა ჯერ არ მოუღია.

არცერთ თინეიჯერ ფეხბურთელს არა აქვს ამხელა შანსი.

„ლივერპულში“, სადაც მაიკი ირჯება, სრულიად არ არის იმის პირობები, რომ თამაში ამ ბიჭის გარშემო აეწყოს. „ლივერპულში“ მაიკლი ერთ-ერთი წევრია და არა ლიდერობამინდობილი ფეხბურთელი. ამბობენ, რომ ის ყმაწვილია და ბევრი რამ აქვს სასწავლი. ცხოვრება სწავლაა. ოუენს მართლაც ბევრი აქვს სასწავლი. მგონია, რომ ის, რაც მას აკლია ასაკისეული სიბრძნე და მოედნის პყრობის, ლიდერობის უნარია. ეს უკანასკნელი ეგებ ჰქონდეს კიდეც, რაკან ბავშვობიდან ლიდერი იყო ხოლმე და ინგლისურ სასკოლო ფეხბურთში საუკეთესო მეგოლის სახელი დატოვა, მაგრამ „ლივერპულში“ ჯერჯერობით არავის უფიქრია, რომ ამ ბიჭს მეტი ტვირთი აჰკიდოს. ალბათ, მწვრთნელებმა უკეთ იციან, მაგრამ მეორეს მხრივ, დღევანდელი „ლივერპული“ ის გუნდი არ არის, თავაწეული რომ იდგეს მოედანზე დღეს, ის არ არის ის გუნდი, სადაც ოუენი სრულად გაშლის ფრთას. მას ბევრი არც არავინ ეხმარება ამ საქმეში. პირიქით, თავად ეხმარება სხვებს.

ხოლო ის, რაც აქვს ოუენს, სადღეისოდ უმაღლესი დონისა და ულტრათანამედროვეა. მისი მანევრირების უნარი უნიკალურია. მისი დარტყმები ძლიერი და ზუსტია. პოზიციის შერჩევის უნარი სანიმუშო. სისწრაფე და ვირაჟი მიმისამგვრელია, ჯერჯერობით ოუენი ფლობს სამ-ოთხი ტიპის დარტყმას, რომელთაგან ორი ძალიან კარგად აქვს დამუშავებული. თუკი ოუენი შეძლებს და წაბაძავს მარკო ვან ბასტენს, ანდა თუნდაც 60 პროცენტს მაინც აითვისებს ამ დიდი ჰოლანდიელის დარტყმების არსენალიდან, მაშინ მისი წინსვლა თვალშისაცემი იქნება. ოუენი საკმაოდ კარგად ფლობს ძნელძნელი თავდამსხმელისთვის საჭიროს და საჭირო პასის ოსტატობას, თუმცა, მეფობაზე როცა ვლაპარაკობთ, ამ მხრივ მასშტაბი ბევრად დიდი უნდა იყოს.

ის კიდევ ბევრს ისწავლის. ტანმორჩილია, მაგრამ აბა ნახეთ, როგორია კარის წინ?

სადღეისოდ, ოუენი უკვე სჯობს ძალიან ბევრ სახელოვან ვარსკვლავს. ოცი წლისაც არ შესრულებულა და უკვე თავისი, პირადი ფეხბურთი აქვს.

რატომ უნდა გაფუჭდეს? იმიტომ რომ ლუდი შეუყვარდება? რიკარდო სამორა შესვენებაზე ეწეოდა ორ ღერ სიგარეტს.

თუნდაც, საშაბათის ამბავი გავიხსენოთ, მხობლავი „ლივერპული“ რომ ვალენსიაში კვდებოდა. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც „ლივერპული“ არ გავარდა, ოუენი იყო. პირდაღებული ფაულერი, აბურდული მაკმანამანი, გულხელდაკრეფილი ინსი და ეს ბიჭი, რომელმაც არ მოისვენა, რომელიც ეწვალა და თამაში გარდატეხა. თავად ვერ გაიტანა, მაგრამ სხვას გაატანინა. ეგეც ძალიან ფასეული თვისებაა, თან ისეთ გუნდში, რომელსაც ბევრს ვერაფერს გაუგებ და რომელიც აშკარად ვერ წაეპოტინება დიდ მიზანს.

ასე რომ, მაიკლ ოუენი არ გაფუჭდება.

ის კი არ არის, რომ გაზა და კიდევ უფრო — აქეთ, ჩვენსკენ.

# 2060 წლამდე

დღეს ბავარიული დერბია. მიუნხენი ორად გაიყოფა და ერთმანეთს დაუპირისპირდება — „ბაიერნი“ მდევარ „მიუნხენ 1860“ ხვდება.

დღესდღეობით ასეა — ბავარიის მხარის დედაქალაქ მიუნხენში ორი დიდი კლუბია. შედარებით ახალგაზრდა „ბაიერნი“ ამჟამად სჯობს „მიუნხენ 1860“-ს, მაგრამ ამ სეზონში, წინა წლებისგან განსხვავებით კლუბების დონეთა შორის სხვაობა შემცირდა. ძველები ახლებს ეწევიან, ბუნდესლიგაში კუდშიც მისდევენ, დღეს კი შეუძლიათ, ამაყ ბაიერნელებს თავიანთი სიძლიერე დაუმტკიცონ.

**ბაიერნი**

დაარსდა 1900 წელს
გერმანიის ჩემპიონი: 1932, 1969, 1972, 1973, 1974, 1980, 1981, 1985, 1986, 1987, 1989, 1990, 1994, 1997
გერმანიის თასი: 1957, 1966, 1967, 1969, 1971, 1982, 1984, 1986, 1998
ჩემპიონთა თასი: 1974, 1975, 1976
თასების თასი: 1967
უეფას თასი: 1996
სტადიონი: ოლიმპიაშტადიონი (69256 მაყურებელი)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ყველაზე მეტი მატჩი: ზეპ მაიერი 473
ყველაზე მეტი გოლი: გერდ მიულერი 365
შარშანდელი მიღწევა: მე-2 ადგილი
ბოლო მატჩი: სტუმრად „აინტრახტთან“ 0:1

**მიუნხენ 1860**

დაარსდა 1860 წელს
გერმანიის ჩემპიონი: 1966
გერმანიის თასი: 1942, 1964
სტადიონი: ოლიმპიაშტადიონი (69256 მაყურებელი)
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
ყველაზე მეტი მატჩი: პეტერ რადენკოვიჩი 215
ყველაზე მეტი გოლი: რუდი ბრუნენმაიერი 66
შარშანდელი მიღწევა: მე-13 ადგილი
ბოლო მატჩი: შინ „ვოლფსბურგთან“ 2:3

ბუნდესლიგის დაარსების პირველ წლე-

## BAYERN vs MÜNCHEN 1860

ბში სრულიად საპირისპირო ვითარება სუფევდა — მიუნხენში „ბაიერნს“ ნაკლებად ქომაგობდნენ, რადგან იმ დროისთვის არაფერს წარმოადგენდა, „მიუნხენ 1860“ კი ქვეყნის ერთ-ერთი საფეხბურთო გრანდი გახლდათ. „ჩვენ მაშინ არარაობა ვიყავით, ნაკლებად გვიცნობდნენ. გულშემატკივრები ჩვენს თამაშებს არცთუ ხშირად ესწრებოდნენ, მაგრამ ნელ-ნელა სიტუაცია შეიცვალა და მალე „ბაიერნმა“ „მიუნხენ 1860“-ს ყველა კომპონენტში გაუსწრო“. იცით, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები? არც მეტი არც ნაკლები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, გერმანული ფეხბურთის უდიდეს ავტორიტეტს ფრანც ბეკენბაუერს. ბრწყინვალე ნახევარმცველი კარიერას სწორედ „ბაიერნში“ იწყებდა.

რა არის იმის მიზეზი, რომ სამოციანი წლების მიწურულიდან თანაქალაქელ კლუბთა შორის გადანაცვლება მოხდა? რამ გამოიწვია „მიუნხენ 1860“-ის პოზიციების შესუსტება და „ბაიერნის“ აყვავება? ყველაფერი, ალბათ, ზემოთ გახლდათ გადაწყვეტილი — იმ ათწლეულში, ქალაქში ნიჭიერ ფეხბურთელთა თაობა წამოვიდა. „ბაიერნის“ ახალმა ხელმძღვანელობამაც სწორი სამომავლო გეგმა შეიმუშავა და ერთიანი მონდომებით მათ მიზანს მიაღწიეს. „მიუნხენ 1860“-მა ზურგსუკან მოახლოვებული მეტოქის სუნთქვა ვერ იგრძნო, ხოლო როცა უკან მიიხედა და თავს წამომდგარი „ბაიერნი“ დაინახა, უკვე გვიან იყო. ლურჯთეთრებმა („მიუნხენ 1860“-ის ფერებია) პოზიციები დათმეს და ნელ-ნელა „ბაიერნის“ ჩრდილში მოექცნენ. აგერ უკვე თითქმის ოთხი ათეული წელია, მიუნხენს „ბაიერნთან“ აიგივებენ, ქალაქის მეორე, ერთ დროს სახელიანი კლუბი კი ბევრს აღარ ახსოვს.

— თქვენ გგონიათ, „მიუნხენ 1860“ მომჯობინდა? არამც და არამც. გუნდი, უბრალოდ, უმნიშვნელოდ აღზევდა. აგერ თავად ნახავთ, თუ მეორე წრეში უკან არ დაიხიოს. „ბაიერნი“ მუდამ დარჩება მიუნხენის უპირველეს კლუბად, ყოველ შემთხვევაში, 2060 წლამდე მაინც! — კარლ ჰაინც რუმენიგემ, ევროპის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა, ახლა „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი რომაა, თანაქალაქელთა გამოცოცხლება დროებითად მიიჩნია. „ბაიერნის“ დონემდე „მიუნხენ 1860“-ს ნებისმიერ კომპონენტში დღესდღეობით მართლაც ბევრი უკლია, მაგრამ არა იმდენი, ბაიერნელებს რომ მიაჩნიათ. აგერ უკვე ექვსი წელიწადია, „მიუნხენ 1860“-ის ეს თაობა და გუნდის ხელმძღვანელობა ერთად მოდის. ექვსი წლის წინ დათესილს ახლა იმკიან და ძალიან საეჭვოა, „ბავარიელი ლომები“ („მიუნხენ 1860“-ის მეტსახელია) მიღწეულით დაკმაყოფილდნენ.

— მახსოვს ბრწყინვალე „მიუნხენ 1860“. მახსოვს საშინელი დაღმასვლაც, კრიზისიც, მაგრამ დღეს ამის გახსენება არ მსურს. მიხარია, რომ შევძელი, დავრდომილი გუნდის ფეხზე წამოყენება. მუხლჩაუხრელმა შრომამ, როგორც ხედავთ, შედეგი გამოიღო, თუმცა მიღწეულზე გაჩერება გუნდის ღალატი იქნება — მე, „მიუნხენ 1860“-ის თავგადაკლულ ქომაგს, მირჩევნია მთელი სიცოცხლე კლუბში გავატარო, ვიდრე საქმით მოხვეჭილი მილიონები ავიღო და საკუთარ, უპრობლემო ცხოვრებას მივცე თავი — კარლ ჰაინც ვილდმოსერი, გერმანელი მეწარმე, „მიუნხენ 1860“-ის პრეზიდენტი 1992 წელს გახდა, მაშინ, როდესაც კლუბი ლიდერთა შორის გარევაზე ვერც იოცნებებდა. იმ წლების „მიუნხენ 1860“-ს წარსულის დიდებიდან მხოლოდ სახელი შერჩენოდა. თუმც ესეც უკვე დავიწყებას ეძლეოდა. საყვარელი გუნდის გულშემატკივარს, ამავდროულად გამჭრიახ და მდიდარ ბიზნესმენს, კლუბის დაღუპვა დაუშვებლად მიაჩნდა და ამიტომაც ვილდმოსერი ექვსი წლის წინ გუნდს დაუკავშირდა.

— დიდი გზა გავიარეთ, თუმცა ბილიკიდან ტრასაზე მხოლოდ ახლა გავდივართ. ექვსი წელია ერთად ვართ და, როგორც ჩანს, კარგა ხანს ვიქნებით ერთ მუშტად შეკრულნი. გუნდში მისვლისას დიდი მიზნები დავსახეთ და ახლა, როცა მათ ვუახლოვდებით, დაშორება დაუშვებელი იქნება — კლუბის მწვრთნელი ვერნერ ლორანტი თამამად შეიძლება ჩაითვალოს გუნდის ვეტერანად. გუნდის ბოლოდროინდელი აღმასვლა სწორედ მისი დამსახურებაა.



სარბიელის არქივიდან

თანაქალაქელი „ბაიერნის“ და „მიუნხენ 1860“-ის გულშემატკივართათვის ამგვარი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა

ეს მოკლედ, ისტორიას რაც შეეხებოდა, დღევანდელობა კი ასეთია — ტიტულოვანი „ბაიერნი“ ბუნდესლიგის ლიდერია, მისი თანაქალაქელი „მიუნხენ 1860“ კი, რომელიც ბრწყინვალე გამარჯვებებით ვერ დაიკვეხნის — მდევარი.

ამბობენ, მიუნხენური დერბის, ამავდროულად პირველ-მეორე ადგილოსანთა დაპირისპირების ნახვას 70 ათასი გულშემატკივარი აპირებსო — შესანიშნავი „ოლიმპიაშტადიონი“ სწორედ ამდენ ქომაგს იტევს.

თანაქალაქელთა პაექრობებს, იგივე დერბებს, მუდამ განსაკუთრებული ელფერი აქვს. შეიძლება ჩემპიონობის ბედი სხვადასხვა ქალაქის კლუბებს შორის წყდებოდეს, რაც თავისთავად ძალიან საინტერესოა, ერთი და იმავე ქალაქის კლუბები კი ცხრილის შუაგულში მოკალათებულნი არკვევდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას, მაგრამ არაა გამორიცხული, ამ მატჩმა ლიდერთა დაპირისპირება ჩრდილში მოაქციოს. დერბი მაინც დერბია... შესაძლოა „ბაიერნმა“ ყველა მეტოქე დაამარცხოს, სძლიოს ევროპული ფეხბურთის გრანდებს, მაგრამ არაა გამორიცხული, მშობლიურ სტადიონზე დერბი წააგოს. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ მეზობელმა უკეთ იცის მეზობლის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მსოფლიოში საქვეყნოდაა ცნობილი მილანური დერბი, მადრიდული, ლივერპულური, ლონდონურ დერბებზე არას ვამბობთ, რადგან ინგლისში თანაქალაქელები თითქმის ყოველ ტურში ხვდებიან ერთმანეთს. ყველა დერბის, ესპანური იქნება ეს, თუ იტალიური, თავისი ხიბლი აქვს, ისევე როგორც დამახასიათებელი ნიშნები. მიუნხენური დერბის უპირველესი თანამდევი მეტოქეთა უხეშობაა — „ბაიერნის“ და „მიუნხენ 1860“-ის დაპირისპირებას ფეხბურთელთა გაძევების გარეშე იშვიათად ჩაუვლია. მაგალითისთვის შორს წასვლა სულაც არაა საჭირო — გასულ სეზონში, ფრედ 2:2 დასრულებული შეხვედრისას, მსაჯს „ბაიერნის“ შავკანიანი მცველის, ოსეი კუფურის გაგდება მოუხდა.

— ფრთხილად ყოფნა გვმართებს. „მიუნხენ 1860“ წლეულს ძლიერ გუნდად იქცა, ცეცხლთან ხუმრობა კი არავის არგებს. ჩვენი მასპინძლობა პირობითია. მეტოქეც მიუნხენელია და შესანიშნავად გვიცნობს — გასულ სეზონში, კონკრეტულად კი 11 აპრილს „ოლიმპიაშტადიონზე“ პირობითად მასპინძლებმა „ბავარიელი ლომები“ 3:1 დაამარცხეს. ეს სიტყვები კი, რომელსაც ზემოთ გაეცანით, „ბაიერნის“ ახალწვეულ ნახევარმცველს, იენს იერემაისს ეკუთვნის. გასულ სეზონში იერემაისი სწორედ „მიუნხენ 1860“-ში თამაშობდა.

ფრთხილად ყოფნა „ბაიერნისთვისაც“ და „მიუნხენ 1860“-ისთვისაც აუცილებელია. გამარჯვება ორთავესთვის ძალიან საჭიროა, თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბოლო ტურში მიუნხენელებმა შეხვედრები დათმეს, ზედიზედ ორი მარცხი კი არავის ესიამოვნება. სხვათა შორის, დღევანდელ შეხვედრაში ვერ ითამაშებენ თეთრლურჯთა მცველები მარკო კურცი და გვიდო ჯორჯესი. თავის მხრივ მასპინძლებიც მოისაკლისებენ ფეხბურთელს — კარსტენ იანკერი დისკვალიფიცირებულია.

რამდენიმე ხნის წინ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად არჩეულ ფრანც ბეკენბაუერს, ამავდროულად „ბაიერნის“ პრეზიდენტს, ჰკითხეს მომავალ მიუნხენურ დერბიში ვინ გაიმარჯვებსო. კაიზერ-ფრანცი არც დაფიქრებულა: თუ ტიტულებით ვიმსჯელებთ, მაშინ „ბაიერნს“ „მიუნხენ 1860“-მა წინააღმდეგობა ვერ უნდა გაუწიოს, მაგრამ თუ სიტუაციას ობიექტურად შევხედავთ, სტუმართა გამარჯვება უფრო მოსალოდნელიაო. ამის მიზეზად ბეკენბაუერმა ბარსელონაში გადაღლილი „ბაიერნი“ დაასახელა.

სხვათა შორის, „ბაიერნის“ და „მიუნხენ 1860“-ის დღევანდელი შეხვედრა მეტოქეთა ბუნდესლიგურ ისტორიაში მეცამეტე იქნება. „ბაიერნს“ შვიდჯერ მოუგია და მხოლოდ ორჯერ დამარცხებულა. ამასთანავე მეტოქის კარში 27 ბურთი გაუტანია, როცა თავად მხოლოდ 13 მიუღია. ყველაზე დიდი გამარჯვება თანაქალაქელებს შორის, „ბაიერნმა“ 1979-80 წლების სეზონში მოიპოვა — მისთვის საჩემპიონო სეზონში „მიუნხენ 1860“ 1:6 გაანადგურა. რაც შეეხება თეთრ-ლურჯთა ყველაზე დიდ გამარჯვებას, ეს 1977-78 წლების ჩემპიონატში მოხდა — 3:1 ეს სტატისტიკის მოყვარულთათვის.

დაბოლოს, გულშემატკივრები. მიუხედავად კლუბების რადიკალურად განსხვავებული წარსულისა, „მიუნხენ 1860“-ს სულაც არ ჰყავს მეტოქეზე ნაკლები გულშემატკივრები. მიუნხენი ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი — „ბაიერნის“ და „მიუნხენ 1860“-ის ქომაგებად.

„ოლიმპიაშტადიონი“, ალბათ, გაივსება. ორმაგი დატვირთვის მქონე მიუნხენურ დერბის ბავარიის დედაქალაქი კარგა ხანი ელოდა.

**ირაკლი ილაშვილი**

## კითხვა–პასუხი

***— მისმინე, ამიგო, რას იზამდი, რონალდო რომ იყო?***

— რა უნდა მექნა, ვივარჯიშებდი და მერე ვითამაშებდი.

***— კიდევ?***

— კიდევ? კიდევ, სუზანასთან ერთად შევიქცევდი თავს.

***— სუზანა ვინ არის?***

— სუზანა, რონალდოს გოგოამხანაგია.

***— ა, ჰო, ვიცი, ტელევიზორში რო იცინოდა ხოლმე.***

— აი, ეგ.

***— მერე მოგწონს?***

— მე რატომ უნდა მომწონდეს, ჩემი გოგო ხომ არ არის? იმას მოწონს და ჩაიც იმან მიირთოს.

***— კარგი. და კიდევ რას იზამდი?***

— კიდევ... ერთ პორშესაც ვიყიდდი.

***— და კიდევ?***

— მეტი რა? იახტას ვიყიდდი, ბუცებზე ოქროს შიპებს დავიყენებდი, აბა რა ვიცი?

***— ესე იგი შენ რომ რონალდო იყო, კაი კაცი არ იქნებოდი.***

— რატომ?

***— აბა, ძმაკაცებს არ მიეხმარებოდი?***

— რონალდო რომ ვიყო, ძმაკაცები არც მეყოლებოდა.

***— რატომ?***

— ეგრეა. მაგათ ძმაკაცები არა ჰყავთ.

***— აბა, მსოფლიოს ჩემპიონატი რომ იყო და რონალდო და სამორანო ერთმანეთს ეხუტებოდნენ, ის ძმაკაცობა არ იყო?***

— ეე, შენ რას ამბობ. სამორანო ხო მდიდარია?

***— მერე?***

— მერე სამორანოს დახმარება რათ უნდა. მე უბნის ძმაკაცებს გეუბნები. აი, რო შეჯდენ, რო გალოთდენ, მარა ნიპავტარიმი სიყვარული როა.

***— ააა.***

— და შენ რას მეუბნებოდი?

***— მეც ეგრე, ხელის გამართვის ამბავში.***

— ჰოდა, საკამათოც არაფერია. კიდევ კარგი რონალდო არა ვარ.

***— და რომ იყო, რას იზამდი?***

— ვიტყოდი, ედმუნდო მჯობია-მეთქი.

***— ნაღდად იტყოდი?***

— აბა?

***— და გჯობია ედმუნდო?***

— მე არა, რონალდოს.

***— ედმუნდოს კი ნაღდად ეყოლება ძმაკაცები.***

— კი, გულიანი ბიჭი ჩანს.

***— კიდევ ვინ ჩანს გულიანი ბიჭი?***

— კამარა გაგიგია?

***— არა. ვინ არის?***

— მარსელის ბიჭია. მგონი გადაცმული პელეა, ოღონდ დღეს სხვა სიტუაციაა და ვერავინ ხვდება რომ პელეა.

***— ეგ როგორ?***

— როგორ და ჩვეულებრივად. დღეს ბევრი პელეა.

***— აი, ნახე! რა სისულელეს ამბობს.***

— რატომ ვამბობ სისულელეს?

***— პელე ერთია და განუმეორებელი.***

— ეგ პელე დიდი უცნაური ვინმეა. კახი კავსაძე ნაღდად თავისი ნათლია ეგონა.

***— მერე?***

— რაღა მერე?

***— და გაზა?***

— რა გაზა?

***— გაზა უფრო პელეა, თუ პელეა უფრო გაზა?***

— რა მხრივ?

***— აი, მაგ მხრივ, შენ რომ თქვი.***

— არა. პელე მართლა ერთადერთი და განუმეორებელია.

***— და გაზა?***

— გაზა? გაზა კაი ბიჭია, ოღონდ ფეხბურთს ძალით ათამაშებენ და გულგატეხილია.

***— ძალით ათამაშებენ?***

— ჰო. ათი წელიწადია. შენ რომ ათი წელიწადი ძალით გათამაშონ, რა ჭკუაზე იქნები?

***— და რონალდოსაც ძალით ათამაშებენ?***

— არა, რონალდო სამსახურში დადის.

***— რა ქარაგმებით მელაპარაკები?***

— თუ კაია, შენ იყავი რონალდო.

# შენკლის ოხუნჯობანი

*ინგლისური ოხუნჯობანი საქვეყნოდაა ცნობილი, მკითხველს მრავალი ინგლისური ანეკდოტი მოუსმენია და წაუკითხავს. მაგრამ ჩვენთვის სრულიად უცნობია ინგლისური საფეხბურთო ოხუნჯობანი, ან მოსწრებული გამონათქვამები. ამჯერად ცნობილ საფეხბურთო გამონათქვამთა რამდენიმე ნიმუშს შემოგთავაზებთ. მათი ერთ-ერთი გმირი „ლივერპულის" ლეგენდარული მენეჯერი ბილ შენკლი იქნება, რომელიც თავისი სქოთური ენამოსწრებითა და აქცენტით იმგვარ სიტყვებს წამოისროდა, რომ ხალხი სიცილით იხოცებოდა. შენკლის ოხუნჯობანი ზოგადად ფეხბურთსაც შეეხება და „ლივერპულის" თანაქალაქელ ევერტონელებსაც, გარსკვლავებსაც და უნიჭო მოთამაშეებსაც.*



ბილ შენკლი

„დერბი ქაუნთისა" და „ნოტინგემ ფორესტის" დიდი მენეჯერის ბრაიან კლაფის გამო:

„ის უარესია, ვიდრე წვიმა მანჩესტერში. მანჩესტერში წვიმას მობეზრდება ხოლმე და ხანდახან დაისვენებს, ის კი არასოდეს".

* * *

იმავ კლაფს ერთხელ რეპორტიორი გოგონა ელაპარაკებოდა. შენკლიმ ვერ მოითმინა და ჩაერია: „ქალბატონო, ამ კაცმა 270 თამაშში 200 გოლი გაიტანა. როგორც მენეჯერი კი თასს თასზე იღებს. ასე რომ, კეთილი ინებეთ და ცოტა ფიქრიანი თვალებით შეხედეთ".

* * *

დიქსი დინის გასვენებაში: „მე ვიცი, რომ დღეს სევდიანი დღეა, მაგრამ დიქსის გაეხარდებოდა გაეგო, რომ მის დაკრძალვაზე მეტი ხალხი მოვიდა, ვიდრე „ევერტონის" თამაშზე".

* * *

ერთხელ შენკლიმ შეცვლაზე კევინ კიგანი შეუშვა და უთხრა: „შვილო, შენ გევალება სამიოდე ყუმბარა გადააგდო იქეთ, სადაც იმათი მეკარე დგას".

* * *

ერთხელ ფეხბურთელმა ტომი სმიტმა შენკლის უთხრა, მუხლი მტკივა და ვერ ვითამაშებო. შენკლიმ უბრძანა: „მოიხსენი ეგ სახვევი და მაჩვენე მუხლი. ეგ შენი კი არა, „ლივერპულის" მუხლია!"

* * *

შენკლის იტალიელი ჟურნალისტები შემოეხვივნენ. ის თარჯიმანს მიუბრუნდა: „უთხარი ამათ, რომ არაფერში არ ვეთანხმები".

* * *

ალან ბოლი რომ „ევერტონში" გაიყიდა, შენკლიმ მხარზე დაჰკრა ხელი: „არ მოიწყინო ალან. იმითაც ბედნიერი უნდა იყო, რომ დიდი გუნდის შორიახლოს თამაშობ".

* * *

საფეხბურთო სკაუტი ცდილობდა ერთი უნიჭო ბიჭი შეესაღებინა შენკლისთვის: „შეხედე, შენკს, ამ ბიჭს ფეხბურთელის სისხლი აქვს". „ვხედავ, ვხედავ" — მიუგო ბილმა — „ოღონდ ეგ არის, რომ ეგ სისხლი ფეხებამდე ჯერ არ ჩამოსულა".

* * *

შენკლის ნათქვამი: „ფეხბურთი იოლი თამაშია. ის ეფუძნება ბურთის მიღება-გადაწოდებას და კონტროლს. შენ უნდა მიიღო ბურთი და გადააწოდო სხვას. ეს საშინლად იოლია".

* * *

ერთ დღესაც შენკლისთან გოგონა მივიდა.
„მე „ლივერპულის" ფანი ვარ".
„საიდან?"
„ლონდონიდან".
„მითხარი, როგორია სამოთხე?"

* * *

შენკლის ხუმრობათა მარადიული ობიექტი მაჩანჩალა „ევერტონი" იყო:
„დღეს მერსისაიდში ორი ბრწყინვალე გუნდია, „ლივერპული" და „ლივერპულის" სათადარიგო შემადგენლობა".

* * *

როდესაც „ლივერპულმა" რონ იეტსი იყიდა, შენკლიმ თქვა: „ასეთი მცველის იმედით კარში ლუდის კათხასაც დავაყენებ!"

* * *

შენკლი ახალბედას: „შვილო, შენი უბედურება ის არის, რომ მთელი ტვინი თავში გაქვს".

* * *

„ლივერპულმა" პოპულარული ფეხბურთელი ლუ მაკარი იყიდა. შენკლიმ კი ასე დაამშვიდა მოთამაშენი: „ნუ გეშინიათ, მხოლოდ სათადარიგო შემადგენლობისთვის მინდა".

* * *

გუნდში გადმოსული სქოთი იან სენტ ჯონი შენკლიმ ასე გააფრთხილა: „შვილო, აქ დიდხანს დარჩები, თუ ორ რამეს დაიმახსოვრებ: ღორივით არ ჭამ და ინგლისელივით ლაპარაკს არ ეცდები".

* * *

იან სენტ ჯონის გამო კი ბილ შენკლის უყვარდა ამგვარად თქმა: „მე ვიცი, რომ ის არ არის საუკეთესო თავდამსხმელი ბრიტანეთში. მაგრამ ის ერთადერთი თავდამსხმელია ბრიტანეთში".

* * *

ბილ შენკლი რეპორტიორებს უხსნის: „მართალია, როჯერ ჰანტი ბევრს აცილებს, მაგრამ სანამ აცილებს, საუცხოოდ ირჩევს პოზიციას".

გადმოაქართულა
**ირაკლი გამყრელიძემ**

## აქაურობას იქაურობა ამჯობინა

„ქოვენთრის" ხელმძღვანელები ლამის იფიცებოდნენ, დიონ დაბლინი არსად წავაო, მაგრამ ასე არ მოხდა. პრემიერლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი (ორ თავდამსხმელთან ერთად) ქოვენთრიდან ბირმინგემში გადავიდა, სადაც 2004 წლამდე ისპარეზებს.

— პირობებზე ადრე შევთანხმდით. კონტრაქტის ხელმოწერამდე ბირმინგემელებმა მას კიდევ რამდენიმე ჩემთვისაც მისაღები მუხლი დაუმატეს და ხელშეკრულება ოფიციალურადაც გაფორმდა. მიხარია, რომ „ასტონ ვილას" თავდამსხმელი ვარ — განაცხადა დიონ დაბლინმა. იგი მხოლოდ მეთხე ფეხბურთელია, რომელიც „ასტონ ვილას" მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ გადაიბირა. მანამდე პრემიერლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა ალან ტომპსონის, პოლ მერსონისა და სტივ უოტსონის შესყიდვა მოასწრო.

— ვგონებ, სეზონის დასაწყისმა ბევრი ადამიანი გააკვირვა, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ხალხს სეზონის ბოლოს განაცვიფრებს — ბირმინგემელთა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ პრემიერლიგის ლიდერობა იგულისხმა, მანვე დასძინა, პოზიციების გამყარებაში დაბლინი ძალიან დაგვეხმარებაო.

ქოვენთრელები საყვარელი თავდამსხმელის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ ძალიან დაალონა და ამასთანავე განარისხა კიდეც, რადგან ფორვარდის ნაბიჯი მათ ღალატად ჩათვალეს. „ქოვენთრის" ფანთა ლიდერმა ფილ მერდოკმა, თანამოაზრეებთან ერთად კლუბის ოფისთან რომ მისულიყო, ჟურნალისტს განუცხადა, დაბლინის ფეხი არ ვნახოთ ქალაქში, თორემ სიცოცხლეს გამოვასალმებთო.

თავად დაბლინს რა ენაღვლება — ბირმინგემშიც კარგად გრძნობს თავს. კვირაში მისი ჯამაგირი 52 ათასი დოლარი იქნება.

## ოქროს ბურთის ლაურეატები
### France Football
### 1978, 79
# კევინ კიგანი

*გია ახვლედიანი*

# მიკი მაუსი

ეს იყო 7 ნოემბერს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 72-ე წლისთავზე. დილით, რა თქმა უნდა, იყო აღლუმი, მშრომელთა დემონსტრაცია, ფილმები ლენინზე, სიმღერები პარტიაზე. მაგრამ ის, რაც საღამოს იყო, ბევრად მნიშვნელოვანი გახლდათ, ვიდრე მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის ამბავი.

საღამოს „დინამო" „ჰამბურგს" მასპინძლობდა ჩემპიონთა თასის მეორე მერვედფინალურ მატჩში და იყო იმედი და, რა თქმა უნდა, განუმეორებელი სურვილი, რომ „დინამო" ამოიღებდა ორბურთიან დეფიციტს. იმხანად სსრკ-ის ჩემპიონს უკვე დაეჯაბნა ინგლისის ჩემპიონი „ლივერპული" და ახლა გერმანიის ჩემპიონს ებრძოდა.

გამარჯვება არ გამოვიდა, თუმცაღა, თბილისის „დინამომ" შეძლო ჩაეტარებინა თავის ისტორიაში უდიადესი პირველი ხუთი წუთი, რაც გუცაევის გოლით დაგვირგვინდა. მაგრამ ძალები არათანაბარი იყო. თამაშის წინ სტუმრები ერთგვარი ზრდილობით ამბობდნენ, ფრე იქნებაო. მაგრამ მოიგეს.

ახლა, ცხრამეტი წლის შემდეგ, ყოველგვარი უკანდახევის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს სტადიონზე არ უთამაშია ამ სიძლიერის სტუმარს. და რა თქმა უნდა, აქ იმასაც აღვნიშნავთ, რომ „დინამოს" მინდორზე არასოდეს გამოჩენილა „ჰამბურგის" ლიდერის, კევინ კიგანის მსგავსი მოწინააღმდეგე.

უბრალოდ, ჩვენს სტადიონზე ითამაშა ევროპის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა. ითამაშა სწორედ მაშინ, როცა შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენდა და ღრმადაც აღიბეჭდა ჩვენებურ გულშემატკივართა მეხსიერებაში.

უცხოურ ფეხბურთზე დამშეული საბჭოთა გულშემატკივრისთვის, რომელიც გადაცემა „სპორტულ კალეიდოსკოპს" იყო მიდარაჯებული, ეს მართლაც მნიშვნელოვანი რამ გახლდათ.

კევინ კიგანის ხილვა, „დინამოს" მარცხის მიუხედავად, დიდი საჩუქარი იყო. კიგანმა კი ითამაშა, თავისი საქმე გააკეთა და წავიდა.

რა იყო მისი საქმე? რა იყო მისი ფეხბურთი?

ერთმა ცხელფიქრიანმა ჟურნალისტმა დაწერა, კევინ კიგანი მარადონას მომასწავებელი იყო, ისევე, როგორც იოანე ნათლისმცემელი იესოსიო. ფეხბურთისა და თეოლოგიას შორის პარალელების გავლება გაუშვი, ისევ იმ კაცმა განაგრძოს, ჩვენ კი ვთქვათ, რომ იმ დროის ფეხბურთს მართლაც არ ჰყავდა კიგანის დარი მოთამაშე.

კევინ კიგანს, ტანმორჩილ, თუმცაღა ჩადგმულ თმახუჭუჭა მეშვიდე ნომერს, გამოარჩევდა არა მხოლოდ სათამაშო ოსტატობა, არამედ საოცარი უნარი მოედანზე მიმდინარე ამბების კითხვისა. და რაც მთავარია, მას შეეძლო ამ ამბებზე გადამწყვეტი ზემოქმედების მოხდენა.

როგორი ხერხებით ახერხებდა ამას?

რაღაცით ბობი ჩარლტონსაც კი ახსენებდა ძველ გულშემატკივრებს, ალბათ, უფრო მასშტაბების და სწორად მოქმედების უნარით.

მაგრამ მისი პალიტრა სხვა იყო. ტექნიკურს, სწრაფსა და მოქნილს არა მხოლოდ ბურთის კარში ჩაჭედება (სწორედ რომ ჩაჭედება!) ეხერხებოდა, არამედ შეტევის გაშლაც და იმავდროულად მასში იმგვარად მონაწილეობის უნარი ჰქონდა რომ მოწინააღმდეგის ნახევრის ბატონპატრონი შეიქნებოდა ხოლმე.

თავად იწყებდა მახვილგონიერ კომბინაციას მინდვრის შუაგულიდან, მოწინააღმდეგის საჯარიმოსთანაც თავადვე მიიღებდა ბურთს და ხშირად ცეცხლის ხაზზეც თავადვე ხვდებოდა მის მიერვე წამოწყებული შეტევით კარის წინ მოტანილ ბურთს.

მას „მიკი მაუსს" ეძახდნენ, ალბათ, არა მხოლოდ იერის, არამედ მოუსვენრობის, ანიმაციური გმირივით დაუჯერებელი მოძრაობების გამო.




მისი პირადი ზეობის წლები 70-იანების მეორე ნახევარი იყო. დრო, როცა სადღაც გადაიკარგა იოჰან კრუიფი. მეორე მხრივ, ეს იყო ევროპაში ინგლისური კლუბების ბატონობის ხანა. ამ ბატონობას „ლივერპულმა" და მენეჯერმა ბილ შენკლიმ დაუდეს სათავე. დიდი ბილ შენკლი ის კაცი იყო, ვინც ცხრამეტი წლის კევინ კიგანს დაბალ ლიგაში დაავლო ხელი და „ენფილდზე" მიიყვანა.

„ლივერპულში" გატარებულ ექვს სეზონში კიგანმა მოიპოვა ყველა თავისი დიდი გუნდური ტიტული ერთის გარდა. ამ ექვს წელიწადში ის სამჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, ერთხელ მოიგო იქაური ასოციაციის თასი, ორჯერ უეფას თასი და ერთხელაც ჩემპიონთა თასი. პირადი ტიტულები კი — ორი „ოქროს ბურთი", „ჰამბურგში" თამაშისას მიიღო. ეს ერთგვარი უცნაურობა იმით თუ აიხსნება, რომ სანამ კიგანი „ლივერპულში" თამაშობდა, „აიაქსი" და „ბაიერნი", კრუიფი და ბეკენბაუერი ყოვლისმომცველ ფიგურებს წარმოადგენდნენ.

ისე კი, უცნაურობა ყოველთვის თან სდევდა კევინ კიგანს. რამდენი სეზონი გალია ნაკრებში და საუბედუროდ, ეს სწორედ ის დრო იყო, როცა კლუბები ზეობდნენ და ნაკრებს კი ძლიერ უჭირდა — ცალკე სკანდალების და ცალკე მძიმე და ურისკო თამაშის გამო. კიგანის ერთადერთი დიდი სანაკრებო ტურნირი 1980 წლის ევროპის ჩემპიონატი იყო. იქ ინგლისის ნაკრებმა ბევრით ვერაფრით გამოიჩინა თავი. მსოფლიო ჩემპიონატებზე კი კევინმა სულ ოცი წუთი ითამაშა, ერთი მოხდენილი თავური ააცილა ესპანელთა კარს და ეგ იყო — ინგლისის ნაკრები ნახევარფინალში ვერ გავიდა.

მას ტრავმა ჰქონდა. ჩემპიონატის ჯგუფური თამაშები გამოტოვა, მაგრამ მეოთხედფინალური შეხვედრებიდან ძირითადში ელოდნენ. ჰამბურგშიაც კი გადაფრინდა პირად ექიმთან. მწვრთნელმა რონ გრინვუდმა არ გარისკა — მხოლოდ მაშინ გამოუშვა მოედანზე, როცა საშველი აღარ იყო. კიგანი უკვე ოცდათერთმეტი წლისა გახლდათ.

ოთხმოციანი წლებიდან მისი დაღმასვლა დაწყებულიყო. მხოლოდ ხშირ ტრავმებში არ იყო საქმე. ის უკვე „საუთჰემპტონში" თამაშობდა, შემდეგ — „ნიუკასლში". დიდი კარიერა თითქმის უმტკივნეულოდ შეცვალა პატარა კარიერით. უცებ მოშორდა დიდ შეჯიბრებებს. რატომ?

კევინ კიგანი მეტად თავისებური ხასიათის კაცია. ფაქიზი გრძნობებისა და არაჩვეულებრივი ფიქრის. ამას ფეხბურთელობისას ამჟღავნებდა და მენეჯერობისასაც. ხუთიოდ წლის წინათ, როცა მან „ნიუკასლის" მესაჭეობა ჩაიბარა, ფეხბურთისკენ მობრუნება ასე ახსნა: „ესპანეთში ვცხოვრობდი და ყოველდღე გოლფს ვთამაშობდი. მივხვდი, რომ ვბერდები და ასეთი ცხოვრება გაუსაძლისია".

ალბათ, რაღაც ამის მსგავსს ფიქრობდა, როცა „ჰამბურგიდან" „საუთჰემპტონში" გადადიოდა.

და მაინც, კევინ კიგანი ვარსკვლავი იყო. უფრო სწორად, ის ბოლომდე ვარსკვლავად დარჩა. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ კევინ კიგანის, ისევე როგორც მისი დროების ბევრი ბრწყინვალე მოთამაშის ოსტატობას, სრულიადაც ვერ აღწერს ტერმინი „ვარსკვლავი" (დღევანდელი გაგებით).

უბრალოდ, დღეს აღარ არიან ამ ყაიდისა და მასშტაბის მოთამაშენი.

საუკეთესო წლების კიგანი მსოფლიოს უპირველეს მობურთალთა შორის დგას. ჩვენ კი გვახსოვს და ბედნიერნიც ვართ, რახან ცოცხლად გვიხილავს იგი.

თანაც მაშინ, როცა უძლიერესი იყო.

**კევინ კიგანი**

დაიბადა 1951 წლის 14 თებერვალს ინგლისის ქალაქ დონკასტერში
თავდამსხმელი
სიმაღლე: 1,68
წონა: 67 კგ
კლუბები: „სკანტროპ იუნაიტედი" (ინგლისი, 1968-71); „ჰამბურგი" (გფრ, 1977-80); „საუთჰემპტონი" (ინგლისი, 1980-82); „ნიუკასლ იუნაიტედი" (ინგლისი, 1982-84)
ტიტულები: ინგლისის ჩემპიონი — 1973, 76, 77; ინგლისის თასი — 1974; გფრ-ის ჩემპიონი — 1979; ჩემპიონთა თასი — 1977; უეფას თასი — 1973, 76
ნაკრებში 63 თამაშში გაიტანა 21 გოლი (1973-82)

# მოყვარეს პირში უძრახეს

## თასების თასის 1/8 ფინალის საპასუხო მატჩების მიმოხილვა

Cup Winners' Cup

რა არ ხდება ფეხბურთში. პრინციპში ყველაფერი. აი, მაგალითად გუშინწინდელი თასთა თასის უკანასკნელი გათამაშების მერვედფინალის საპასუხო მატჩები ავიღოთ. ბრაიან ლაუდრუპმა, ვინც დღესდღეობით ლონდონის „ჩელსიში" ბურთაობს, თავის თანამემამულეებს კოპენჰაგენში გოლი გაუტანა და ტურნირს მიღმა დატოვა. იგივე გააკეთა „ლაციოს" დეიან სტანკოვიჩმა, რომლის გოლმაც იუგოსლავიური „პარტიზანი" წელში გატეხა და რომაელების გამარჯვებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. სასწაული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მოხდა თურქეთში. თუმცა, ყველაფერზე დაწვრილებით ვისაუბროთ.

ორი კვირის წინ ლონდონის არისტოკრატიულ უბანში „ჩელსისთან" სათამაშოდ დანიური „კოპენჰაგენი" ჩავიდა, ნაღდად სუსტი გუნდი. ჩავიდა და კინაღამ მოიგო, მასპინძლებს მხოლოდ მარსელ დესაის ბოლო წუთებზე გატანილმა გოლმა მოუტანა ფრე. იმ შეხვედრის შემდეგ ინგლისელთა დანიელმა ლეგიონერმა ბრაიან ლაუდრუპმა განაცხადა, აქ ყოფნა აღარ შემიძლია, მთელ დროს სათადარიგოებს შორის ვატარებ და ამიტომ სხვა კლუბში გავაგრძელებ კარიერასო. ეს სხვა კლუბი კი სწორედ „კოპენჰაგენი" აღმოჩნდა.

ხუთშაბათს ეს გუნდები მეორედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ამჯერად დანიის დედაქალაქში. მატჩამდე მასპინძელთა კლუბის დირექტორმა ფლემინგ ოსტერგაარდმა ჟურნალისტებს უთხრა, ბრაიანთან 9 ნოემბერს გავაფორმებთ ხელშეკრულებას, პირველი დეკემბრიდან კი „კოპენჰაგენის" წევრი გახდებაო. ერთი სიტყვით, გუშინწინ მოედანზე გასული 29 წლის ფეხბურთელი ნახევრად „ჩელსიში" ირიცხებოდა და ნახევრად „კოპენჰაგენში". ჰოდა, მატჩის დაწყებიდან 32 წუთი იყო გასული, კაზირაგის თავით დარტყმული ძელმა რომ აისხლიტა, ბურთი ლაუდრუპს მიუვიდა, მანაც არ დაახანა და ასევე თავით ანგარიში გახსნა. მეტი გოლი იმ თამაშში აღარც გასულა, რასაც სახელოვანი სტუმრები მეკარე ედ დე გუის უნდა უმადლოდნენ, რომელმაც რამდენიმე წარმოუდგენლად რთული ბურთი აიღო. 0:1 — ეს ანგარიში დააფიქსირა მსაჯის საფინალო სასტვენმა ტაბლოზე. ანგარიში, რომლის შემოქმედიც ორშაბათიდან „კოპენჰაგენის" ფეხბურთელი ბრაიან ლაუდრუპია.

— ბრაიანს ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. თავიდან, „ჩელსიში" რომ გადმოვიდა, ფორმაში არ იყო, მაგრამ „კოპენჰაგენთან" საპასუხო მატჩისთვის კარგად მოემზადა და ამიტომაც ვათამაშე. საერთოდ, დანიელებმა ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს, მათ მხოლოდ იმაში არ გაუმართლათ, რომ ჩვენ შეგვხვდნენ. სხვა შემთხვევაში ისინი ახლა მეოთხედფინალში იქნებოდნენ — მედიდურად აღნიშნა მატჩის შემდეგ სტუმართა იტალიელმა მოთამაშე-მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ.

ლაუდრუპის დარი საქციელი ჩაიდინა დეიან სტანკოვიჩმა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი „ლაციოდან" „პარტიზანში" გადასვლას სულაც არ აპირებს. უბრალოდ, იუგოსლავიელია. თუმცა რომაულ კლუბში იგი „პარტიზანის" მოსისხლე მტრის, „ცრვენა ზვეზდას" შემადგენლობიდან გადავიდა. იგი შეცვლაზე შევიდა, მასპინძელთა დაცვის და მეკარის შეცდომით ისარგებლა და თანამემამულეებს მეორედ დააწყებინა ცენტრიდან. ორი ბურთის გამტანნი იუგოსლავიელები აღარ ჩანდნენ, მით უმეტეს, მარსელო სალასმა მესამედაც დალაშქრა მეტოქის კარი და „ლაციოს" საბოლოოდ გაუხსნა მეოთხედფინალისკენ გზა.

ზემოთ ვთქვით, სასწაულიო. ეს სიტყვა ყველაზე მეტად „ბეშიქთაშისა" და „ვალერენგას" განმეორებით შეხვედრას შეეფერება. პირველი ნორვეგიელებმა მოიგეს 1:0.

სტამბულში პირველი ტაიმი თურქებმა 3:0 მოიგეს და ისედაც გადარეული ქომაგები სულ გააგიჟეს. მეორე ნახევარშიც მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, „ვალერენგას" ფეხბურთელებმა 11 წუთში სამჯერ გაიტანეს. პირველ საპასუხო გოლს თურქი ქომაგები სტვენით შეხვდნენ, მეორეს, ვინაიდან 3:2 ნორვეგიელებს აწყობდათ, თავისიანთა გამამხნევებელი ყიჟინით, ხოლო მესამეს — დუმილით, როგორც სასწაულისას ხდება ხოლმე ყველა დაბნეული იყო, თავად სტუმრებიც კი, რომლებიც მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგაც ოდნავ თავგზააბნეულები ულოცავდნენ ერთმანეთს.

წააგო, მაგრამ მეოთხედფინალში გავიდა ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივი". „ბრაგა" კი უტევდა გამალებით რკინიგზელებს, მაგრამ ერთზე მეტის გატანა ვერ მოახერხა — კლასი არ ეყო. თავად ზაზა ჩვეულად აქტიურობდა, ერთი ორჯერ გატანაც შეეძლო, მაგრამ ეტყობოდა, რომ სიომინმა მთელი გუნდის დარად მასაც დაცვაზე აქცენტის გადატანა დაავალა.

ისრაელის „მაკაბიმ" ყოველგვარი რიდის გარეშე გაანადგურა ავსტრიული „რიდი", „მალიორკამ" შინ არც გაიტანა, არც გაუშვა და შემდეგ ეტაპზეც გავიდა, „პანიონისმა" სტუმრადაც მოუგო კვიპროსელებს, ხოლო ხორვატულ „ვარტექსს" დამატებითი ოცდაათი წუთი დასჭირდა, რათა ჰოლანდიური ბარიერი გადაელახა.

**დავით ძოწენიძე**



REUTERS კოპენჰაგენიდან

კოპენჰაგენი — ჩელსი. ბრაიან ლაუდრუპის ამ თავურმა დარტყმამ მისი თანამემამულეები მეოთხედფინალს მიღმა დატოვა

### თასების თასი. მერვედფინალი
საპასუხო მატჩები. 5 ნოემბერი

Cup Winners' Cup

პარტიზანი (იუგოსლავია) — *ლაციო (იტალია)* 2:3 (0:0)
ბეშიქთაში (თურქეთი) — *ვალერენგა (ნორვეგია)* 3:3 (0:1)
*ვარტექსი (ხორვატია)* — ჰერენვენი (ჰოლანდია) 4:2დ.დ. (1:2)
*მალიორკა (ესპანეთი)* — გენკი (ბელგია) 0:0 (1:1)
აპოლონი (კვიპროსი) — *პანიონისი (საბერძნეთი)* 0:1 (2:3)
*მაკაბი (ისრაელი)* — რიდი (ავსტრია) 4:1 (1:2)
ბრაგა (პორტუგალია) — *ლოკომოტივი (რუსეთი)* 1:0 (1:3)
კოპენჰაგენი (დანია) — *ჩელსი (ინგლისი)* 0:1 (1:1)

# სარბიელი
## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ბოხუმი — ჰერტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვოლფსბურგი — მიონხენგლადბახი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჰამბურგი — შალკე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბაიერნი — მიუნხენი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ფრაიბურგი — კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ჰანზა — აინტრახტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ლევერკუზენი — შტუტგარტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 ნოემბერი | | | |
| ფიურტი — არმინია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| გიუტერსლოო — კოტბუსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ობერჰაუზენი — ზანქტ პაული | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ფორტუნა — მაინცი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| დიუსელდორფი — ულმი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 9 ნოემბერი | | | |
| ბერლინი — კიოლნი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ასტონ ვილა — ტოტენჰემი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბლექბერნი — ქოვენთრი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ჩარლტონი — ლესტერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ლივერპული — დერბი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ნოტინგემი — უიმბლდონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| საუთჰემპტონი — მიდლსბრო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 8 ნოემბერი | | | |
| არსენალი — ევერტონი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| მანჩესტერი — ნიუკასლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ვესტ ჰემი — ჩელსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ლიდსი — შეფილდ უენსდეი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ბარნსლი — ბერი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ბრისტოლი — ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ქრიუ — სვინდონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კრისტალ პალასი — პორტსმუთი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ჰადერსფილდი — იფსვიჩი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ნორვიჩი — ბრედფორდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ქუინზ პარკი — ბოლტონი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| შეფილდ იუნაიტედი — ტრანმერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სანდერლენდი — გრიმსბი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |
| უოტფორდი — ოქსფორდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ვესტ ბრომვიჩი — ბირმინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 8 ნოემბერი | | | |
| სტოკპორტი — პორტ ვეილი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ბორდო — ტულუზი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| სტრასბური — ნანსი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ოსერი — ნანტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მონპელიე — პარი სენ ჟერმენი | 3,6 | 2,8 | 2,0 |
| მეცი — ლიონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ლე ავრი — ლანსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| რენი — სოშო | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 ნოემბერი | | | |
| ბარი — პარმა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ბოლონია — რომა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| კალიარი — პიაჩენცა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ფიორენტინა — ვენეცია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ლაციო — ემპოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| მილანი — ინტერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პერუჯა — ვიჩენცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სამპდორია — სალერნიტანა | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| უდინეზე — იუვენტუსი | 2,6 | 2,8 | 2,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ლეჩე — ვერონა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ატალანტა — ლუკეზე | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| კოევო — ჯენოა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| კრემონეზე — ჩეზენა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| მონცა — ტორინო | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| ნაპოლი — ფ. ანდრია | 1,4 | 3,1 | 9,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| პესკარა — ტერნანა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| რავენა — კოზენცა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| რეჯინა — რეჯანა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ტრევიზო — ბრეშა | 2,0 | 2,7 | 3,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. პრიმერა დივიზიონი. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ესპანიოლი — ბეტისი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ატლეტიკო — დეპორტივო | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| მალიორკა — ვილიარეალი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |
| ტენერიფე — ვალიადოლიდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ოვიედო — ბარსელონა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| სოსიედადი — ბილბაო | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| სალამანკა — სარაგოსა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვალენსია — რასინგი | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| სელტა — ესტრემადურა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ალავესი — რეალი | 4,2 | 2,9 | 1,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ლეიდა — მალიორკა B | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ნუმანსია — ლას პალმასი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| კომპოსტელა — სპორტინგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| რეკრეატივო — ალბასეტე | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ბადახოსი — ოსასუნა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ლეგანესი — ერკულესი (14[00]) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მერიდა — ბარსელონა B | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ორენსე — ტოლედო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სევილია — ეიბარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ლოგრონიესი — ატლეტიკო B | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მალაგა — რაიო ვალეკანო (14[00]) | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ბეირა მარი — კამპომაიორენსე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ფარენსე — რიუ ავე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლეირია — სეტუბალი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მარიტიმუ — ამადორა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გიმარაეში — სპორტინგი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ალვერკა — აკადემიკა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 9 ნოემბერი | | | |
| ბრაგა — პორტუ | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 10 ნოემბერი | | | |
| სალგეირუში — ბენფიკა | 4,2 | 2,9 | 1,8 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| გრააფსხაპი — ტილბურგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| როდა — კამბური | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| სპარტა — მაასტრიხტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვიტესი — ნაიმეგენი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბრედა — ფეიენოორდი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| ალკმაარი — აიაქსი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ტვენტე — ეინდჰოვენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჰერენვენი — სიტარდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ოსტენდე — ანდერლეხტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| სტანდარდი — ლომელი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| გენტი — სენტ ტრუიდენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| შარლერუა — ვესტერლო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბევერენი — მუსკრონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლიერსი — ჰარელბეკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 8 ნოემბერი | | | |
| გენკი — ეკერენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| კორტრაიკი — ბრიუგე | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| აალსტი — ლოკერენი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ტრაბზონი — ქარაბუქი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ალთაი — ისთანბული (15[00]) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| გაზიანთეფი — ერზურუმი (15[00]) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| საქარია — სამსუნი (15[00]) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ანკარაგიუჯიუ — გენჩლერბირლიგი (15[00]) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბურსა — ქოჯაელი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| დარდანელი — გალათასარაი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| ბეშიქთაში — ადანა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| აბერდინი — დანფერმლაინი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| სელტიკი — დანდი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| დანდი იუნაიტედი — მოზერველი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ჰარტსი — კილმარნოკი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 8 ნოემბერი | | | |
| სენტ ჯონსტონი — რეინჯერსი | 4,4 | 2,8 | 1,8 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| გრაცერი — შტურმი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ზალცბურგი — აუსტრია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ლინცერი — შტაირი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| ლუსტენაუ — რიდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ქსამაქსი — ბაზელი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ლუგანო — ლუცერნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სენტ გალენი — სერვეტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| იანგ ბოისი — სიონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ლოზანა — არაუ | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| გრასჰოპერი — ციურიხი | 2,0 | 3,0 | 3,3 |

### ჰოკეი. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ტორონტო — რეინჯერსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| მონრეალი — აილენდერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ოტავა — ვაშინგტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფილადელფია — ბუფალო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| პიტსბურგი — ბოსტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფლორიდა — ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ვანკუვერი — ნეშვილი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| სან ხოსე — სენტ ლუისი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ლოს ანჯელესი — დალასი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 8 ნოემბერი | | | |
| კაროლინა — ბოსტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ტამპა ბეი — ნიუ ჯერსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ჩიკაგო — ედმონტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კალგარი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ანაჰაიმი — დეტროიტი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 9 ნოემბერი | | | |
| ტორონტო — აილენდერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| მონრეალი — ფილადელფია | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ვანკუვერი — ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი (მე-11) | 25 და ნაკლები | 1,9; | 27 და მეტი | 1,9 |
| იტალია (მე-7) | 23 და ნაკლები | 1,9; | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (მე-8) | 25 და ნაკლები | 1,9; | 27 და მეტი | 1,9 |
| ბელგია (მე-12) | 26 და ნაკლები | 1,9; | 28 და მეტი | 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური

### A ჯგუფი

**ვარეზე 95:73 ავტოდორი**

ვარეზე: კალამია, დე პოლი (3), გალანდა (16), მენეგინი (20), მრშიჩი (17), პოცეკო (8), სანტიაგო (15), ვესკოვი (13), ზანუს-ფორტი (3)
ავტოდორი: ეინიკისი (18), ეზე ნდუბუი (2), ფეტისოვი (9), ხიჟნიაკი (5), ხრიაპა (3), მილოსერდოვი (1), ნვოსუ (9), პაშუტინი (20), შტელმახერსი (6)

**პო ორტეზი 81:71 ტაუგრესი**

პო ორტეზი: აიშა (9), ევოდო (2), ფატუ (5), ფუარე (12), დ. გადუ (7), ტ. გადუ (5), გრანტი (11), ლორთრიჯი (15), სხოლტენი (13), სმიტი (2)
ტაუგრესი: ანგულო (6), ბენეტი (14), ბერიჩი (17), ესპილი (20), გარბახოსა (6), გერკე, მახოვსკი, მილერა, ვინტერსი (8)

**ჟალგირისი 64:59 ფენერბაჰჩე**

ჟალგირისი: ადომაიტისი (6), ბოუი (13), ედნი (21), მასიულისი (8), მასკოლიუნასი, შტომბერგასი (7), ზიდეკი (5), ე. ჟუკაუსკსი (4), მ. ჟუკაუსკასი
ფენერბაჰჩე: აფაიდინი (3), კალამიზა (5), ქუთლუაი (25), მაკრეი (3), მილიჩი (10), ტაბაკი (13)

### B ჯგუფი

**პანათინაიკოსი 67:58 მაკაბი**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (1), ბოდიროგა (16), ბუდურისი, ბურკი (1), ეკონომუ (19), ჯენტილე (6), კოხი (11), რაჯა (12)
მაკაბი: ალექსანდერი (14), გუდესი, ჰენფელდი (4), კატაში (16), პოპა (4), შარფი, შეფერი (16), შელეფი (4)

**ციბონა 77:80 ცრვენა ზვეზდა**

ციბონა: ატკინსი (14), ბაგარიჩი (2), გირიჩეკი (18), გრეი (5), გრგატი (5), კრსტიჩი, მარცელიჩი (10), პრკაჩინი (2), სარლია (16), ვრანკოვიჩი (5)
ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (13), იესტრატიევიჩი (8), პავიჩევიჩი, პეკოვიჩი, პოპოვიჩი (7), რაკოჩევიჩი (22), სტანოევიჩი (17), ტოპიჩი (13)

**ეფესი 82:74 ტდკ**

ეფესი: აიდინი (6), ბესოქი (2), დალი, დრობნიაკი (16), ევლიაოღლუ (18), ნაუმოსკი (25), სარიჯა (15), თურქოღლუ
ტდკ: კაპდევილა (16), კრეუსი (8), გონსალესი, ლავინია (6), მილი (16), მოტი (21), სინგლა, ვასკესი (7)

### C ჯგუფი

**ზადარი 73:85 ულქერი**

ზადარი: ერცეგოვიჩი (2), ერიავეცი, კოვაჩიჩი (2), ლუისი (13), მალოჩა (17), მუიაჯიჩი (11), ნაგლიჩი (23), მ. რუჟიჩი, ი. რუჟიჩი (2), ზორზი (3)
ულქერი: ალიჰოჯიჩი (7), ანდერსონი (17), ერდენაი (30), ფირინჯიოღლუ (3), კოტუროვიჩი (15), რენკინი (6), თექინალფი, ილდირიმი (7)

**ოლიმპიაკოსი 55:50 კინდერი**

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (6), ფასულასი (6), გოლდვაიერი (3), კომაზეცი (16), ობერტო (2), პაპანიკოლაუ, როჯერსი (6), ტარლაკი (11), ტომიჩი (5)
კინდერი: აბიო (13), ბინელი (4), კრიპა, დანილოვიჩი (25), მაკრისი (5), ოსალივანი, პანიჩი (1), პასპალი (2)

**ცსკა 86:75 ალბა**

ცსკა: დაინეკო (33), დომანი, კარასიოვი (18), კისურინი (10), კუდელინი (5), ნოსოვი, პანოვი (10), ტიხონენკო (6), ვეტრა (4)
ალბა: ალექსისი (24), ბოგოევიჩი (2), ფემერლინგი (5), გარისი (6), ჰამინკი (9), ნაკიჩი (10), პეშიჩი (10), როდლი (9)

### D ჯგუფი

**ვილერბანი 92:69 სამარა**

ვილერბანი: ადამსი (18), ბილბა (2), ბლომი (2), დიგბო (11), პალმერი (14), პერსევო (13), პლუვი (3), რადი (9), სამი (3), სონკო (17)
სამარა: დოლოპჩი (3), ევანსი (18), გრაჩოვი (13), ჰიუსტონი (10), იაილო, კისელიოვი (2), მალცევი (6), მელეშენკო (6), პეტენევი (11)

**რეალი 77:69 პაოკ**

რეალი: ანგულო (25), ბერდი (21), ერეროსი (2), ლასა (3), ლიუკი, მარტინი (11), სანტოსი (3), სტრიულენსი (12)
პაოკ: ბალოიანისი (7), ბერი (20), კოლდებელა (16), იანულისი (2), კინგი (10), მასლარინოსი (6), მორალესი (8), პერალი

**ტიმსისტემი 63:66 ოლიმპია**

ტიტმსისტემი: ბეტსი (2), ჩაკიგი (4), დილგლაი, ფუჩკა (4), გაი (1), კარნიშოვასი (16), ლაცისი (4), მულაომეროვიჩი (11), მაიერსი (21)
ოლიმპია: დანეუ (6), დუშჩაკი (4), იურკოვიჩი (2), კოტნიკი (10), კრალევიჩი (8), მაკდონალდი (9), პრაისი (5), **სტეფანია** (17), ტეილორი (4), ზდოვცი (1)

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფენერბაჰჩე | ● | 99:84 | 19.11 | 94:75 | 96:75 | 80:76 | 4 | 2 | 476:447 | 10 |
| 2 | ჟალგირისი | 64:59 | ● | 70:67 | 97:81 | 10.12 | 19.11 | 4 | 2 | 494:484 | 10 |
| 3 | პო ორტეზი | 73:48 | 17.12 | ● | 10.12 | 81:71 | 74:71 | 3 | 3 | 456:437 | 9 |
| 4 | ვარეზე | 17.12 | 12.11 | 89:77 | ● | 86:78 | 95:73 | 3 | 3 | 496:492 | 9 |
| 5 | ტაუგრესი | 12.11 | 91:97 | 88:84 | 19.11 | ● | 17.12 | 2 | 4 | 484:508 | 8 |
| 6 | ავტოდორი | 10.12 | 87:82 | 12.11 | 73:70 | 64:81 | ● | 2 | 4 | 444:482 | 8 |

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | ● | 77:63 | 74:58 | 67:58 | 77:71 | 18.11 | 6 | 0 | 448:373 | 12 |
| 2 | ეფესი | 16.12 | ● | 82:74 | 12.11 | 73:60 | 80:57 | 5 | 1 | 434:401 | 11 |
| 3 | ტდკ | 10.12 | 67:68 | ● | 72:65 | 74:59 | 12.11 | 3 | 3 | 406:402 | 9 |
| 4 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | 19.11 | ● | 10.12 | 76:57 | 2 | 4 | 397:415 | 8 |
| 5 | ცრვენა ზვეზდა | 11.11 | 19.11 | 17.12 | 67:70 | ● | 66:69 | 1 | 5 | 403:440 | 7 |
| 6 | ციბონა | 61:69 | 9.12 | 54:61 | 17.12 | 77:80 | ● | 1 | 5 | 375:432 | 7 |

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი | ● | 55:50 | 58:72 | 17.12 | 71:55 | 12.11 | 5 | 1 | 422:402 | 11 |
| 2 | კინდერი | 67:72 | ● | 66:49 | 9.12 | 12.11 | 78:52 | 4 | 2 | 396:345 | 10 |
| 3 | ულქერი | 19.11 | 17.12 | ● | 12.12 | 62:55 | 76:65 | 4 | 2 | 420:399 | 10 |
| 4 | ცსკა | 75:81 | 62:70 | 82:76 | ● | 19.11 | 86:75 | 3 | 3 | 454:447 | 9 |
| 5 | ზადარი | 10.12 | 55:65 | 73:85 | 82:79 | ● | 16.12 | 2 | 4 | 405:440 | 8 |
| 6 | ალბა | 83:85 | 18.11 | 10.12 | 63:70 | 78:85 | ● | 0 | 6 | 416:480 | 6 |

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | ● | 71:70 | 12.11 | 77:69 | 17.12 | 101:72 | 5 | 1 | 481:440 | 11 |
| 2 | ვილერბანი | 9.12 | ● | 17.12 | 80:66 | 71:66 | 92:69 | 4 | 2 | 445:410 | 10 |
| 3 | ოლიმპია | 76:84 | 64:54 | ● | 19.11 | 57:45 | 10.12 | 4 | 2 | 398:382 | 10 |
| 4 | პაოკ | 87:75 | 11.11 | 76:68 | ● | 9.12 | 85:66 | 3 | 3 | 444:442 | 9 |
| 5 | ტიმსისტემი | 66:73 | 18.11 | 63:66 | 76:61 | ● | 77:58 | 2 | 4 | 393:386 | 8 |
| 6 | სამარა | 19.11 | 74:78 | 60:67 | 17.12 | 11.11 | ● | 0 | 6 | 399:500 | 6 |

ევროლიგა

ტიმსისტემი — ოლიმპია

## სტეფანია საუკეთესო იყო

თუ „ტიმსისტემი" — „ოლიმპიას" მატჩის ოქმით ვიმსჯელებდით, ვლადიმერ სტეფანია საუკეთესო ყოფილა. ამასვე მოწმობდნენ იტალიური თუ სლოვენიური გაზეთები და სააგენტოები. ამ სასიამოვნო ფაქტის დასადასტურებლად თავად სტეფანიას დავუკავშირდით:

— მართლაც კარგად ვითამაშეთ მეც და გუნდმაც. „ტიმსისტემი" აუცილებლად უნდა დაგვემარცხებინა და ამისთვის თავი გადავდეთ. სასტარტო ხუთეულში დამაყენეს, სულ 33 წუთი ვითამაშე. ფარზე არავინ გავახარე, ოპონენტები კი ძლიერები მყავდნენ — ფუჩკა და ბეტსი.

შეტევაში კი ძველი დრო გამახსენდა. იერიშები ჩემზე ააწყვეს და მეც ყველაზე მეტი, 17 ქულა გავაკეთე.

**— ესე იგი, შენი კონფლიქტი მწვრთნელ ზმაგო საგადინთან ამოიწურა. თანაც, ხუთეულში დაგაყენა...**

— არ ვიცი, რას ფიქრობს საგადინი, მაგრამ თამაში თავიდანვე რომ დავიწყე და არც თავი შემირცხვენია, ფაქტია.

**— ნაკრებს როდის შემოუერთდები?**

— 19 ნოემბერს ევროლიგაში გვაქვს თამაში. მეორე დღეს კი ან თბილისში ჩამოვალ ან, თუ ნაკრები ისრაელში გაემგზავრა, იქ ჩავფრინდები. თუმცა, შეიძლება ყველაფერი სხვაგვარად მოხდეს.

**— რას გულისხმობ?**

— ამერიკიდან ინფორმაცია მოვიდა, შეიძლება ნბა-ს სეზონი 15 დეკემბრიდან 1 იანვრამდე დაიწყოსო. ოფიციალურად არავინ შემხმიანებია, მაგრამ თუკი ეს ამბავი დადასტურდა, ოკეანის გაღმა ერთი თვით ადრე, დაახლოებით 15 ნოემბრისთვის უნდა გავემგზავრო. უნდა დავბინავდე, მოვეწყო, ვარჯიში დავიწყო. თუკი ასე არ მოხდა, ცხადია, ნაკრებში ვითამაშებ.


ელექტრონული ბიბლიოთეკა

REUTERS ზაგრებიდან

„ცრვენა ზვეზდას" იგორ რაკოჩევიჩმა ციბონელების იოსიპ ვრანკოვიჩს (ზურგით) და გორდან გირიჩეკს შორის მოახერხა გაძრომა

# ათენი თბილისი როდია!

ეროვნულ ჩემპიონატში შესვენება გამოგვიცხადდა, ნბა-ში ლოკაუტი მძინვარებს. ფანობას ევროპული კალათბურთი შერჩა და მისი ალაგ-ალაგ ცქრითლა თუ გაიხარებს გულსა და თვალს. ევროპელებმაც ერთი კვირა შეისვენეს და ისე განაახლეს ევროლიგის მეორე წრე.

თუკი ვინმემ ნბა-ს ლოკაუტით იხეირა, პირველ რიგში თელ ავივის „მაკაბიმ". მას ისეთი კაცი დაუბრუნდა ამერიკიდან, დღევანდელი „მაკაბის" ნაღდად ნახევარი რომაა. უცადა ოდედ კატაშმა ლოკაუტს, მაგრამ არ ელირსა „ნიუ იორკ ნიქსში" თამაში და კვლავ სამშობლოში ავიდა. წინა ორ ტურში პირადად მან მოაგებინა ებრაული კალათბურთის ფლაგმანს (ხომ არ გეცნოთ სიტუაცია? სამი წლის წინ კატაშმა ასევე პირადად მოუგო საქართველოს ნაკრებს) და სამარცხვინო ბოლო ადგილიდან მაღლა დაძრა. კატაშს იგივე სწადდა „პანათინაიკოსის" წინააღმდეგ, მაგრამ განა ბერძნულ გუნდში ის ბიჭები ბურთაობენ, რომლებიც ვინმეს რამეს იოლად გაატანენ? ანდა „პანათინაიკოსი" ის გუნდია, რომელიც ნებისმიერ ამბიციამოჭარბებულ მეტოქეს დაეჩაგვრინება?

დიახ, „პანათინაიკოსი" გუნდია, უფრო — კოლექტივი, ცხადია, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ამ გუნდისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვის წაუვა ან ვის ჩაუფლავდება თამაში. აგერ გერმანელი კოხი ავილოთ. მას აქამდე ბევრით არაფრით გამოუჩენია თავი, მოვიდა დრო და 5 პასი ჩამოურიგა თანაგუნდელებს და სამი სამქულიანიც ჩააგდო. ამით აქამდე თავგამოჩენილი ალვერტისის ცუდი თამაში გაბათილდა. ვერ მოიცალა დინო რაჯამ შეტევისთვის? განა აქვე არ არის ნიკოს ეკონომუ: ნებისმიერი მანძილიდან კარგად შეუტია და რაჯას 13 მოხსნას თავისი ექვსიც შეაშველა. დეიან ბოდიროგა? როგორც ყოველთვის, სტაბილური და ბრწყინვალე. შედეგი? უმჯობესია სატურნირო ცხრილს ჩახედოთ.

და „მაკაბი"? უფრო სწორად, კატაში და დანარჩენები? ერთი კაცი „პანათინაიკოსის" დამარცხებას როგორ შეძლებს! ებრაულ გუნდში არ აღმოჩნდა მოთამაშე, ვინც კატაშს ოდნავ მაინც შეეშველებოდა. დორონ შეფერმა 16 ქულა კი მიითვალა, მაგრამ ოთხი სამქულიანიდან ყველა ააცილა.

ჩვენი ვლადიმერ სტეფანია მოუთმენლად კი ელის ლოკაუტის დასრულებას, მაგრამ მანამდე „ოლიმპიასთვის" მოაქვს ქულა-მოხსნა-გამარჯვებები. ქართველი საუკეთესო იყო თავის გუნდში (17 ქულა, ყველაზე მეტი — 6 მოხსნა), თანაც თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო. სტეფანიას „ტიმსისტემის" გიგანტების ფუჩკასა (215 სმ) და ბეტსის (216 სმ) გამკლავება ევალებოდა. თუ ოქმს ენახავთ, მიხვდებით, როგორ გაართვა ვოვამ თავი დავალებას. „ტიმსისტემის" ძლიერ ხორვატს დამირ მულაომეროვიჩს რიგრიგობით მეურვეობდნენ პრაისი, კოტნიკი და დანეუ. იტალიელთა შორის ყველაზე მრისხანემ კარლტონ მაიერსმა კი პირველი ტაიმი მთლად ჩააგდო — სამად სამი ქულა...

ანგარიშიც — 8:4, 18:10, 33:22 და ფარიც — 17:8 სულ „ოლიმპიას" სასარგებლოდ იყო. ცხადია, სტეფანიას წყალობით. ტაიმიც 38:27 დასრულდა.

მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე „ოლიმპია" 46:29 იგებდა. აქ „ტიმსისტემის" მწვრთნელმა სკანსიმ წუთშესვენება მოითხოვა. მისი დამთავრება და მაიერსის აწყვეტა ერთი იყო — ანგარიშში სხვაობა 4 ქულამდე შემცირა (51:47). გასავათებულ სლოვენიელებს დანეუმ უშველა — სამქულანს ორქულიანი მიაყოლა და თითქოს ყველაფერი დამთავრდა... მაგრამ ახლა ლიტველი არტურას კარნიშოვასის ჯერი დადგა — დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა — 62:61. საერთოდ, კარნიშოვასმა შესანიშნავად ითამაშა: ცხრაჯერ ისროლა (5 ორქულიანი, 1 სამქულიანი, 3 საჯარიმო) და ყველა ჩააგდო. მეათეჯერ სროლა კარნიშოვასს არ დასცალდა, რადგან მაკდონალდმა იტალიელთა იმედებს წყალი გადაასხა.

მადრიდის „რეალმა" ერთადერთხელ, პირველ ტურში წააგო პაოკ-თან და მერე მისი შემჩერებელი აღარ გამოჩენილა. ამ ტურში „რეალმა" დამაჯერებელი რევანში აიღო, თანაც ჯგუფში უკვე ყველა დამარცხებული ჰყავს.

პირველი გამარჯვება იზეიმა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ". იუგოსლაველები ალბათ ორმაგად გაახარა მოგებამ, რადგან მოსისხლე ხორვატიის „ციბონას" სძლიეს. შეხვედრა ისეთივე დაძაბული გამოდგა, როგორიც ამ ორ ქვეყანას შორისა ურთიერთობა. პირველი ტაიმი „ციბონამ" 41:37 მოიგო, ოღონდ დიდი სხვაობით არასდროს დაწინაურებულა. მეორე ტაიმიც ქულა-ქულაში გაგრძელდა და ძირითადი დრო 69:69 მორჩა. ხორვატთაგან გორდან გირიჩეკი გამოირჩეოდა, რომელმაც შეუსვენებლივ, 45 წუთი ითამაშა. იუგოსლაველებს უფრო თანაბრად მომზადებული კალათბურთელები ჰყავდათ და ბოლო წამებზე მათი გამარჯვებაც ამან განაპირობა. სხვათა შორის, პირველი წრის მატჩიც 3-ქულიანი სხვაობით დასრულდა, ოღონდ მაშინ „ციბონამ" 69:66 მოიგო.

ესპანურმა ტდკ-მ კი ვერ შეძლო თურქული „ეფესის" ჯავრის ამოყრა. პირველ წრეში ერთქულიანი მოგება თურქებმა ახლა რვაქულიანით გაამყარეს. პრედრაგ დრობნიკას და პეტარ ნაუმოსკის ერთი წამითაც არ დაუტოვებიათ მოედანი, თუმცა არც ევლიაოღლუს და სარიჯას გარჯის დაუნახაობა იქნება: ამათ ხუთ-ხუთი წუთი შეისვენეს, რამაც ესპანელთა დასამარცხებლად ძალების მოკრების საშუალება მისცა.

„ოლიპიაკოსი" — „კინდერის" პირველი ტაიმი 23:19 დასრულდა მასპინძელთა სასარგებლოდ. ამ მატჩში გუნდები ძირითადად დაცვაზე ფიქრობდნენ, რაც ბერძნებს უკეთ გამოსდიოდათ — ფარი 34:23 მოიგეს. იტალიელთაგან ორი მოთამაშე ასცდა ათქულიან ზღვარს, ოღონდ თუკი პრედრაგ დანილოვიჩის თამაშს უნაკლო ეთქმოდა (ბოლო-ბოლო, გუნდის ქულათა ზუსტად ნახევარი მან მიითვალა), აბიომ 5 სამქულიანი ააცილა. საერთოდ, სამქულიანი სულ ორმა კინდერელმა ისროლა — დანილოვიჩმა (ერთიდან ერთი ჩააგდო) და აბიომ. ბერძენთაგან შორიდან ოთხმა კაცმა შეუტია, მიზანს კი მხოლოდ გოლდვაიერმა და ტომიჩმა მიაღწიეს.

ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ გაიხარა ცსკა-მ, რომელმაც ჩაშვებულ „ალბას" მოუგო. მეორე ჩაშვებული „სამარა", რომელმაც ვერც სხვებთან გააწყო რამე და ვერც „ვილერბანთან", კვლავ „ქულების კეთილ გამჩუქებლად" დარჩა.

დამაჯერებელი რევანში აიღო „ვარეზემ". მან აბსოლუტურად ყველაფერში დაჩაგრა რუსული „ავტოდორი": ფარი — 44:34, პასები — 20:6, ჩაჭრა — 16:12.

„ჟალგირისმა" დიდი წვალებით, მაგრამ მაინც მოუგო ჯგუფის ლიდერ „ფენერბაჰჩეს", რომლის რიგებშიც მხოლოდ იბრაჰიმ ქუთლუაიმ და ხორვატმა ჟან ტაბაკმა (15 მოხსნა) ითამაშეს ჩვეულ დონეზე. ზაზა ენდენი (ენდელაძე) განაცხადში კი იყო, მაგრამ მოედანზე არ გასულა.

**ზეზვა მიგრიაული**

ძიუდო



ოლიმპიური ოქროს მოპოვება სპორტსმენთათვის ოცნების ასრულების ტოლფასია. აზერბაიჯანელმა ნაზიმ ჰუსეინოვმა 1992 წელს, ბარსელონაში, 60 კგ წონითი კატეგორიის ძიუდოისტთა შორის ყველა მეტოქე დაჯაბნა და საწადელიც აისრულა — ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. ჰუსეინოვს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებშიც არაერთხელ უმარჯვია და ძიუდოს სამყაროში ფალავანთ ფალავანის სახელიც დაუგდია. გასულ შაბათ-კვირას ნაზიმ ჰუსეინოვი თბილისის საერთაშორისო ტურნირზე გვეწვია, სპორტის სასახლის ტატამზეც რიგიანად იჭიდავა და მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო იაპონელ ეგუსასთან. ნაზიმთან გასაუბრება ამ შეხვედრის დამთავრების მერე გვქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ აზერბაიჯანელი ძიუდოისტი აშკარად არ იყო ხასიათზე და ჩვენც აღარ მივძალებივართ, ტურნირის მეორე დღეს კი აღარ მოვერიდეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ. ჰუსეინოვმა, უარს როგორ გეტყვით, ოღონდ ჯერ აზიზოვის ჭიდაობას ერთად მივადევნოთ თვალიო. აზიზოვმაც დიდხანს არ გვალოდინა, ორიოდ წუთში იპონით დასცა მეტოქე. ჰუსეინოვმა თანაგუნდელს გამარჯვება მიულოცა, მერე ჩვენსკენ შემობრუნდა და, გულისყურით გისმენთო, გვითხრა.

# მე და ხახალეიშვილმა ერთმანეთს ოლიმპიური ჩემპიონობა დავაფიცეთ

**— ნაზიმ, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით ჩამოსულხართ, შენ ვერცხლის მედალი აიღე, აზიზოვი კი ჩემპიონი გახდა.**

— თქვენმა ტურნირმა A კატეგორია დაიბრუნა და ვიცოდით, თბილისში ბევრი ცნობილი ძიუდოისტი მოიყრიდა თავს. მათთან გაჯიბრება კი ყოველთვის სასარგებლოა, ამიტომაც აზერბაიჯანის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალაიარ ახუმზადემ ყველა უძლიერესს გვიხმო და, მგონი, თავი არ შეგვირცხვენია. აზიზოვმა ჩინებულად იჭიდავა, იგი წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია და, ვფიქრობ, მომავალში უფრო დიდი გამარჯვებების მოპოვებაც შეუძლია. არზუმანოვი და სულთანოვი ახალგაზრდები არიან, მაგრამ, თავადაც ნახეთ, თავიანთ წონებში ბევრ ცნობილ ძიუდოისტს ტოლი არაფერში დაუდეს და ბრინჯაოს პრიზიორებიც გახდნენ.

**— გუშინდელ დღეს დავუბრუნდეთ, შენი და ნესტორ ხერგიანის ბრძოლა გავიხსენოთ. ჩვენებურს ბოლო წამებზე გამოგლიჯე გამარჯვება ხელიდან, მანამდე კი თითქოს სუფთა გდებაც შეასრულე, მაგრამ მსაჯებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს. ამან არ გატეხა და ღირსეულადაც იმარჯვე. მგონი, საუკეთესო ფორმაში უნდა იყო.**

— საუკეთესო ფორმამდე ჯერ ბევრი მიკლია. თბილისის ტურნირისთვის მხოლოდ ათი დღე ვემზადებოდი და რასაც მივაღწიე, ამჯერად ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი იყო. ხერგიანთან კი მართლაც საინტერესო ჭიდაობა გამომივიდა. თქვენებური აშკარად მაღალი კლასის ძიუდოისტია, ფიზიკურად ძლიერი თავდაუზოგავადაც იბრძვის, თუმცა ტექნიკურად ცოტა მოიკოჭლებს, გუშინდელ შეხვედრაში, თავიდანვე რომ დაწინაურდა, ეტყობა, მოთავებულად ჩათვალა საქმე და მოეშვა. გამოცდილება დიდი მაქვს, მეტოქის ამგვარ შეცდომებს იოლად ვამჩნევ და მერე ჩემს სასარგებლოდ ვიყენებ. იმ სადავო მომენტს რაც შეეხება, ჩემი აზრით, იპონი იყო, მაგრამ ჩანს, მსაჯებმა უკეთ დაინახეს და გდება ვაზარით შეაფასეს, ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, მაინც ხომ შევძელი ხერგიანის დამარცხება.

**— ფინალში კი იაპონელ ეგუსასთან პირწმინდად დამარცხდი.**

— ხერგიანთან ჭიდაობამ ძალ-ღონე წამართვა-მეთქი, ზემოთაც გითხარი მხოლოდ ათი დღე ვვარჯიშობდი და ფიზიკურად ველარ გავძელი. ეგუსაც კერკეტი კაკალი გამოდგა. ბრძოლაც პირწმინდად მომიგო.

**— ნაზიმ, მოდი წარსულსაც გადავავლოთ თვალი. შენი პირველი ნაბიჯები გავიხსენოთ ძიუდოში.**

— დიდი სიამოვნებით, ის წლები ხომ ჩემთვის ყველაზე ტკბილად მოსაგონარია. 80-იანების დამლევს 60 კილოში თქვენებური ამირან ტოტიკაშვილი ბატონობდა, რომლის ჭიდაობის ხილვა ერთ რამედ ღირდა. ალალად გეტყვით, ამირანისგან ბევრი ვისწავლე. როცა ტოტიკაშვილმა კარიერა დაასრულა, იმდროინდელ საბჭოეთის ნაკრებში, ამ წონაში მე და გიორგი ვაზაგაშვილი ვიბრძოდით ადგილის დასამკვიდრებლად, 1992 წელს გიორგიმ დსთ-ს ჩემპიონატის ფინალში მომიგო, იმავე წელს კი ევროპის ჩემპიონი გავხდი. ამასობაში ბარსელონის ოლიმპიადაც კარს მოგვადგა და ნაკრების მწვრთნელებიც არჩევანის წინაშე დადგნენ — ჰუსეინოვი თუ ვაზაგაშვილი? გამოსავალი იოლად მოინახა, მე და გიორგი ერთმანეთს დავეჭიდეთ და ჰანტეით გავიმარჯვე. ასე მოვხვდი ბარსელონის ოლიმპიადაზე.

**— სადაც ყველაზე დიდი გამარჯვებაც იზეიმე.**

— ბარსელონასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებ. იმდროინდელ დსთ-ს ნაკრებში მართლაც რჩეულმა ბიჭებმა მოიყარეს თავი. კავკასიელები ორნი ვიყავით, ყველაზე მძიმე, ქართველი დავით ხახალეიშვილი და ყველაზე მსუბუქი მე — აზერბაიჯანელი ნაზიმ ჰუსეინოვი, ესპანეთში გამგზავრების წინ დათოს ვუთხარი, კაცები არ ვიყოთ, თუ ჩემპიონები არ გავხდეთ, ჯერი შენზეა, პირველი გადიხარ ტატამზე, ოქრო აიღე, მერე კი მე ვიცი-მეთქი. როგორც გახსოვთ, ბარსელონაში ხახალეიშვილმა ჩინებულად იჭიდავა, ყველას იოლად გაუსწორდა და ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა. ბედნიერი და გახარებული დათო ახლა აქეთ მეუბნება — აჰა, კაცი ვარ, სიტყვა შევასრულე, ახლა შენ იციო. მეც სიტყვის კაცი ვარ. მეგობრისთვის მიცემულ სიტყვას როგორ გავტეხავ. ბევრი ძლიერი ძიუდოისტი გადამეღობა ჩემპიონობისკენ სავალ გზაზე, მაგრამ ყველას ვძლიე. მათ შორის ნახევარფინალში იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონს, ფინალში კი სამხრეთკორეელი ძიუდოისტი 50 წამში დავამარცხე და ნაღდად ყველაზე დიდი გამარჯვება ვიზეიმე. მერე საბერძნეთში ევროპის ჩემპიონატი მოვიგე, 1993 წელს მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე, 95-ში ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებაც შევძელი. ატლანტისთვის აზერბაიჯანის ნაკრებთან ერთად თურქეთში ვემზადებოდი. ერთ-ერთი ვარჯიშისას თითი მოვიტეხე, თუმცა ოლიმპიადაზე მაინც ვიჭიდავე, მაგრამ წარმატებას კი ველარ მივაღწიე. მერე კი...

**— მერე, ძიუდოზე გული აიცრუე, აღარ ვარჯიშობდი, ეს მითხარი, ამ ხნის მანძილზე რას საქმიანობდი?**

— იმ დროს ჩვენთან, აზერბაიჯანში, სპორტსმენებისთვის არავის ეცალა, ღვთის ანაბარა ვიყავით მიტოვებულნი. ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი ვარ აზერბაიჯანიდან და იმის ნაცვლად, სათანადო სავარჯიშო პირობები შეექმნათ, იმაზე ვფიქრობდი, ცოლ-შვილი როგორ გამომეკვება.

**— ნაზიმ, მაპატიე, მაგრამ, როგორც ვიცი, აზერბაიჯანში საკმაოდ გავლენიანი და შეძლებული კაცის სიძე ხარ და ცოლ-შვილის რჩენა არ უნდა გაგჭირვებოდა.**

— თავმოყვარე კაცი სიმამრის ხელებში შემყურე ყოველთვის ვერ იქნება, მეც ჩემი შრომით მოპოვებული პური მირჩევნია.

**— ისიც გავიგე, ჰუსეინოვი ალკოჰოლს მიეძალაო.**

— შენ ჩემზე მართლაც ბევრი გცოდნია, ქართველმა მკითხველმა ისე არ გაგვიგოს, ოლიმპიური ჩემპიონი ნაზიმ ჰუსეინოვი გალოთებულაო — არა, უბრალოდ, სტუმართმოყვარე კაცი ვარ, უამრავი მეგობარი მყავს, რომლებიც ხშირად ჩამოდიან ბაქოში და მეც საკადრისად ვხვდები.

**— ახლა რამ გადაგაწყვეტინა ვარჯიში დაგეწყო და ძიუდოს დაბრუნებოდი?**

— მივხვდი, რომ კიდევ შემიძლია მაღალ დონეზე ჭიდაობა, თანაც ჩვენმა პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა მოწყალე თვალით გადმოგვხედა, პირადად დამიბარა და მთხოვა, ვარჯიში დამეწყო. ასეთ ყურადღებას რომ იგრძნობ, კაცს თუ შეგიძლია, ვალდებულიც ხარ, შენს ქვეყანას გამოადგე.

**— ნაზიმ, ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებიდან ბევრმა სპორტსმენმა დუხჭირ ცხოვრებას ვერ გაუძლო და უცხოეთს მიაშურა. შენ თუ მოგმართეს მსგავსი წინადადებით?**

— უამრავჯერ... ფრანგები, ესპანელები, გერმანელები მეპატიჟებოდნენ, მაგრამ ბაქო ვერ მივატოვე, თორემ უცხოეთში, ცხადია, უკეთესი პირობები მექნებოდა და ცხოვრებასაც კარგად მოვიწყობდი.

**— წეღან საუბარში მეგობრები ახსენე. ქართველი ძიუდოისტი ძმა-ბიჭებიც მრავლად გეყოლება...**

— რომელი ერთი ჩამოვთვალო: დათო ხახალეიშვილზე უკვე გითხარით, ვლადიმერ დგებუაძეც ჩემი ძმაა. დათო თბილისში ვერ ვნახე და ძალიან მწყდება გული. გავიგე, იგიც დაბრუნებია ძიუდოს, კარგიც უქნია, მასავით ნიჭიერი ძიუდოისტი ჯერ არ მინახავს. დათოს თავისუფლად შეუძლია სიდნეიში ოლიმპიური ოქროს მოპოვება.

**— ნაზიმ, აქტიურ სპორტს დაუბრუნდი და, ცხადია, წარმატების იმედიც გექნება.**

— წარმატების რომ არ მჯეროდეს, ტატამზე არც გამოვიდოდი, უპირველესად, სიდნეის ვუმიზნებ, მეორე ოლიმპიურ ოქროზე ნაღდად არ ვიტყვი უარს.

**— თბილისის საერთაშორისო ტურნირო ძველი დიდების დაბრუნებას ცდილობს, რაც უფრო ტიტულოვანი ძიუდოისტი ჩამოვა, მით უფრო ფასი დაედება თბილისურ ტატამს. გაისად თუ გვეწვევი?**

— აუცილებლად ჩამოვალ, აქ ოთხჯერ მიჭიდავია, ორჯერ ბრინჯაო მოვიპოვე, ორჯერაც ვერცხლი, მეხუთედ კი ჩემპიონობას გპირდებით.

სოსო კოტორეიშვილი

ჭადრაკი

# წარმატების შანსი არის

...ესპანეთიდან მოსული ცნობა კვლავ არცთუ სახარბიელოა. ვგულისხმობთ დაბა ოროპერა-დელ-მარიში მიმდინარე ბავშვთა და იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატებს, სადაც ბოლოსწინა, X ტურში დამარცხდა და ლიდერობა დაკარგა ქართველთაგან უმრწემესმა მოჭადრაკემ დავით ჯოჯუამ, თავის კბილა, 10 წლამდე ბიჭუნებს რომ ეპაექრებოდა. დათოს ამჯერად 10 შესაძლებლიდან 7,5 ქულა აქვს და კვლავ ინარჩუნებს საჩემპიონო შანსებს. 14 წლამდე გოგონებში მოასპარეზე ლელა ჯავახიშვილმა ბოლო ტურები უკეთ ჩაატარა და მისი 8 ქულა, ჭადრაკის ქალღმერთ კაისის მხარდაჭერის შემთხვევაში, ჩემპიონატის მოსაგებად მშვენიერი წინაპირო- ბაა. სხვა ქართველი ბავშვებისთვის პი- რველ ადგილზე გასვლა ალბათ მეტად ძ- ამოცანად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა, რო- საც თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში სამ- ალოდ 50 მოჭადრაკე თამაშობს, ნებისმ- რი საპრიზო ადგილიც დიდ წარმატება ალიქმება. ამგვარი წარმატების შანსები რამდენიმე ქართველს გააჩნია. თავიანთ ას- კობრივ ჯგუფებში 7-7 ქულა დააგროვ- ბელა ხოტენაშვილმა, თეონა ღურჭუმელ- ძემ, ნანა ძაგნიძემ და ანა მოთნაძემ; 6,5-6, ქულა აქვთ გიორგი შურღაიას, ზვიად იზ- რიას, თამარ ბალხამიშვილს და რუსუდ- გოლეთიანს.

# გიორგაძე — ლას ვეგასში

სანამ ქართველი ბავშვები ესპანეთში ბეჯითობენ, მათმა უფროსმა კოლეგებმა საბ- რძნეთს მიაშურეს და მსოფლიოს ჩემპიონატის ზონალური ტურნირი უკვე ჩააბარ- კიდეც ისტორიას. ტურნირი კუნძულ კრეტაზე მოეწყო და საკმაოდ ძლიერ შემადგ- ლობას მოუყარა თავი. ქართველ მოჭადრაკეთაგან საბერძნეთში ითამაშეს გია გიორგ- ძემ, ზურაბ სტურუამ, გია ბაღათუროვმა, გენადი ზაიჩიკმა და სხვებმა; ქალთა ტურნ- რში იასპარეზა ნატო ეძგვერაძემ და ჩვენც თავდაპირველად მასზე ვთქვათ. ნატ- ტურნირი 5,5 ქულით დაასრულა და თუმცა ფინალში ვერ გავიდა, სამაგიერო- საერთაშორისო დიდოსტატის ნორმა შეასრულა და ალბათ სულ მალე ქართვე- დიდოსტატების კოჰორტაში ვიხილავთ. მამაკაცთა შორის პირველობისათვის მეტ- მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა, რადგან ლას ვეგასში, ფინალურ ტურნირზე გამგზავრებ- უფლება მხოლოდ პრიზიორებს ერგებოდათ. ტურნირი 7 ქულით ბერძენმა კოტრონ- ასმა მოიგო, ხოლო ქულათა ამავე მარაგით მეორე ადგილზე ალბანელი ცულა დამკ- დრდა. 6,5 ქულა ერთბაშად 4 მოჭადრაკეს დაუგროვდა: რუმინელ პაპიოანუს, იუგო- ლავიელებს, ვეტერან ველიმიროვიჩსა და უფრო ახალგაზრდა ჯურიჩს და, რაც მთავ- რია, ქართველ გია გიორგაძეს, რომელიც უკეთესი კოეფიციენტებით გავიდა კიდ- მესამე ადგილზე და გაისად, იანვარში ლას ვეგასსაც მოიხილავს. დანარჩენ ქართვე- თაგან სხვებზე წარმატებით ითამაშეს ზურაბ სტურუამ და გია ბაღათუროვმა, რომლ- ბმაც 6-6 ქულით VII-VIII ადგილები გაიყვეს.

# ტილბურგი ანანდისაა

ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში გუშინწინ დასრულდა XVIII კატეგორიის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თორმეტმა სახელიანმა მოჭადრაკემ ითამაშა. საერთო აღიარებით, ამ ტურნირმა ჭადრაკის თეორიის განვითარებასაც საკმაოდ შეუწყო ხელი. მოჭადრაკეებმა დახურულ დებიუტებში რამდენიმე მნიშვნელოვან სიახლეს მიაგნეს და წარმატებითაც გამოიყენეს თავიანთ პარტიებში.



ვიში ანანდი ფავორიტი იყო და გაიმარჯვა კიდეც

ბოლო ტურების წინ ცხადი შეიქნა, რომ გამარჯვების ყველაზე რეალური კანდიდატი ინდოელი ვიშვანათან ანანდი იყო. X ტურში ვიში ინგლისელ მეტიუ სედლერს ეთამაშებოდა, კარგახანს ეომა და ბოლოს ყაიმს დაყაბულდა. ყაიმითვე დაასრულა ანანდმა ბოლო ტურის პარტია და 7,5 ქულით გაიმარჯვა კიდეც. ლონ- ვრად ითამაშა აქამდე სხვათაგან ბევრ- არაფრით გამორჩეულმა უნგრელმა პე- ლეკომ, რომელმაც X ტურში ინგლის- ლთა რჩეული მაიკლ ადამსი დაამარც- და XI ტურში ყაიმზე რომ არ შეთანხ- ბოდა მეტოქეს, ანანდსაც მიეწეოდა. წ- რუმატებელი სტარტის შემდეგ მნიშ- ლოვნად გააძლიერა თამაში ვლადიმ- კრამნიკმა, რომელმაც სედლერთან და რ- ვადიმ ზვიაგინცევთან ერთად 6 ქულ- III-V ადგილები გაიყო. ერთ-ერთ წ- „სარბიელში“ ხელჩაქნეული კორჩნოი რ- გიჩვენეთ, „დიდმა ვიქტორმა“ ეს ხელჩ- ვა ახლა ოფიციალურად გააფორმა - ბოლო ადგილზე გავიდა 3,5 ქულით. დრ- ნი მეფობენ...

დავით გულ-

ოლიმპიზმი

# ეტყობა, აღარავინ გარბის

საქართველოს სპორტსმენებს ჩვენი დუხჭირი ცხოვრების გამო თვალი უცხოე- სკენ რომ უჭირავთ, არახალია. ამიტომაც იყო, იმ ათლეტებთან, სიდნეის ლიცენზი- მოპოვება რომ ძალუძთ ან ამგვარი პერსპექტივა აქვთ, დაიდო ხელშეკრულება, რომლ- თანახმად ისინი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებამდე ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობას შეიცვლიან, სანაცვლოდ კი ოლიმპიურ სტიპენდიას მიიღებენ. უკვე ვიუწყებოდ- იმის თაობაზე, თუ ვისთან დაიდო ამგვარი ხელშეკრულება, მაგრამ დარჩენილი კიდევ რამდენიმე სპორტსმენი, ვისთანაც მაშინ ეს არ მოხერხდა. ამიტომაც იმ დარჩ- ლთაგან გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაფორმდა ამგვ- ხელშეკრულება. მათ შორის იყო ძიუდოისტი გიორგი რევაზიშვილიც, რომელსაც სურათზე სეოკ-ის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონის გვერდით ხედავთ.



# ბრძოლა სიკვდილამდე

**პარიზის ღია პირველობა. საფრანგეთი. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 2,55 მილიონი $**

სეზონის ბოლოს კლასიფიკაციის პირველი ადგილისთვის ბრძოლა სულ უფრო დამძაბავი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ელფერს იღებს — თამაში წესით არც ერთი პრეტენდენტისთვის არ მოდის, მაგრამ ერთიმეორეს ჯიბრით კორტზე ლამის ყავარჯნებით დადიან.

რი, მაგრამ პირველივე სეტში ლიონის ტურნირზე მიღებულმა ზურგის ტრავმამ შეახსენა თავი და ლამის ყოველი დარტყმა ტკივილის ფასად უჯდებოდა. 25 წლის ფრანგმა შეჭირვებულ პიტს არაფერი დაუთმო, პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე მოიგო, გადამწყვეტშიც 4:1 დაწინაურდა, მაგრამ კარიერის უდიდესი მიღწევის ზღვარზე აღმოჩენილი, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთობ განერვიულდა. სამპრასმაც, ორსაათიანი მატჩი მანძილზე სამჯერ რომ დასჭირდა ექიმის დახმარება, შესანიშნავად ისარგებლა ამით და შუალამეგადაცილებულზე „ბერსიში" შეკრებილი 12 ათასი ფრანგი ჩააჩუმა 6:7 (4:7), 6:4, 6:4.



ევგენი კაფელნიკოვი

კიდევ ერთი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ამ დღეს მსოფლიოს ჩემპიონატზე დარჩენილი უკანასკნელი, მერვე საგზურისთვის მოცილე ტიმ ჰენმანმა და ევგენი კაფელნიკოვმა გამართეს.

კარგა ხნის მანძილზე რუსი ყველაფერში ჯაბნიდა მეტოქეს და 6:3, 4:2-იც დაწინაურდა, თუმცა მერე მოუშვა, რამდენიმე იოლი ბურთი ააცილა და ჯერ ტაი-ბრეიკი დათმო, მერე კი მესამე პარტიაშიც ჩამორჩა — 1:5. ყველაფერი იქნებ მალე დამთავრებულიყო, რადგან კაფელნიკოვს მებრძოლი ხასიათის არაფერი სცხია, მაგრამ დამატებითი სტიმული მეტოქეს თავად ინგლისელმა გაუჩინა.

„მე და ტიმი კარგი მეგობრები ვართ, მაგრამ მან წყობიდან გამომიყვანა — ზედიზედ ოთხჯერ ბადეს მოხვედრილი ბურთით მომიგო გათამაშება და ბოდიში ერთხელაც არ მოიხადა (ბოდიშის მოხდას კი ჩოგბურთში ხელის აწევის გარდა არაფერი სჭირდება). ისე გავგიჟდი, იმ მომენტისთვის ვერც კი ვაცნობიერებდი, სად ვიყავი, მხარეების შეცვლის დროს რაღაც შეურაცხმყოფელიც ვუთხარი" — და აქედან მოყოლებული სოჭელი ისე ათამაშდა, პირადად მე არასოდეს მინახავს: ერთი შეხედვით, აულებელ მოწოდებებს კიდევ უფრო უკეთ აბრუნებდა უკან, ურთულეს შემოვლებებს ერთიმეორეს აყოლებდა, მატჩ-პოინტიც გადაარჩინა, 4:5-ზე კი იმ გეიმში სამი ეისის მომწოდებელ ინგლისელს კიდევ ერთხელ აართვა ბრეიკი და ანგარიშიც გაუთანაბრა.

ყველაფერ ამას კაფელნიკოვი საკუთარი თავის გასამხნევებლად ხმამაღალი შეძახილებსა და მუშტის მოღერებას აყოლებდა, ტაი-ბრეიკზე კი განწირული შესახედაობის მქონე ინგლისელს არანაირი შანსი აღარ დაუტოვა — 6:3, 6:7 (5:7), 7:6 (7:2).

„წელს ბევრი შეხვედრა წამიგია ასე, მაგრამ ამჯერად სასწაული მოხდა და ამით ბედნიერი ვარ. ვერ გამიგია, ტიმი ასე რატომ მოიქცა, მაგრამ იმედია, უთანხმოებას მოევლება და ჩვენ ისევ მეგობრებად დავრჩებით" — განაცხადა მატჩის შემდეგ კაფელნიკოვმა, რომელმაც წლეულს პირველად (!) აჯობა საუკეთესო ათეულის წარმომადგენელს.

ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი ყველას არწმუნებს, მსოფლიოს პირველი ჩოგნობის პერსპექტივა ოდნავადაც არ მაღელვებსო, მაგრამ განსჯა თქვენთვის მოგვინდია — პარიზულ კლინიკაში მენისკის სერიოზული ტრავმა დაუდგინეს, ტოდ მარტინთან შეხვედრის პირველივე სეტში მხარზე საწამლოდ ექიმის ხმობა დასჭირდა და ყველაფრის ამის შემდეგ ტკივილგამაყუჩებლებით გაბრუებულმა მეოთხედფინალში გასასვლელად 2 საათი და 41 წუთი იბრძოლა.

მატჩი კი მართლაც არაჩვეულებრივი გამოდგა — ერთ დროს საუკეთესოთა ათეულელმა მარტინმა აშშ-ის ღია პირველობის ფინალის გამარჯვებულს პირველი სეტის გეიმებისა და ბრეიკით ჩამორჩენის შემდეგ ტაი-ბრეიკზე გაუთანაბრა ანგარიში, მესამე, გადამწყვეტ ხელში კი ხასიათის სიმტკიცე და ბადესთან თამაშის კლასი უკვე რაფტერმა გამოავლინა, რომელიც მეტოქეს 1:4-ზე დაეწია. საბოლოოდ ისევ ტაი-ბრეიკი, ისევ ლამაზი გათამაშებები, ავსტრალიელის მოუგერიებელი მატჩ-პოინტი და მარტინის სეზონის საუკეთესო შედეგი — 5:7, 7:6 (7:5), 7:6 (8:6).

„ვერ ვიხსენებ, ოდესმე ასე კარგად მეთამაშოს და მაინც წამეგოს. საოცარი შეხვედრა იყო, კორტზე ყოფნამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა" — გული არ გაუტეხია რაფტერს, რომელმაც წაგებით სამპრასის დასწრების შანსები საბოლოოდ დაკარგა, თუმცა გამარჯვებულს ღიმილით გაუხვია. „ერთი სული მაქვს, ლონდონში ჩემს გელფრენდს როდის ვნახავ, მერე კი ერთად, ბერმუდაზე გადავფრინდებით. თუ მუხლი ისევ მეტკიება, არა მგონია, ჩემპიონატისთვის უკან დავბრუნდე. არ მინდა, მხოლოდ რამდენიმე კვირა დავისვენო და ავსტრალიის ღია პირველობას მოუმზადებელი შევხვდე."

პარიზში არც მარსელო რიოსს ულხინს — ჩილელს ერთბაშად სამი მოურჩენელი ტრავმა აწუხებს და თავისი საუკეთესო ფორმიდან ძალიან შორსაც დგას. მეოთხედფინალურ შეხვედრაში ამერიკელ ვინს სპედეასთან მარსელო ზედმეტ მოძრაობას ერიდებოდა, მაგრამ მეტი გამოცდილებისა თუ თავდაჯერების ხარჯზე ყველა მნიშვნელოვანი ქულის მიღება მოახერხა და საბოლოოდ 7:5, 6:4 მოიგო.

რაფტერის არ იყოს, პრესკონფერენციაზე ჩილელმაც ყველა გააკვირვა მოულოდნელი განცხადებით: „სულაც არ ვაპირებ დიდ სპორტში კიდევ დიდი ხნით დარჩენას. ყელში ამომივიდა ამდენი მოგზაურობა, ამდენი ვარჯიში, ყველა მატჩის შემდეგ პრესასთან საუბარი. მინდა, ჩემს ქვეყანაში ვცხოვრობდე, როგორც ნორმალურ ადამიანს შეშვენის და იმას ვაკეთებდე, რაც მომეპრიანება. ორ-სამ წელიწადში პენსიაზე გავალ, ან ნაკლებს მაინც ვითამაშებ და პირად ცხოვრებას მეტ დროს დავუთმობ."

ყველაზე მძიმე გამოცდა კი მეოთხედფინალში პიტ სამპრასს ერგო. მსოფლიოს პირველ ჩოგანს სხვებთან შედარებით იოლი მეტოქე ჰყავდა — ფრანგი ჟერომ გოლმა-

მეოთხედფინალი: ანდრე აგასი (5, აშშ) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:4, 6:4; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — კაროლ კუჩერა (7, სლოვაკეთი) 6:4, 4:6, 7:5; გრეგ რუზედსკი (13, ინგლისი) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 7:6 (8:6), 6:4; მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:4, 6:2.

*წუხელ პატრიკ რაფტერმა საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, ჩემთვის სეზონი დასრულდა, ექიმების რჩევით, მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობას არ მივიღებო.*

**ლაიფციგი. გერმანია. სპარკასენის თასი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 450 ათასი $**

მერვედფინალი: შტეფი გრაფი (გერმანია) — აი სუგიამა (6, იაპონია) 6:47 6:3; ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (1, ესპანეთი) 6:1, 4:6, 6:2; ნატალი ტოზია (2, საფრანგეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:6 (7:3), 6:1; ნატაშა ზვერევა (7, ბელარუსი) — სილვია პლიჩკე (ავსტრია) 6:1, 6:7 (7:9), 6:4; დომინიკ ვან რუსტი (3, ბელგია) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:4, 6:4; ანკე ჰუბერი (8, გერმანია) — სილვია ფარინა (იტალია) 6:4, 6:2; სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) — ამანდა კუტცერი (5, სამხრეთ აფრიკა) 6:3, 7:6 (8:6).

**ავთანდილ სვანიძე**



# ჩეხებმა ჩეხებს აჯობეს

5 ნოემბერი

**ოტავა — პიტსბურგი 2:4**

**2:0 0:1 0:3**

**1:0 ფილიპსი 6'07 (3); 2:0 პროსპალი 7'49 (2); 2:1 სტრაკა 25'29 (4); 2:2 იაგრი 46'11 (5); 2:3 ჰრდინა 55'51 (1); 2:4 ლანგი 57'30 (5)**

ამ ბოლო დროს ოტაველებს მატჩის უსწრაფესად დაწყება და მეტოქეზე ზეწოლა დასჩემდათ. მასპინძლებმა არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას, მით უმეტეს, რომ პიტსბურგის კარს ორი ძირითადი გოლკიპერის — ტომ ბარასოსა და პეტერ სკუდრას არყოფნაში გამოუცდელი ჟან-სებასტიან ობენი იცავდა და მისი შეცდომის შემდეგ პროსპალმა მე-8 წუთზე თავისიანები 2:0 დააწინაურა. ასეთმა დასაწყისმა „სენატორები", ეტყობა, დაამშვიდა და მათ თანდათან ტემპს უკლეს, რითაც სტუმრებმა ისარგებლეს. მართალია, პიტსბურგელებს საამისოდ საკმაო დრო დასჭირდათ, რადგან პირველ ორ პერიოდში მთავარი „პინგვინი" იარომირ იაგრი ჩვეულად ვერ მოქმედებდა, მაგრამ ბოლო მესამედში სწორედ ჩეხმა შეიტანა გარდატეხა: ჯერ იყო და, ეფექტური პასით ოტაველთა მეკარე დამიენ როულსი აცდუნა, მერე კი ბრწყინვალე სამსვლიანი კომბინაცია წამოიწყო და ოტაველებს ბოლო იმედიც გაუცრუა.

ალსანიშნავია, რომ ლიგის ორი ყველაზე ევროპული გუნდის შეხვედრაში (მათ ძირითად შემადგენლობაში 24 (!) ევროპელი ირიცხება, რომელთაგან ამ მატჩში ყინულზე 16 გავიდა) ჩეხები გამოირჩეოდნენ. თანაც უფრო მრავალრიცხოვანმა პიტსბურგელებმა (მათმა ხუთმა ჩეხმა 4 გოლს 2 პასიც დაამატა) თავიანთ ოტაველ თვისტომთ აჯობეს. ახალბედა იან ჰრდინამ ნჰლ-ში პირადი ანგარიში გახსნა

**ლოს ანჯელესი — სენტ ლუისი 2:2**

**2:0 0:2 0:0 0:0**

**1:0 რობიტაილი 6'16 (5); 2:0 მიურეი 11'29 (3); 2:1 დემიტრა 20'41 (5); 2:2 მაკინისი 22'20 (7)**

პირველი პერიოდის მიწურულს სენტლუისელი ჯიმ კემპბელი სრულიად უმიზეზოდ დაეტაკა მასპინძელთა კარს უკან მყოფ „მეფეთა" მცველ მატიას ნორსტრიომს და ფეხი დაუზიანა. ამით კი სტუმრებმა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იხეირეს — პარტნიორის დასაცავად კემპბელს შეჯახებულმა რობ ბლეიკმა ორმაგი ჯარიმა მიიღო, რაც სენტლუისელებმა შესვენების შემდეგ ორჯერ გამოიყენეს და ლოსანჯელესელთა უმცირესობის ბრიგადებს უნიკალური სტატისტიკური მონაცემები (მათ 55 ცდიდან მხოლოდ ერთი გამოაყენებინეს მეტოქეებს) ოდნავ გაუფუჭეს.

**აილენდერსი — კაროლინა 3:6**

**3:1 0:1 0:4**

**1:0 ბრიუერი 3'32 (1); 2:0 უოტი 9'32 (2); 3:0 იუნსონი 11'59 (3); 3:1 ლეშიშინი 14'03 (1); 3:2 ონეილი 31'38 (1); 3:3 ონეილი 42'59 (2); 3:4 ჟელინასი 44'19 (2); 3:5 მანდერვილი 44'19 (1); 3:6 რანჰეიმი 54'15 (1)**

კაროლინელთა თავგანწირვას (ხუმრობაა — სამშაიბიანი დეფიციტი გაქვითეს და გაიმარჯვეს) სათავე კერტის ლეშიშინმა დაუდო. მცველმა, რომლის გაძევებითაც ისარგებლეს მასპინძლებმა, თავადვე გამოასწორა მდგომარეობა, გოლი გაიტანა და მატჩის ბედი შეატრიალა.

**ბოსტონი — ტორონტო 4:1**

**1:0 2:0 1:1**

**1:0 სამსონოვი 8'38 (5); 2:0 ხრისტიჩი 22'59 (4); 3:0 ჰაინცე 26'15 (5), 3:1 დ. კინგი 43'45 (3); 4:1 ვან იმპი 55'46 (1)**

თუ 1997-98 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედა სერგეი სამსონოვი (1+2) ყველა თამაშს ასე ჩაატარებს, მის კლუბს გაცილებით ნაკლები პრობლემა ექნება. რუსი ჰოკეისტის მუდმივმა პარტნიორმა დიმიტრი ხრისტიჩმა ნჰლ-ში მე-200 გოლი გაიტანა.



REUTERS

ბოსტონის მეკარე ბაირონ დაფომ ტორონტოელ ალინ მაკკოლის შეტევა გაუცუდა

## სატურნირო ვითარება

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 12 | 6 | 1 | 5 | 34:35 | 13 |
| ოტავა | 10 | 6 | 0 | 4 | 32:26 | 12 |
| ბუფალო | 10 | 5 | 2 | 3 | 28:21 | 12 |
| ბოსტონი | 13 | 5 | 2 | 6 | 31:24 | 12 |
| მონრეალი | 11 | 4 | 2 | 5 | 25:30 | 10 |

**ცენტრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 11 | 5 | 3 | 3 | 28:24 | 13 |
| დეტროიტი | 11 | 6 | 0 | 5 | 33:25 | 12 |
| ჩიკაგო | 11 | 4 | 1 | 6 | 24:34 | 9 |
| ნეშვილი | 10 | 3 | 1 | 6 | 25:31 | 7 |

**ატლანტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიტსბურგი | 11 | 5 | 3 | 3 | 32:32 | 13 |
| ფილადელფია | 12 | 5 | 3 | 4 | 31:26 | 13 |
| ნიუ ჯერსი | 10 | 6 | 0 | 4 | 20:20 | 12 |
| აილენდერსი | 12 | 6 | 0 | 6 | 29:30 | 12 |
| რეინჯერსი | 12 | 3 | 3 | 6 | 18:30 | 9 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 12 | 5 | 3 | 4 | 29:22 | 13 |
| ტამპა | 12 | 5 | 1 | 6 | 31:36 | 11 |
| ფლორიდა | 11 | 4 | 3 | 4 | 24:31 | 11 |
| ვაშინგტონი | 11 | 3 | 3 | 5 | 18:27 | 9 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 10 | 6 | 2 | 2 | 25:20 | 14 |
| ფინიქსი | 8 | 5 | 1 | 2 | 24:14 | 11 |
| ლოს ანჯელესი | 12 | 4 | 3 | 5 | 23:26 | 11 |
| ანაჰაიმი | 10 | 3 | 3 | 4 | 22:22 | 9 |
| სან ხოსე | 10 | 2 | 2 | 6 | 24:27 | 6 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ედმონტონი | 11 | 7 | 0 | 4 | 41:27 | 14 |
| ვანკუვერი | 11 | 5 | 1 | 5 | 32:27 | 11 |
| კალგარი | 11 | 4 | 2 | 5 | 30:33 | 10 |
| კოლორადო | 11 | 3 | 1 | 7 | 26:39 | 7 |

***ბომბარდირები:*** *იაგრი (პიტსბურგი) 19 (5+14); ლინდროსი 16 (9+7); ლეკლერი (ფილადელფია) 14 (7+7); აიზერმანი (დეტროიტი) 14 (3+11); გერინი (ედმონტონი) 13 (9+4); ფლერი (კალგარი) 13 (8+5); შენაჰანი (დეტროიტი) 13 (7+6); მესიე (ვანკუვერი) და კარია (ანაჰაიმი) 13 (6+7); ბრინდამორი (ფილადელფია) და სუნდინი (ტორონტო) 13 (5+8)*



# ოუთსიც 800-იანია

თვეც არ გასულა, რაც ჩემპიონატი დაიწყო და სახელოვან პლეიმეიკერთა ეგრეთ წოდებულ 800-იანთა კლუბს უკვე ორი წევრი შეემატა. ჩიკაგოელი დუგ გილმორის მიღწევა ვაშინგტონის ცნობილმა მეპასემ ადამ ოუთსმა გაიმეორა ტამპასთან შეხვედრაში, თუმცა ვეტერანს სიხარული არ დასცალდა — მისი გუნდი ბოლო ხანებში ხშირად აგებს და ტრავმებიც მოუმრავლდათ. ოუთსი ზემოხსენებული კლუბის 51-ე წევრი გახდა და ეს სია, ალბათ, კარგა ხანს აღარც გაგრძელდება, რადგან მის ყველაზე რეალურ კანდიდატს, სენტლუისელ ელ მაკინისს მიზანთან 62 პასი აშორებს.

# მერე რა, რომ ზანგია...

ბოლო დღეებში ორი გაფიცული ჰოკეისტის ბედი გადაწყდა. თავდაპირველად ნიუჯერსელმა სკოტ ნიდერმაიერმა და ბოსტონის შავკანიანმა ფორვარდმა ენსონ კარტერმა თავიანთ კლუბებს იჰლ-ში (საერთაშორისო ჰოკეის ლიგა) ასპარეზობა ამჯობინეს და გუნდების მფლობელები გვარიანად შეაშფოთეს. თუმცა მერე მეამბოხეებს თითქმის ყველა მოთხოვნა შეუსრულეს და სამშაბათს ნიდერმაიერმა, გუშინწინ კი კარტერმა თავიანთი პირველი მატჩები ჩაატარეს. მათი კლუბებში დაბრუნება ფეხბედნიერი გამოდგა.



სარბიელის არქივიდან

ენსონ კარტერი

# ჰოკეიმ კალათბურთი იყიდა

„ლოს ანჯელეს კინგსის" თანამფლობელებმა, ფილიპ ანშუტცმა და ედვარდ როსკიმ 4 ნოემბერს NBA-ს კლუბ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" აქციების 25 პროცენტის ფლობის უფლება მიიღეს. ეს მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ეს ბიზნესმენები ჯერ კიდევ ორი წლის წინ შეუთანხმდნენ ლეიკერსელ კალათბურთელებს, საშინაო მატჩები ქალაქის იმ ახალაშენებულ სპორტულ კომპლექსში ჩაეტარებინათ, რომლის მფლობელებიც თავად იყვნენ. ახლა კი მათ თვალი ლოს ანჯელესის მეორე საკალათბურთო კლუბ „კლიპერსისთვისაც" დაუდგამთ: გაისიდან ეს გუნდიც ანშუტც-როსკისა გახდება.

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XI ტური

ვერდერი 1:1 დორტმუნდი
0:1 რიკენი (8), 1:1 ბოგდანოვიჩი (62)

დუისბურგი 1:1 ნიურნბერგი
0:1 გერბერი (24), 1:1 ვანა (78)

მეორე ბუნდესლიგა
XIII ტური

კიკერსი 1:0 უნტერჰახინგი
1:0 ვინკლერი (71)

ვატენშაიდი 0:0 კარლსრუე

ურდინგენი — ჰანოვერი
გადაიდო

## ავსტრია

XV ტური

რაპიდი 1:0 ტიროლი

## თურქეთი

XI ტური

ანთალია 1:0 ფენერბაჰჩე

## საფრანგეთი

XII ტური

მარსელი 1:0 მონაკო
1:0 მორისი (90)

ბასტია 2:1 ლორიანი
0:1 კამადინი (2), 1:1 ანდრე (28პ), 2:1 ნე (50)

## ჰოლანდია

XII ტური

ვალვაიკი 2:5 უტრეხტი
0:1 მოლსი (22), 1:1 დე გრიფი (45), 1:2
1:3 მოლსი (51, 63), 2:3 ლანკორი (70),
2:4 დე იონგი (83), 2:5 რობბიმონდი (84პ)




მარსელი — მონაკო. ბოლო მატჩებია, ტიტი კამარამ (მარცხნივ) აშკარად მოუმატა. გუშინაც გადამწყვეტი გოლი მისი პასით გავიდა



*პაკისტანში მიმდინარე ბალახის ჰოკეისტთა ჩემპიონთა თასზე მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებმა, ჰოლანდიელებმა, ნახევარფინალში ავსტრალიელებს 4:1 მოუგეს და, კვირას ფინალში მასპინძლებს გაეჯიბრებიან*

# პეტის ინგლისელი ქალები მოსწონს, მაგრამ ცოლად ფრანგი ურჩევნია

ფრანგული გამოთქმაა: კაცებს ქერა ქალები მოსწონთ, მაგრამ ცოლად შავგვრემნები მოჰყავთ. ეს მსოფლიოს ჩემპიონ ემანუელ პეტისაც ეხება. საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი არ მალავს, რომ ინგლისელი ქალები ძალიან მოსწონს („რადგან მათ დიდი მკერდი აქვთ“), მაგრამ ცოლად ეს მშვენიერი ფრანგი მოჰყავს. არიანი ემანუელმა ლაჟვარდოვან ნაპირზე გაიცნო სამი წლის წინ, როცა „მონაკოში“ თამაშობდა. მათ საერთო ერთი ჰქონდათ, ორივე მოცეკვავე იყო. არიანი თუ მონაკოს ერთ-ერთ კაბარეში მართლაც ცეკვავდა, პეტის „მოცეკვავეს“ თანაგუნდელები ეძახდნენ. „არსენალის“ ფრანგი ფეხბურთელი თავისი ქორწილის თარიღს საიდუმლოდ ინახავს, რადგან აბეზარი ფოტორეპორტიორებისგან დაიცვას თავი.





# ლალასმა გიტარაც იცის

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ამერიკელმა ფეხბურთელმა ალექს ლალასმა იმხელა სახელი მოიხვეჭა, რომ დღესაც თანამემამულეების ყურადღების ცენტრშია. ერთ-ერთი ამერიკელი პროდიუსერის აზრით, ნიუ იორკის „მეტროსტარის“ მცველი ისე კარგად უკრავს გიტარაზე, რომ კომპაქტურ დისკზე ჩაწერის ღირსი იყო. ამ ალბომის პრეზენტაცია, „ჯინჯერი“ რომ ჰქვია, ნიუ იორკის „ALL STAR CAFE“-ში მოეწყო. წარმატებით აღფრთოვანებულმა ლალასმა განაცხადა, რომ საფეხბურთო სეზონის დამთავრებისთანავე საერთაშორისო ტურნეს მოაწყობს და ერთ კონცერტს თვით პარიზშიც კი გამართავს.




კარგია სირბილი. უფრო კარგია სუფთა ჰაერზე, ლამაზ ბუნებაში სირბილი. კიდევ უფრო კარგი კი სუფთა ჰაერზე, ლამაზ ბუნებაში და ისტორიულ ნაგებობაზე სირბილი ყოფილა.

სწორედ ასე გამოუვიდათ ავსტრალიელ მორბენლებს. ისინი ჩინეთში, იუნანის პროვინციის ულამაზეს ხეობაში, ანტიკური ხანის დამბაზე მირბიან. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება პირველი, როცა ერთი გარბენით ერთდროულად სამ საქმეს აკეთებ: ჯანმრთელობას იკაჟებ, თვალს ახარებ და ისტორიაში ცოდნას იღრმავებ.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორაშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29